ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა V

მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა V
მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი

თბილისი
2022

უაკ: 39(=353.1)
ქ-279

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 2016 წლიდან გამოსცემს სერიას „ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“. უკვე გამოცემულია ოთხი წიგნი. პირველი წიგნი მიეძღვნა ცნობილ სასულიერო მოღვაწესა და ეთნოგრაფს დეკანოზ იოანე მარგიანს, მეორე წიგნში კი ასახულია ეროვნული მოღვაწისა და ეთნოგრაფის ეგნატე გაბლიანის ცხოვრება, მოღვაწეობა და წარმოდგენილია მისი ნაშრომები. მესამე წიგნში თავმოყრილია ქართული პრესის ფურცლებზე გაბნეული მასალა ართვინის მხარის შესახებ, მეოთხე წიგნში შეტანილია ჯუნის ონიანის სადისერტაციო ნაშრომი.

წინამდებარე გამოცემაში შესულია წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა.

რედაქტორები: **როზეტა გუჯეჯიანი**
მირიან ხოსიტაშვილი

სარედაქციო კოლეგია: **ნინო მინდაძე**
დარიკო ჟორჟოლიანი
ლუარსაბ ტოგონიძე
ია თაბაგარი

ქეთევან ხუციშვილი
(სარედაქციო კოლეგიის გამგე)

დაკაბადონება: **გიგი გელაშვილი**

©საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
©მირიან ხოსიტაშვილი
©როზეტა გუჯეჯიანი

ISBN: 978-9941-9803-9-8

ეცერის თემი, სოფელი ბარში, 1903 წ.

ძმები კარბელაშვილები დედასთან ერთად



ძმები კარბელაშვილები

წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის (1855-1936 წწ.) ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა (სვანეთი)[1]

„სვანების ძღიეჰს სახწმუნეოებჰივს გჰძნობას უნდა დავუმადღოთ, ჰომ ამოდენა მხატვჰობით შემკული და ჯვახ-ხატებით სავსე საყდჰები შეინახეს დღემდე... მთელი საქახთველოსათვის კახგი მისაბაძავი საქმეა“ („ივეჰია“, №163, 15 ივღისი, 1904)."

დეკანოზი პოლიევქტოს გრიგოლის ძე კარბელაშვილი დიდი სასულიერო მოღვაწე იყო, აწ უკვე წმინდანი, მაგრამ მისი ცხოვრება და მოქალაქეობა საერო სპექტრსაც მოიცავს და ის გვევლინება ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად, ქართული ეროვნული კულტურის მკვლევარად, ქომაგად და მოამაგედ. დეკანოზ პოლიევქტოსის მეცნიერული მემკვიდრეობიდან ქართული ეთნოლოგიისათვის განსაკუთრებით ფასეულია წერილი „სვანეთში ორი კვირით“.

პოლიევქტოს კარბელაშვილი დაიბადა 1855 წელს ქართლში, გორის მაზრის სოფელ ჭალაში, ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და მგალობლის, გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილის (1812-1880), ოჯახში. პოლიევქტოსს ჰყავდა და-ძმები: ფილიმონი (1836-1879), სიდონია, ანდრია (1851-1924), ვასილი (ეპისკოპოსი სტეფანე 1858-1936) და პეტრე (1860-1924) (ტოგონიძე 2012-I).

კარბელაშვილთა დიდი ოჯახის ყველა წევრი ღვაწლმოსილია სამშობლოსა და ეკლესიის წინაშე: ხუთივე ძმა სასულიერო მოღვაწეობის გზას დაადგა. კარბელაშვილების დიდი ღვაწლისა და თავგანწირვისათვის საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა 2011 წლის 20 დეკემბერს განიხილა ძმები კარბელაშვილების კანონიზაციის საკითხი და ისინი წმინდანთა დასში შერაცხეს, მათ ეწოდათ წმიდა მოწამე და აღმსარებელი ძმები

1. სტატია გამოქვეყნებულია 2016 წელს: რ. გუჯეჯიანი, წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის (1855-1936 წწ.) ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა (სვანეთი), კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, თბ., 2016. გვ., 68-96.

(კარბელაშვილები): დეკანოზი ანდრია და მღვდელი პეტრე წმინდა მოწამეები, ეპისკოპოსი სტეფანე, დეკანოზი პოლიექტოსი და მღვდელი ფილიმონი წმინდა აღმსარებლები. დაიწერა ტროპარი და კონდაკი წმიდათა ძმათა – მღვდელმოწამეთა პეტრესი და ანდრეასი და აღმსარებელთა – მღვდელთმთავრისა სტეფანესი და მღვდელთა პოლიევქტოსისა და ფილიმონისა (კარბელაშვილთა): მათი ხსენების დღედ გამოცხადდა 6 სექტემბერი, ანუ წმიდა მღვდელმოწამეთა – ანდრიასა და პეტრეს – დახვრეტის დღე. საბჭოთა რეპრესიების სიმძიმე იწვნიეს წმინდანთა შთამომავლებმაც. ძმებ კარბელაშვილებს თავიანთი ცხოვრების გზაზე არაერთი სიმწარის დათმენა მოუწიათ, დაუხვრიტეს უმცროსი ძმები (ანდრია და პეტრე (1924 წელს), პოლიევქტოსის ვაჟი გიორგი (გიგო), ირანის ფრონტზე ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო მეორე ვაჟი – იოანე, 1920 წელს ზაქათალაში საეჭვო ვითარებაში მოკლეს. თავად პოლიევქტოსი და ვასილი „შავ სიაში“ იყვნენ შეყვანილები, რადგან სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ შეუწყვეტავთ ღვთის დიდება და სამშობლოს მომავლისთვის ზრუნვა. 1936 წლის აპრილში ჯერ ეპისკოპოსი სტეფანე გარდაიცვალა, ხოლო იმავე წლის მიწურულს, პოლიევქტოსმაც მშვიდობით შეავედრა სული უფალს. ძმები კარბელაშვილების დევნა არ დასრულებულა მათი გარდაცვალების შემდგომაც. 1937 წლის რეპრესიებისას სასტიკად გაუსწორდნენ მათ შვილებს. დახვრიტეს დავით პოლიევქტოსის ძე კარბელაშვილი, ნიჭიერი ენათმეცნიერი, იგივე ბედი ეწია ელიზბარ ვასილის ძე კარბელაშვილსაც (ტოგონიძე 2012-II).

ერთი საინტერესო ფაქტიც, წმიდა პოლიევქტოსის რძალი, რეპრესირებული დავითის მეუღლე გახლდათ მადი კარბელაშვილი (მადი ბექირბეის ასული დადეშქელიანი 1908-1965), რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის წმიდა ძმები კარბელაშვილების არქივების გადარჩენის საქმეში. მადი ბეჩოს დადეშქელიანთა შტოდან იყო და მღვდელ პოლიევქტოსის სვანეთში მოგზაურობის დროს მადის მამა თავადი ბექირბეი

და ნათესავები (თავადი თათარყანი ეცერში) მასპინძლობდნენ მოგზაურებს.

ძმები კარბელაშვილების მოღვაწეობა ფართო სპექტრის მომცველია: ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართულ სიძველეთა მოძიება და დაცვა, ქართული საისტორიო და სასულიერო მემკვიდრეობის გადარჩენა და მეცნიერული შესწავლა, არქეოგრაფიული ღვაწლი, ეთნოგრაფიული მასალის დაუნჯება და ყოველივე ამის პარალელურად, ამაგდარი ძმები კარბელაშვილები დიდი წვლილის შემტანნი არიან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული XX საუკუნის 30-იან წლებამდე ძმები და მათი მეუღლეები მუხლჩაუხრელად შრომობდნენ და იღვწოდნენ. ისინი მონაწილენი და ხშირად მოთავენიც იყვნენ არაერთი ეროვნული მნიშვნელობის საქმისა. ძმები მუშაობდნენ საღმრთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლებად, უძღვებოდნენ ქართული გალობის სწავლებას. მათი დიდი როლი და ღვაწლი იკვეთება იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ძმები კარბელაშვილები აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. მათი სტატიები დაბეჭდილია ეროვნული სულისკვეთების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველო“, „კლდე“ და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს კარბელაშვილთა დამსახურება ქართული ეთნომუსიკალური მემკვიდრეობის გადარჩენის კუთხით: მათ ოჯახს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული საერო სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების მოძიებაში, შესწავლასა და გავრცელებაში. მათი დამსახურებით შემოგვენახა ქართლ-კახური გალობის ტრადიციები და ამიტომაც ქართლ-კახურ საგალობლებს „კარბელაანთ კილო“ ეწოდა.

საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ძმები, რასაკვირველია, არასასურველნი იყვნენ რუსეთის იმპერიის მე-

სვეურთათვის. ცნობილია, რომ ეგზარქოსი ალექსი (1902-1905) მღვდელ ვასილ კარბელაშვილს ახასიათებდა, როგორც ანტისახელმწიფოებრივი და ანტირუსული პოლიტიკის მომხრე ადამიანს. საქმის გამოძიებისას – დაზვერვის საიდუმლო წერილში, მამა ვასილი მღვდელ პოლიევქტოსთან ერთად დახასიათებულია, როგორც ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნება. აღნიშნულია, რომ ძმები, ვასილი და პოლიევქტოსი, კირიონ საძაგლიშვილის თანამოაზრენი და თანამებრძოლნი იყვნენ. ძმები ბუქარესტში გამომავალ ჟურნალ „Православный Востокъ“-ში თანამშრომლობდნენ და ხელს უწყობდნენ მის არალეგარულ გავრცელებას საქართველოში. აღნიშნული ჟურნალი გამოირჩეოდა ანტიიმპერიალისტური ხასიათით და მასში მკაცრად იყო მხილებული საქართველოს ეგზარქოსისა და სხვა რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებული პოლიტიკის ნამდვილი არსი (ანდღულაძე 2004).

პოლიევქტოს კარბელაშვილმა განათლება მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელსა და ტფილისის სასულიერო სემინარიაში. მისი სასულიერო ღვაწლი დიდია, მაგრამ აღსანიშნავია პოლიევქტოსის მეცნიერული და საზოგადო საქმიანობაც. პოლიევქტოსის ზოგიერთი წერილი ფსევდონიმთაა გამოქვეყნებული (პ. ცხვილოელი, პ. ჭალელი, სამთავნელი, პ. უსიტყველი). იგია ავტორია ნაშრომებისა „იერარქია საქართველოს ეკკლესიისა" (1901) და „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“ (1902); დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის ქრონიკების შედგენაში (1880). მის მიერვეა აღმოჩენილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (1880); აღწერა დავით-გარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკა, სადაც 100-ზე მეტი უნიკალური ხელნაწერი იყო დაცული, გადმოწერა და მეცნიერულად შეისწავლა ამ წიგნებზე არსებული „მინაწერები“ (ანდღულაძე 2004, ტოგონიძე 2012-I). დეკანოზმა პოლიევქტოსმა საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგაც გააგრძელა სასულიერო მოღვაწეობა. სიცოცხლის ბოლო წლებში უკიდურესი წნეხის ქვეშ,

გაუსაძლის პირობებში მყოფი გარდაიცვალა 1936 წელს და დაკრძალულია გურჯაანში, ეკლესიაში.

მრავალმხრივია დეკანოზ პოლიევქტოსის დამსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე და ამ წერილში წარმოდგენილია მისი ნაშრომ-ნაღვაწის ერთი სეგმენტი – სვანეთში მოგზაურობის აღწერილობის ანალიზი.

მღვდელმა პოლიევქტოსმა სვანეთში იმოგზაურა 1903 წელს. მოგზაურობა დაიწყო 2 „მკათათვეს“ ტფილისიდან გასვლით, საიდანაც მოგზაურები ჩადიან ქუთაისში, ხოლო ქუთაისიდან – ცაგერში და 8 ივლისს ცაგერიდან მიემართებიან ქვემო სვანეთისაკენ. მოგზაურობა დასრულდა 21 ივლისს. მღვდელ პოლიევქტოსს ახლდნენ „პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, მაგისტრი ფარმაციისა ი. ს. ტყეშელაშვილი, ზ. პ. ფალიაშვილი, სტეფან ანტონიჩი“ („ივერია“, № 193, 11 სექტემბერი, 1903). სტეფან ანტონიჩის შესახებ სხვაგან წერია, რომ „ერთი მოსკოველი მეცნიერი სტეფან ანტონიჩი გაგვყვა თან ალპის ყვავილების შესასწავლად“ („ივერია“, № 164, 2 აგვისტო, 1903 წელი). თანმხლებ პირებს წერილის დასასრულსაც ახსენებს და მადლობას უძღვნის: „დიდს მადლობას ვსწირავ ბ-ნ ა. ს. ხახანაშვილს, ი.ს.ტყეშელაშვილს, ზ. ფალიაშვილს, რომელთაც შემაძლებინეს ამა ძნელი მგზავრობის ატანა და ყოველივე შრომა გამიადვილეს“ („ივერია“, №293, 23 დეკემბერი, 1904). ამ ეტაპზე მიმდინარეობს ზაქარია ფალიაშვილის სვანეთში მოგზაურობის ამსახველი მასალის დამუშავება და უახლეს ხანებში იგი ცალკე სტატია გამოქვეყნდება.

სვანეთში მოგზაურობის ამსახველი ნაშრომის წერა მღვდელ პოლიევქტოსს 1904 წლის 9 იანვარს დაუსრულებია. წერილის სათაურია „სვანეთში ორი კვირით“, ხოლო ხელმოწერა – მღ. პ. კარბელაშვილი. წერილი გაგრძელებების სახით იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ 1903 წლის 29 ივლისიდან (№160) 1904 წლის 23 დეკემბრამდე (№293). რადგანაც პირველი წერილი მოგზაურობის დასრულებიდან რამდენიმე დღეშია გა-

მოქვეყნებული, ჩანს, რომ მღვდელი პოლიევქტოსი მოგზაურობის დროსაც მუშაობდა, აკეთებდა ჩანაწერებს და მოგზაურობის დასრულებისთანავე გადაუგზავნია სტატიიის პირველი თავები „ივერიის“ რედკოლეგიისათვის.

ბოლო წერილის დასასრულს მღვდელი პოლიევქტოსი წერს, რომ თავის შრომას უძღვნის მის ყოვლადუწმიდესობას კირიონს „უკანასკნელი მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ჩვენი საყვარელი ყოვლად სამღვდელო კირიონი იყო მიზეზი ამა ჩემის მგზავრობისა; უღრმესს მადლობას ვსწირავ მისს მეუფებას და ამიტომ მისს სახელს ვუძღვნი ამ ჩემს შრომასაც მისი მარად თაყვანის მცემელი და მორჩილი“ („ივერია“, 23 დეკემბერი, №293, 1904).

მღვდელი პოლიევქტოსი და მისი თანმხლებნი მეცნიერულ კვლევას იწყებენ ცაგერიდან, საიდანაც ადიან ქვემო სვანეთში, აუყვებიან მდინარე ცხენისწყალს, გაივლიან ქვემო სვანეთის სხვადასხვა თემს, გადადიან ზემო სვანეთში, საიდანაც დაეშვებიან მდ. ენგურის ხეობით ფარისა და ლახამულის თემებამდე და მერე იგივე მარშრუტით ბრუნდებიან უკან ცაგერამდე.

მღვდელ პოლიევქტოსის ნაშრომს დიდ ღირსებას ჰმატებს ავტორის მიერ გაწეული წინასწარი სამზადისი: სვანეთში წასვლამდე მას შეკრებილი და გაანალიზებული აქვს სვანეთთან დაკავშირებული ყველა სამეცნიერო ნაშრომი და მკვლევარ-მოგზაურთა ჩანაწერები, რაც კი 1903 წლამდეა გამოსული. ტექსტი გვიდასტურებს, რომ მღვდელი პოლიევქტოსი დეტალურად იცნობს მასალებს. იგი ხშირად აკონკრეტებს ან აზუსტებს წინა მოგზაურთა მიერ აღწერილ ფაქტებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს მღვდელ პოლიევქტოსის წერილებს.

ორიოდე სიტყვა მღვდელ პოლიევქტოსის ნაშრომის სტრუქტურისა და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ: სვანეთის აღწერილობა წარმოდგენილია წინასწარ მოფიქრებული და შემუშა-

ვებული გეგმის მიხედვით. ნაშრომს აქვს დღიურის სახე. მღვდელი პოლიევქტოსი ყოველი მორიგი თემის ან სოფლის აღწერას იწყებს ადგილობრივი გეოგრაფიული თავისებურებების წარმოჩენით, აგვიწერს გზას, ჩამოთვლის თემში შემავალ სოფლებს, იქ მცხოვრებ საგვარეულოებს, ყურადღებას ამახვილებს ყოველი თემის კულტურულ-სამეურნეო მახასიათებლებზე, მთავარ ადგილს უთმობს სიძველეთა აღწერას (ეკლესიები, მონასტრები, ციხე-კოშკები, ჯვარ-ხატები, ფრესკები, ხელნაწერები), მაგალითად, ამ სახით: „ცხომარის საზოგადოებაში 6 პატარა სოფელია. 1840-1859 წლებში აქ ყოფილა მღვდლად აქაური მკვიდრი სვანი ადამ ქარდავა. არის X ს. სახარება“ („ივერია“, №272, 27 ნოემბერი, 1904); ან: „მუჟალის საზოგადოებას სამი პატარა სოფელი შეადგენს: წალდაში, ჯაბეში და ჩაბიანი. ორმოცდაათამდე კომლი სვანი სცხოვრობს აქ, გვარები აქაც წმინდა ქართულია: იოსელიანი, ფირიანი, ჯაჯიანი, ბიბჭუანი, ნავერიანი, გულბანი, ზურაბიანი, ჩაჩიანი, გიგანი, გინსაჯიანი“. რასაკვირველია ტოპონიმთა და გვართა ჩამოთვლისას დაშვებულია მცირედი უზუსტობები, განპირობებული კორექტურული პრობლემებით, მაგრამ ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. მაგალითად, სწორია ცალდაში და არა წალდაში, ჟაბეში და არა ჯაბეში, ჩვაბიანი და არა ჩაბიანი, გუჯეჯიანი და არა გინსაჯიანი და ა. შ. აღწერს ალექსანდრე მეფის მიერ შეწირულ ზარებს და ამოკითხავს მათზე ამოკვეთილ წარწერებს და სხვ.

არქეოგრაფიული კვლევის პარალელურად, მღვდელი პოლიევქტოსი ყურადღებას ამახვილებს წმინდა ეთნოგრაფიულ მასალაზეც, რაც მისი კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა და ეს გამოკვეთილია ერთ-ერთ წერილში გამოთქმულ დაკვირვებაშიც: „არა ნაკლებს სიმდიდრეს წარმოადგენენ თვით სვანები თავისის უძველესის ზნე-ჩვეულებებითა და ცხოვრებით. ამ მხრივ ყოველი ეტნოგრაფი და ანტროპოლოგი ულეველს მასალას იპოვის სვანეთში“ („ივერია“, № 292, 22 დეკემბერი, 1904). მიყვება რა ამ გეზს, მღვდელი პოლიევქტოსი აღწერს სვანე-

თის მოსახლეობის კულტურულ-სამეურნეო ყოფას, რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, სამართლებრივ ტრადიციებს და ძალიან ბევრი კულტურული რეალია თუ არქეოგრაფიული არტეფაქტი პირველს შემოაქვს სამეცნიერო ბრუნვაში. წერილის დასასრულს ის ერთგან მოკრძალებულად შენიშნავს: „ჩვენ შეძლებისამებრ აღვნიშნეთ თვალით ნახული და ყურით გაგონილი სვანეთში მოგზაურობის დროს, შეძლებისამებრ შევამოწმეთ და შევასწორეთ, ანუ პირველათ გავარჩიეთ სვანეთის ხატ-ჯვართა ძველ წარწერების ტექსტი“ („ივერია“, 23 დეკემბერი, №293, 1904).

მღვდელი პოლიევქტოსი აკვირდება ადგილობრივ მეტყველების კულტურას, აანალიზებს ტოპონიმებს, ავლენს სვანური ტერმინოლოგიის მომდინარეობას საერთო ქართული ენობრივი სამყაროდან და ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საფუძველზე ავლებს პარალელებს ძველ ცივილიზაციებთანაც (ეგვიპტურთან, ხეთურთან).

თავად ცნობილი მგალობელი, საგულისხმო დაკვირვებებს გამოთქვამს ქართული ეთნომუსიკალური მემკვიდრეობის სვანეთში შემონახული შედევრების შესახებ და მათში სასულიერო საგალობელთა ვარიაცებს ამოიცნობს.

ტექსტში პერიოდულად ჩართულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მომდინარე ქართული საისტორიო წყაროებიდან (მაგალითად, გაანალიზებულია ორი დოკუმენტი, რომლებშიც ნახსენებია დადეშქელიანთა საგვარეულო და მოცემულია სტატისტიკური მასალა: იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილ დავთარი და ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი).

მივყვეთ თანმიმდევრობით:

მღვდელ პოლიევქტოსს აღწერილი აქვს სვანეთის გეოგრაფიული თავისებურებები და მახასიათებლები, მაგალითად: „მურის ხიდიდგან ცხენის წყლის აყოლებით იწყება სვანეთი და თავდება იქ, სადაც ინგურს ერთვის მარჯვნივ მდ. ეცი, ს. ხუბერის ჭალის ქვემოთ. ასე რომ მთელი ინგურის ხეობა სათავი-

დგან მდ. ეცის შესართავამდე 160 ვერსტს უდრის“ („ივერია, № 164, 2 აგვისტო, 1903) და სხვ. გვაწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას: „დღეს სვანეთში 12 000 მცხოვრები ითვლება“ („ივერია“, №124, 29 მაისი, 1904). აკონკრეტებს, რომ უგზოობის პირობებში „სვანეთში მოგზაურობა მხოლოდ სვანური ცხენით შეიძლება“ („ივერია“, № 193, 11 სექტემბერი, 1903). „ცხენის ქირა ცაგერამდე 6-7 მანეთი“ ღირს („ივერია“, №124, 29 მაისი, 1904). აღწერილია სოფლებს შორის გზები და გეოგრაფოული გარემო: „მეორე დღეს, 15 ივლისს გავედით აშფოთებულ მდ. მუჟალის ჭალას და მარჯვნივ, კლდოვან დაფერდილ ჯაგნარზედ, გავუდექით მულახისაკენ მიმავალ ბილიკსა“ (ივერია, №140, 17 ივნისი, 1904) და სხვ.

მღვდელი პოლივქტოსი სვანეთში მოგზაურობის ამსახველ წერილებში ავლენს სვანეთის ისტორიის სიღრმისეულ ცოდნას. ავტორი მოგვითხრობს კონკრეტულ ისტორიებს სვანეთის წარსულიდან: რუსეთის მიერ სვანეთის შეერთებას, დადაშ ქურდიანის როლს ამ საქმეში (ამბავი მულახელი დადაშ ქურდიანის შესახებ, რომელსაც 1853 წელს რამდენიმე სვანი ჩაუყვანია ბორჯომში მთავარმართებელ ვორონცოვთან („ივერია, № 124, 29 მაისი, 1904 წელი), მღვდელ მურზა მარგიანის ისტორიას, რუს მოხელეთა თუ მკვლევარ-მოგზაურთა მოგზაურობის თარიღებს და, ნაწილობრივ, შედეგებს; გვაწვდის ადგილობრივ სასულიერო პირთა ბიოგრაფიულ მონაცემებს, სხვადასხვა ამბებს ეპიდემიებისა თუ სტიქიური უბედურებების შესახებ (მაგალითად, „1812 წელს საშინელი ჭირიანობა მოედო სვანეთს და დიდი ხალხი იმსხვერპლა. ადიშში და იელში მთელი სოფლები ამოწყდა“ („ივერია“, №119, 22 მაისი, 1904).

სვანეთში მოგზაურობის აღწერილობაში ნახსენებია ბევრი ისტორიული პირი: ცაგერში მოგზაურებს უმასპინძლა და ლაშხეთამდე გაჰყვა კეთილმოწესე (ბლაღოჩინი) მამა გერსამია, ქვემო სვანეთში მოგზაურები ესტუმრნენ თავად ალი გარდაფხაძის ოჯახს, რომელიც იმ დროს სვანეთის ბოქაული იყო და

ზემო სვანეთში იმყოფებოდა, მაგრამ სტუმრებს გულთბილად დახვდა თავადი ალის მეუღლე („ივერია“, № 193, 11 სექტემბერი, 1903), მამა იაონე მარგიანს ლაშხეთში, დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძეს უშგულში, რომელთან ერთადაც გაემგზავრნენ კალისაკენ; ბერ თეოფანე კორძაიას კალის თემში, მამა გიორგი მარგიანს მუჟალში, თავად დადეშქელიანებს ბეჩოსა და ეცერის თემებში, აღწერს უშგულის მამასახლისთან გეგი ნიჟარაძესთან საუბარს, დადებითად ახასიათებს უკანა გზაზე შემხვედრ მასწავლებელს ონიანს დავბერში, რომელთანაც 20 ივლისს ღამე გაათიეს და მოგვითხრობს, რომ „აქ დაგვხვდა გერმანელი მოგზაური ბ-ნი ვაგნერი“ („ივერია“, 23 დეკემბერი, №293, 1904) და სხვ.

საინტერესო მასალაა მოწოდებული სვანეთის სამღვდლოების შესახებ: 1850-იან წლებში „სვანეთის გამგებლად თავადი გრიგოლ წერეთელი იყო. მან დაიბარა მუჟალიდგან გავლენიანი გლეხი მურზა აფის (აფი პაპი იყო) ძე მარღიანი და თან გამოატანა ს. მუშკერის მღვდელი გიორგი გულბანი, ს. მთავრარის მღვდელი ადამ ქარდავა და დუშეთელი დიაკვანი შიო...მესტიაში რომ წაიყვანა იგინი მურზამ, აქ 23 აპრილს წინ დაუხვდნენ მესტიელი ჯაფარიძეები და თოფის სროლა დაუწყეს, მურზა დასჭრეს, მაგრამ დაჭრილმა მურზამ ერთი მოკლა და ორი დაჭრა. გაჯავრებულებმა მურზა მოკლეს და მკვდარი არ დაანებეს მის შვილს გიორგი მარღიანს (დღეს მუჟალშია მღვდლად), ვიდრე უღელი ხარი არ წაართვეს. ბოლოს აზნაურის სისხლი აზღვევინეს, როგორც გლეხს 220 თუმანი. 1855 წელს უკვე პაპი გიორგი მარღიანი ჩამოვიდა ქუთაისში სწორედ იმ დროს, როცა კონსტანტინე დადეშქელიანი უნდა დაეხვრიტათ. ეგზარხოსმა ისიდორემ გაბრიელ ეპისკოპოსს ჩააბარა, მოამზადეს და 1867 წელს აკურთხეს მღვდლად. დღეს ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსეა და 2 შვილი მღვდელი ჰყავს, მესამესაც ამზადებს“ („ივერია“, №124, 29 მაისი, 1904). ამ ორი მღვდელი შვილიდან ერთერთია მამა ივანე მარგიანი, რომლის შესახებაც ესოდენ

დადებითი კუთხით საუბრობს მღვდელი პოლიევქტოსი: „მამასახლისისგან გავიგეთ, რომ ლაშხეთის ბლაღოჩინი მღვდელი იოანე მარგიანი თურმე გველოდებოდა აქ. ამ მივარდნილ ქვეყანაში პატიოსანნი ბლაღოჩინნი – გერსამია, მარგიანი და ნიჟარაძე წარმომადგენელნი არიან იმ სანეტარო კაცთა, რომელთაც მაცხოვარმა რჩეულ მცირედთა გუნდი უწოდა. მამა ბესარიონ ნიჟარაძე და მ. ი. მარგიანი სვანეთის ნამდვილნი შვილნი არიან, აქ დაბადებულნი, აქ აღზრდილნი (უშკულ-მუჟალში), უხარიანთ, რომ მათი საყვარელი სამშობლოს სანახავად მოდის ვინმე“ („ივერია“, № 193, 11 სექტემბერი, 1903). ჩვენი დროისათვის დეკანოზ იოანე მარგიანის ცხოვრება და მოღვაწეობა შესწავლილია (ლეჟავა 2008; გუჯეჯიანი 2007). (მულახში მისული მღვდელი პოლიევქტოსი პირადადაც გაიცნობს მამა გიორგი მარგიანს და დიდი სიყვარულით მოგვითხრობს მის შესახებ: „საღამოს ბინდმა მოატანა და ჩამოვხდით დიდად პატივცემულ მოხუცებულ მამა გიორგი მარგიანთან. თვალ-წინ დაგვიდგა ჩვენი ქართლელი უწინდელი მოხუცებული მღვდელი, – შუა ტანისა, თეთრი თმა-წვერით გაბადრული, მამა გ. მარგიანი სწორეთ სანატრელი სანახავი იყო ამ უალაგო ალაგას!“ (№124, 29 მაისი, 1904). „მოხუცებულ მამა გიორგი მარგიანთან ჩვენ ვნახეთ რამდენიმე დაშლილი ტყავზედ ხელნაწერი საეკლესიო წიგნი, უფრო ბევრი უთავ-ბოლო. მათ შორის სამი ტყავზედ ნაწერი სახარებაა. ეს ხელნაწერნი მამა გიორგის, როგორც ბაპს, ბაპობაშივე ჰქონია და მის საკუთრებას შეადგენენ“ (ივერია, №140, 17 ივნისი, 1904). მღვდელ პოლიევქტოსზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია წვირმიში მცხოვრებ ბერ თეოფანეს: „იფარიდგან ენგურის მარჯვნივ გავედით საქანელა ხიდზედ და ციცაბო ფერდობზედ მწკრივათ გავსწიეთ ფეხის მონასტრისაკენ. აქ ეს ორმოცი წელიწადია მოღვაწეობს იღუმენი თეოფანე (სვანი კორძაია), აუშენებია მშვენიერი საყდარი სამწირველოებით, ოცამდე საცხოვრებელი ოთახი, თავლა, საკუჭნაო, გაუჩენია ძროხები, ცხენები, ხარები: დაუწყვია

ხვნა-თესვა (დიკა, ქერი), წველა-დღვება, ყველის კეთება; გაუმართავს მშვენიერი საფუტკრე, გაუშენებია ხეხილის ბახჩა, რაც კი სვანეთის ჰავას აიტანს – ყველა ხეხილი ჩაუყრია – ბალი, ალუბალი, მაჟალო, პანტა. აქ ვნახეთ მშვენიერი ხატები და მათ შორის ძვირფასის ქართულის ხელოვნების ოქროს ხატი მაცხოვრისა ხუცური წარწერით „ძელი ჭეშმარიტი“... („ივერია“, №68, 16 მარტი, 1904). ჩვენი დროისათვის ბერი თეოფანეს ცხოვრება და მოღვაწეობა შესწავლილია და გამოქვეყნებულია (გუჯეჯიანი 2004). მოგვითხრობს მამა გაიოზის შესახებ: „ლატალის მღვდელი მამა გაიოზ ძიმისტარაშვილი საყვარელი მოძღვარია სვანებისა: შეუსწავლია წმიდათ სვანური ენა და ჭირსა და ლხინში მხარში ამოსდგომია თავის საყვარელ სამწყსოს. იგი ძველის დროის ტიპიურ-ქართველს მღვდელს მოგვაგონებს და ორმოც წელიწადზედ მეტია, რაც აქ მსახურობს“ (№163, 15 ივლისი, 1904). ახსენებს მამა ადამ ქარდავას ღვაწლს ცხუმარის თემზე საუბრის დროს („ივერია“, 27 ნოემბერი, №272, 1904).

მღვდელ პოლიევქტოსის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სვანეთის ტრადიციული ხელოსნობის დარგებზე, სამეურნეო კულტურაზე. „რადგანაც მდინარეში ფეხით გასვლა შეუძლებელია, ამიტომ ყველგან თავისებური, სწორედ სვანური ხიდებია გადებული და ყოველ მოგზაურს აკვირვებს ბედისგან ასე დაჩაგრულის ხალხის მოხერხება და ყაირათი“ („ივერია“, №160, 29 ივლისი). დადებითი კუთხით საუბრობს სვანების შრომისმოყვარეობის შესახებ, აღწერს სოფლებისა და საცხოვრებლების ტიპებს: „მივედით ს. ქვედა ჭველიერ საყდართან და გავედით დაძაბუნებულ ხიდზედ. აქ ცხენის წყლის ვიწრო კალაპოტი ფართოვდება და მშვენიერი ქართული ნახნავ-ნათესით შემკული ხეობა გადაიშალა ჩვენ თვალწინ. აგერ მაღლა ფერდობებში მერცხლის ბუდესავით მაჰკვრიან აქა-იქა ორორი, სამ-სამი სვანი თავის ციხე-კოშკებითა და სახლკარბინადრობით, უფრო ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე. წვრილი

სოფლებით მოფენილია ეს მხარე. გაუჩეხიათ დაბურული ტყე და სახნავ-სათიბად უქცევიათ. ასე გამწკრივებულია სოფლები – შთვილი, ბულეში, საჯალდანა, ლაულა და სხ. ამ სოფლების მშვენებას შეადგენს თეთრი, კოხტად ნაგები მაღალი კოშკები. ზედა ჩოლურში ... ერთს მტკაველს ვერ ნახავთ ველიან ადგილს, რომ შემოღობილი არ იყვეს სახნავად, ან სათიბად. აქ ქერები ჯერ შემოსული არ იყო“ („ივერია“, 11 სექტემბერი, №193, 1903). „იელიდან წვირმისკენ გზად „დაქანებულ, ციცაბო ფერდობზედ ახოები გაუტეხიათ და სათიბებად უქცევით მშრომელ სვანებს. სასიამოვნო სანახავი იყო კაცნი და ქალნი როგორ მოსდებოდნენ სათიბებს და ჭიანჭველასავით ფუსფუსებდნენ: ზოგი სთიბავდა, ზოგი თივას ეზიდებოდა, ზოგი ბულულებად სდგამდა“ (ივერია, №119, 22 მაისი, 1904).

უაღრესად მნიშვნელოვანია მღვდელ პოლიევქტოსის დაკვირვება სვანეთის ყოფაში შემონახული ძველი ქართული სამართლებრივი სისტემის ამა თუ იმ სეგმენტის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ზემოთ აღწერილი ამბავი ჯაფარიძეთა და მარგიანთა შორის არსებული პრობლემის სამართლებრივი საზღაურის თაობაზე. აგრეთვე, საგულისხმოა შემდეგი მასალაც, „აქ როგორც ძველად საქართველოში, სამასპინძლო ისევ ძალაშია: თვითოეული კომლი მოვალეა მამასახლისს ერთხელ -ორჯელ გაუმასპინძლდეს რიგ-რიგობით წელიწადში“ („ივერია“, № 193, 11 სექტემბერი, 1903). ცნობილია, საქართველოში 1801 წლიდან რუსული კანონმდებლობის გაბატონების მიუხედვად, მთიანი მხარეები ინარჩუნებდნენ ქართული სამართლის იმ ვარიაციებს, რომლებიც ამა თუ იმ მხარეში ჩამოყალიბდა დამპყრობლის მიერ თავსმოხვეული სამართლის საწინააღმდეგოდ. ქართული ხალხური სამართალი მომდინარეა საქართველოს საერო სამართლიდან, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და მას ერწყმის კანონიკური სამართლის ძირითადი ნორმები. ქართული ხალხური სამართლის სვანური ვარიანტი გარკვეულ პრობელემათა მოგვარების დროს დღე-

საც კი მოქმედია. სვანეთის მოსახლეობის რწმენით, მხოლოდ ჩვეულებითი სამრთლით განხილული და განაჩენგამოტანილი პრობლემა ითვლებოდა საბოლოო გადაწყვეტილებად. მოსახლეობისათვის მიუღებელი იყო თავსმოხვეული უცხო სამართალი (გუჯეჯიანი 2008). ერთი ასეთი ფაქტი აღწერილი აქვს მღვდელ პოლიევქტოსს: „სვანები მეტად მამაპაპურად, მეტად თავისებურად სცხოვრობენ, მათი შეხედულებაც სვანეთის გარეშე ხალხთა ცხოვრებაზედ თავისებურია. ამ ორი წლის წინად (1904 წ.) ბეჩოში მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია ერთი საქმე: მძიმე დანაშაული ჰბრალდებოდა ერთს სვანს, ბრალდებულს იცავდა ვექილი გელაზაროვი. ვექილი ბევრს ეცადა ეშველა რამე საცოდავი სვანისათვის, მაგრამ სვანს შესაფერისი სასჯელი გადაუწყვიტა მოსამართლემ. განაჩენი რო მოისმინა, სვანი მიუბრუნდა და უთხრა მოსამართლეს – „შენ გაგიხმეს ხელი“!, ვექილს – შენ გაგიხმეს ენა“! და გამოვიდა გარეთ“ („ივერია“, №292, 22 დეკემბერი, 1904).

ეკლესიათა აღწერილობის მხრივ განსაკუთრებით ფასეულია კალის წმიდა კვირიკეს მონასტრის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია („ივერია“, №222, 17 ოქტომბერი, 1903; №232, 31 ოქტომბერი, 1903; №233, 1 ნოემბერი, 1903), მუჟალის, მულახის (ჟამუშის, ზარდლაშის), მესტიის, ლენჯერის, ლატალის, ეცერის, ფარის, ცხუმარის ეკლესიების აღწერილობები.

თუ რაოდენ კომპლექსურად იკვლევდა მღვდელი პოლიევქტოსი სვანეთის ყოფას, ამის საუკეთესო ნიმუშია კალის წმიდა კვრიკესა და ივლიტეს მონასტრის (სვანური სახელია „ლაგურკა/ლაგვირკა“) აღწერილობა. კალის „ლაგურკა/ლაგვირკა“ ცნობილი სასულიერო ცენტრი იყო და მას მნიშვნელოვანი სოციალური როლიც ეკისრებოდა გვიანი შუა საუკუნეების სვანეთის ყოფაში (გუჯეჯიანი 2015). აქ მოქმედებდა დედათა მონასტერი XVIII საუკუნის დამლევამდე. მონასტერში მოღვაწეობდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობის სასულიერო პირები, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუ-

თხის და თვით სამეფო დინასტიის წარმომადგენლებიც კი, რაც ირკვევა იქ არსებული წარწერებით. მაგალითად, იქ მონაზვნად შემდგარა მეფის ასული თეკლა, რომელიც, როგორც ჩანს, იყო „იმერთა მეფის ბაგრატის ასული თინათინ, იგი 1704 წელს ეკურთხა მოლოზნად“ („ივერია“, №232, 31 ოქტომბერი, 1903). მღვდელი პოლიევქტოსი მონასტერს შეისწავლის კომპლექსურად: არქიტექტურას, ფრესკებს, წარწერებს, საგანძურს – ჯვარ-ხატებს, სხვა საეკლესიო ნივთებს, ხელნაწერებს, მთელ სოციალურ გარემოს. აღწერილობის სტრუქტურა: აღწერილია მონასტრისაკენ მიმავალი გზა („მაღლა-მაღლა მიმვალი ბილიკით თითქმის ოთხი ვერსი ვიარეთ“), გეოგრაფიული ლანდშაფტი, საეკლესიო ტყე. საეკლესიო ტყე მუდამ იწვევდა მკვლევარ-მოგზაურთა გაოცებას. ტყის სიხშირე და ხელშეუხებლობა გასაკვირი იყო განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ხე-ტყის ძლიერ ნაკლებობას უჩიოდა. ეს შეკითხვა დასვა თავის დროზე ნუმიზმატმა და სამხედრო პირმა მ. ბართოლომეიმ და მას კალელებმა განუმარტეს – ეს ტყე საეკლესიოა და აქედან ხის მოჭრა ღვთის სასტიკ წყრომას გამოიწვევსო (ბართოლომეი 1855: 161-162). მღვდელი პოლიევქტოსი განავრცობს თემას, მოგვითხრობს, რომ საეკლესიო ტყით სარგებლობა მხოლოდ მონასტრის საჭიროებისათვის შეიძლებოდა, მაგალითად, დღეობებზე, როცა ხე-ტყე შეშად სჭირდებოდათ, ან როცა ხის მასალა ტაძრის შეკეთებას ხმარდებოდა. „ტყე დაცულია, ხელს ვერავინ ახლებს, ხმელს ნაყარს შეშასაც კი ვერავინ წაიღებს შინ: მართალია ქარიშხლისა და დიდი თოვლისაგან დიდძალი ხეებია მოგლეჯილი და ისე ლპება, მაგრამ სვანები მაინც უფრთხილდებიან, ხატისააო... ტყის სიძვირისა გამო თუ რომელსამე სვანს მოგლეჯილი ხე ან სხვა რამ დასჭირდებოდა, სოფლის ყრილობის დაფასებისამებრ, უნდა იყიდოს საყდრის სასარგებლოთ. დღეობაში და სხვა დროს კი მლოცავნი ხმელ შეშასა სწვამენ“ („ივერია“, №222, 17 ოქტომბერი, 1903). გზის დასასრულს „მოგვეგება მონა-

სტრის სამი მცველი. ახლა ციცაბო კლდეს შევუდექით. აქ ერთი კაცის გასასვლელი კარია გაშვებული მეტი არა. წავდექით წინ და კიდევ უფრო ვიწროთი ავიარეთ. აქ წელზე ბალახი იყო ამოსული. აი აქა სდგას სახელოვანი ლაგვირკა, მტრისაგან მიუვალი. საყდარს აღმოსავლეთით უძევს სვანური დარბაზი, სიპი ქვისაგან აშენებული და სიპითვე დახურული; დასავლეთით ფრიად მაგარი, მაღალი ციხე უდგას, ციხის თოფებით გაწყობილი“ („ივერია“, № 222, 17 ოქტომბერი, 1903). შემდეგ დეტალურად არის აღწერილი ეკლესიის შენობა და მისი მოხატულობა, წარწერები, ჯვარ-ხატი. აღწერილია დამხმარე ნაგებობის მოწყობილობაც, სადაც ხალხური დღეობების დროს ზვარაკი შეიწირებოდა და ლოცვის შემდეგ ტრაპეზი იმართებოდა („ივერია“, №232, 31 ოქტომბერი, 1903). მეცნიერს შესანიშნავი ეთნოგრაფიული კვლევა ჩაუტარებია და გავწვდის „ლაგვირკის“ მოვლა-პატრონობისა და დღეობების ხალხური მენეჯმენტის ამსახველ ინფორმაციას: „აღდგომის კვირაში მთელი კალის საზოგადოება იყრის ერთად თავსა და წილის ყრით ირჩევს სამს კაცსა, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში უნდა შეინახონ მონასტერი. ვისაც წილი ერგება სიხარულისაგან ფეხზე აღარა დგას, თავი მოაქვს – „ლაგვირკას“ მცველი მე ვარო“ („ივერია“, № 222, 17 ოქტომბერი, 1903). დაწვრილებით აღწერს სვანთათვის უდიდეს სიწმიდედ მიჩნეულ „შალიანის“ ხატს. უზუსტეს აღწერილობასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ინფორმაციაც: „მონასტრის ორმა მცველმა მოწიწებით ამოიღო დიდი სკივრიდან ძველი ყალამქარის მშვენიერ ბოხჩაში მძიმედ გახვეული ხატი და ტრაპეზზე დაასვენეს. „აი, ამის ყარაულები ვართ. მე ეჭვი არ მაქვს, რომ შუაგულს ჯვარის ბუდეში ოდესმე ძველი ჭეშმარიტი სვენებულა და კუთხის უჯრებში, პატარა კოლოფებში, წმიდათა ნაწილები“ („ივერია“, №233, 1 ნოემბერი, 1903). ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ფასეულია შემდეგი ინფორმაციაც: „ბოლოს მცველებმა გვაჩვენეს მთელი კონა ძველის საომარი ისრებისა. ისარი თო-

ფის ზუმბის სიმსხოა, შინდის წნელისაა, წმინდად გაფხეკილი, სიგრძით ერთი არშინის ოდენა, წვერზედ წამოცმული აქვს მწვეტი ორპირი რკინა, მახვილივით. თავში აქეთ-იქით ინდოურის ფრთის ჩაცლილი მსხვილი ბუმბული აქვს დიდის ოსტატობით დაკრული. თავზედ ამოჭრილი აქვს ისე, რომ მშვილდის ლარი ჩაჯდეს შიგ. აქვე ვნახეთ საომარი ცულები ბრინჯაოსა და ფოლადისა“ („ივერია“, №233, 1 ნოემბერი, 1903). შუასაუკუნეების ისრების ასეთი დეტალური აღწერილობა იშვიათია ქართულ წყაროებში, საინტერესოა ადრეული პერიოდის საომარი იარაღის ნიმუშთა აღწერაც.

მღვდელი პოლიევქტოსი ყურადღებით აკვირდება ხელნაწერებს, მათ მინაწერებს. გვაწვდის ხელნაწერთა აღწერილობებს. დეტალურად მოგვითხრობს მონასტერში დაცული სახარების ისტორიას: „საყდარში ტრაპეზზედ სვენებულა ოდესმე ტყავზედ ნაწერი დიდი ტანის ბერძნული სახარება. ლევაშოვს 5 თუმანი მიუცია 1869 წელს კალის საზოგადოებისათვის გირაოდ და იგი სახარება დროებით წაუღია პეტერბურგში. რამდენიმე წელი გასულა და სახარების დაბრუნება ფიქრადაც არავის მოსდიოდა. დაიწყეს კალელებმა ჩოჩქოლი – ჩვენი სალოცავი სახარება მოგვიტანეთო. ამიტომ კეთილშობილებით სავსე ლევან დადეშქელიანს ერთი განგაში აუტეხია სატახტო გაზეთებში. ამის გამო გაბრიელ ეპისკოპოსს მიუმართავს დიდის მთავრის მ.ნ.; სახარება დაუბრუნებიათ და გაბრიელისათვის ჩაუბარებიათ. ესე სახარება უნახავს 1853 წელს ბარტოლომეის, შემდეგ 1879 წლის ივნისის 18 ბროსსეს დაწვრილებით აუწერია იგი სახარება ფრანგულად და კალის საზოგადოების კვირიკე-ივლიტეს მონასტრის საკუთრებად იხსენიებს“ („ივერია“, №233, 1 ნოემბერი, 1903). ჩვენთვის ცნობილი ლევან დადეშქელიანის მოღვაწეობა უფრო გვიან პერიოდს უკავშირდება (გუჯეჯიანი 2009-I) და აქ მისი მოხსენიება ანაქრონიზმია, მაგრამ, შესაძლოა, სხვა ლევან დადეშქელიანი იგულისხმებოდეს, ამიტომ ამ მიმართულებით კვლევა გასაგრძელებელია.

ასეთივე გულმოდგინებითა და კომპლექსური მიდგომით მღვდელ პოლიევქტოსს აღწერილი აქვს ეცერის თემის სოფელ ფხოტრერის მთავარანგელოზების ეკლესიაც: „დადეშქელიანთა საგვარეულო სასაფლაო მთავარ-ანგელოზის საყდარი ს. ფხოტრერშია. იგი თლილის ქვისაგან არის აშენებული. დასავლეთით და სამხრეთით მიდგმული აქვს მშვენიერი ეკვდერი, უძველესი ჩუქურთმით. თვით საყდრის კარი ურთხლისაა და ზედ დიდის ხელოვნებით ამოჭრილია წმ. მოციქულთა სახეები, როგორც ჩოლურში და ცაგერში. აქ ეკვდერში ვნახეთ მშვენიერი ბუკი. აქვე ძევს გრძელი ზარი ლათინურის წარწერით “Nicolaus” („ივერია“, №268, 23 ნოემბერი, 1904). გაანალიზებული აქვს ეცერის თემის სოფელ უღვალის წმიდა გიორგის ეკლესიის სიწმიდეების და ფრესკული წარწერების მეცნიერული მნიშვნელობა: „ს. უღვალის წმ. გიორგის საყდრის ხელნაწერთა შორის ჩვენ ვნახეთ ფრიად საყურადღებო მინაწერებიანი რიგის სამარადისო სახარება (აპრაკოსი), დაძველებული და მეტად დაზიანებული, ასე XIII ს. ნაწერი“ („ივერია“, №272, 27 ნოემბერი, 1904). დეტალურადაა აღწერილი იელისა და წვირმის ეკლესიები და სიმდიდრე, ფეხის მონასტერი (სოფელი ხე). (ივერია, №119, 22 მაისი, 1904). აღწერილია ჩვაბიანის მაცხოვარი („აღმოსავლეთით მაღლობ ფერდობზედ აშენებულია მშვენიერის თლილის ქვის მაცხოვრის საყდარი. დასავლეთით მაღლა ჰკიდია ასე ორ ფუთიანი ზარი ზედ წარსწერით: №71. „ქ. ზარი ესე შემოგწირეთ ჩვენ კახეთის ჴელმწიფემან ალექსანდრემ წმიდასა მაცხოვარს ჩემდა გასამარჯვებლად და სადღეგრძელოდ.“ („ივერია“, №124, 29 მაისი, 1904); მულახის თემის ჟამუშის მაცხოვარი (№141 18 ივნისი, 1904); ზარდლაშის წმ. გიორგის საყდარი, ლახირის იოანე მახარებლის საყდარი, ხატები და ალექსანდრე მეფის შეწირული ზარი (ივერია, №140, 17 ივნისი, 1904). ვრცლადაა აღწერილი მესტიის თემი: „ამ საზოგადოებაში ხუთი საყდარია. ამ საყდრებს შორის სეტის წმ. გიორგის საყდარი ძველს საძირკველზედ ახლად არის აღშენებული და ყველაზედ

უკეთესია. სხვები – ზოგი დანგრეულია, ზოგი მეტად დაძველებულია და ამიტომ ოთხივე საყდრებიდგან აქ სეტის წმ. გიორგის საყდარშია გამოტანილი ჯვარი და ხატი“ („ივერია“, 25 ივნისი, №147, 1904); ლენჯერის, ლატალის ეკლესიები: „თავის არქიტექტურით და ხელოვნებით წმ. იონას საყდარი მთელს საქართველოში უძველეს საყდართა შორის ითვლება“ („ივერია“, 15 ივლისი, №163, 1904) და სხვ.

საყურადღებოა მღვდელ პოლიევქტოსის მიერ მოტანილი მასალა დროშა „ლემი“-ს შესახებ. ეს დროშა, ცნობილია, რომ სვანეთის საერისთავოს არსებობიდან მომდინარეობდა და მას ტრადიციულ ყოფაში საკრალური მნიშვნელობაც ენიჭებოდა: „გრძელი ხალხას წვერზედ დამაგრებულის ყვითელის ყანაოზისგან შეკერილი ლომი“ („ივერია“, №147, 25 ივნისი, 1904). დროშის საკითხს მკვლევარი შემდეგაც უბრუნდება და მსჯელობს „მესტიის“ ეტიმოლოგიის შესახებ. „თვით ეტნოგრაფიულნი, გეოგრაფიულნი, და სხ. სვანეთში დაცულნი სახელწოდებანი ფრიად საყურადღებონი არიან საისტორიო მეცნიერებისათვის. მაგ. საიდგან შემოვიდა სვანეთში მესტიის ძველი სახელი – „სეტი“? რათ დაერქვა მესტიის წმ. გიორგის ხატს „სეტისა“? მკვლევარს გავრცობილად აქვს ამ შეკითხვის პასუხი მოცემული. იგი ვარაუდობს, რომ ტერმინი „სეტი“ უძველესი დროიდან მოსულია, კერძოდ, სეტი იყო რა ეგვიპტელთა ერთ-ერთი ღვთაება, ეგვიპტელები ეომებოდნენ ხეთებს, ხეთები ემეზობლებოდნენ კაბადოკიელებს, რომლებიც, ზოგოერთი საისტორიო ვარაუდით, ქართველთა მონათესავენი გახლდნენ: „სვანებმა კაბადოკიიდგან გადმოიტანეს საკერპო კულტი სეტისა და ქრისტიანობის მიღების დროს ეგ კულტი მიაკუთნეს ქრისტიანობის უძლიერეს კაბადოკიელ მხედარს მ. გიორგის – ქართველს. ეგვიპტელთა მეფე რამზესი რომ ეომებოდა ხეტელებს და მათი დამორჩილება გაუჭირდა, გაწვრთნილი ლომები მიუსია და თავზარი დასცა საცოდავებს. იქნება წმ. გიორგის სეტის სამხედრო დროშა ლომის სათავეც აქედგან იყოს...“ (ივე-

რია“, №292, 22 დეკემბერი, 1904, 1904). რასაკვირველია, აქ მეცნიერი განიციდის იმ დროს გაბატონებული ისტორიულ-შედარებითი სკოლის გავლენას და ქართული კულტურის კონკრეტულ ელემენტს შორეული წარსულიდან მომდინარედ მიიჩნევს, თუმცა იგი მხოლოდ ვარაუდით გვაწვდის თავის მოსაზრებას და არასდროს არაა კატეგორიული მსჯელობისას. ექვთიმე თაყაიშვილს სხვა მოსაზრება აქვს სეტის ეტომოლგიასთან დაკავშირებით. იგი იზარებს ბერი ბაქარძის მოსაზრებას, რომ სეტში ქორეპისკოპოსის საყდარი იყო. (თაყაიშვილი 1991), ჩემი აზრითაც, ტერმინი „სეტი“ მომდინარეა სვეტიცხოვლის წმიდა ტრადიციებიდან ან ასკეტთა მესვეტეობის პერიოდიდან. მსგავსი ტოპონიმი არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც – სენტის მონასტერი, რომლის გარშემოც ძველად ქართველები ცხოვრობდნენ (გიულდენშტედტი 1964; მიბჩუანი 1986; გუჯეჯიანი 2009-II).

სხვა შემთხვევაში მნიშვნელოვანია მღვდელ პოლიევქტოსის დაკვირვება ცაგერის ეტიმოლოგიის შესახებ: „ცაგ სვანურად ეკალს ნიშნავს“ („ივერია“, №161, 30 ივლისი,) და სხვ.

მღვდელი პოლიევქტოსი საეკლესიო ნაგებობების გვერდით აღწერს საერო ნაგებობასაც, რომელთაც დიდი კულტურული ფასეულობა გააჩნია: ლარაშის ციხეს ლენტეხში, თავად ალი გარდაფხაძის რეზიდენციას ჩოლურში, ბარშის დადეშქელიანთა რეზიდენციას ეცერის თემში და სხვ.

ლარაშის ციხეზე საუბრისას მოაქვს ისტორიული ცნობები ამ ციხის გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ, ლენტეხში იხსენიებს სამინისტრო სკოლასა და სოფლის სამმართველოს („ივერია“, №193, 11 სექტემბერი, 1903).

აღწერილია ალი გარდაფხაძის კარ-მიდამო ჩოლურის თემის სოფელ ლეუშერაში: „იქნებოდა საღამოს რვა საათი, რომ მაღალ ვრცელ ქვითკირის გალავანში შევედით და ჩამოვხდით ცხენებიდგან. ამისთანა გალავნები ქართლში ბევრია ამილახვრიანთი, მუხრნიანთი, ერისთვიანთი და სხ. გალავანს გარეთ

ვრცელი სახნავ-სათესი და სათიბი ველის ცხენის წყლის პირამდე, ზურგს უკან აყუდებული ტყიანი მთა აკრავს. სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში დგას უშველებელი ოთხ-კუთხი ერთადერთი ციხე-კოშკი, შავად გამურული, გალავნის კედლების ისწვრივ აღმოსავლეთ-დასავლეთით წამოდგმულია მშვენიერი ბალკონიანი სახლები, ერთმანეთთან შეერთებულნი და დახურული აივნით“ („ივერია“, №193, 11 სექტემბერი, 1903). სოფელ ლეუშერის გარდაფხაძეთა ნამოსახლარის რესტავრაცია, უთუოდ, საჩქარო და აუცილებელია.

ეთნოლოგიისათვის მნიშვნელოვანია მღვდელი პოლიევქტოსის მიერ აღწერილი ძველი შიდა გზები, მაგალითად, ეცერის თემისა. თემის სახელს მკვლევარი იხსენიებს, როგორც „ეწერს“, მაგრამ ცნობილია, რომ მართებული ფორმაა „ეცერი“, ასე იხსენიება იგი ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრებაში“ (ქართლის ცხოვრება 1973: 261, 787). „შევუდექით ხიფათიანს მთის ბილიკებსა. დაბინდდა. ბილიკი გაბმით მშვენიერ თხილნარზედ მიდიოდა. 10 საათზე ეწერის საზოგადოებასაც მივახწიეთ. ჩრდილოეთის მხრივ შორიდგან გამოჩნდა დიდი სინათლე და ჩვენც იქით მივეშურებოდით“ („ივერია“, №163, 18 ივლისი, 1904). იგულისხმება ეცერის თემის სოფელ ბარშში არსებული დადეშქელიანების რეზიდენცია. მოგზაურები სწორედ თათარყან დადეშქელიანის სტუმრები იყვნენ. საგულისხმოა, რომ ბარშიდან დანახული ეცერის სანახები მხატვრულად და ექსპრესიულადაა აღწერილი: „მეორე დილით რომ ავდექით და გავიხედ-გამოვიხედეთ: აღმოსავლეთით მშვენიერი სერი დაშვებულა, დასავლეთით უფრო მაღლობი საძოვრიანი მთა აწოლილა, ჩრდილოეთით ტყიანი უღელტეხილია კავკასიის უმთავრეს ქედისაკენ. სამხრეთით ვრცელ ფერდობზედ მოფენილია ეწერის საზოგადოების სოფლები, რომელთა დაბლა ღრმა ხევში მოღრიალებს ენგური. გაღმა კი ამართულა ტყიანი მთა“ („ივერია“, №258, 11 ნოემბერი, 1904). ეცერის თემის სოფელ ბარშის დადეშქელიანების სამთავრო რეზიდენცია ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული კულტურის ისტორიაში. თარიღდება XV საუკუნით და დღეს სავალალო მდგომარეობაშია (გუჯეჯიანი 2011).

მღვდელ პოლიევქტოსის მასალა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, რადგან ავტორი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის როგორც ძველი ციხე-კომპლექსის, ასევე, მის დასავლეთით გაშენებული ახალი სახლისა და კარ-მიდამოს შესახებ. ეს ახალი კარ-მიდამო 1917/1918 წლებიდან აღარ არსებობს, დაიწვა და გავერანდა. შემოგვრჩა მხოლოდ ფოტოს სახით და მკვლევარ-მოგზაურთა ჩანაწერებში: „ჩვენს გარშემო ვრცელი ეზო ახლად აბიბინებულიყო ხასხასა მწვანით. ეზოს საშუალ სდგას ჩვენის გულ-უხვის მასპინძლის ორ-სართულიანი სახლი – დაბლა ქვითკირისა, მაღლა – ფიცრული, ყავრით გადახურული. აღმოსავლეთის მხრივ გადგმული აქვს თითქმის ოცი ადლის სიგრძე და განიერი აივანი. სახლის გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასე ოც საჟენზედ უზარმაზარი იფნის ხეა ამართული. იფნის ძირზედ აყუდებულია ერთიანის ქვისაგან გამოქანდაკებული სახელოვანის ოთარ დადეშქელიანის სახე (XVII საუკუნის დამდგეს). ამ იფნის ჩრდილში გატარებული დრო ყველას სამახსოვროდ დარჩება. სახლს უკან გამოჩუხჩუხებს ანაკარა, მთის საწისქვილო წყალი და სიგრილის სიოს ჰფენს მთელს ეზოს ... აივანზე რომ გავიარ-გამოვიარეთ, მთელის სახლის კედელი და სხვა წარწერებით მოფენილი აღმოჩნდა: ინგლისელი ფრეშფილდი, გერმანელი, შვეიცარელი, რუსი და სხვა („ივერია“, №258, 11 ნოემბერი, 1904).

შემდეგ აღწერილია დადეშქელიანთა ძველი რეზიდენცია: „ეზოს აღმოსავლეთით გზა ჩაუდის და გზას იქით ამართულია ძველი ციხე-დარბაზი დადეშქელიანებისა. დიდი მაღალი ციხე თითქოს დაღონებული დაჰყურებს ეწერის საზოგადოებას და წარსულ სისხლის წვიმების დროთა დაუნდობლობას არ ივიწყებს. ციხეს გარს ავლია ქვითკირის მაგარი გალავანი, ასე შვიდი ადლის სიმაღლე“ („ივერია“, №258, 11 ნოემბერი, 1904).

აღწერილია დადეშქელიანთა სახლში დაცული სიძველეებიც: „ამ ოჯახშივე დაცულია ძველი დიდი ხის სკივრი, მშვენიერი ჩუქურთმებით აჭრელებული. უწინდელი ძვირფასი იარაღი ხომ მრავლად არის, სათუთად ინახავენ“ („ივერია“, №268, 23 ნოემბერი, 1904).

მღვდელ პოლიევქტოსს აღწერილი აქვს მღვდელ გიორგი მარგიანის სახლი და კარმიდამო. ცნობილია, რომ ბალს ზემო სვანეთში ხის სახლი პირველად მამა გიორგი მარგიანს აუგია. ეს სახლი ამჟამადაც დგას სოფელ ჩვაბიანში. „ორ სართულიანი ვრცელი სახლი (დაბლა ქვითკირი, მაღლა ფიცრული), გარს – ჯიხურით (ბალკონი). ოთხივ კუთხივ გასახედ-გამოსახედავია. საცოდავი ბოსტანი, საფუტკრე, ფართო ეზო ამშვენებენ გ. მარგიანის სახლსა“ („ივერია“, №124, 29 მაისი, 1904).

მღვდელი პოლიევქტოსის ნაშრომის განსაკუთრებულ მნიშვნელობას განაპირობებს მასში აღწერილი რელიგიური რიტუალები და დღეობები. ამ კუთხით ნაშრომს ძალიან დიდი ღირებულება აქვს. მეცნიერი სასულიერო პირი გახლდათ და ამიტომ ადვილად სწვდებოდა ხალხური რიტუალების ჭეშმარიტ ქრისტიანულ არსს, ხედავდა, რომ ესა თუ ის რწმენა-წარმოდგენა კანონიკური სწავლების შეფერხების შედეგად იყო გაჩენილი და საეკლესიო ცოდნის პაგანიზების შედეგად გვევლინებოდა. მეცნიერი ამ მხრივაც განსხვავდება მისი დროის სხვა მკვლევარ-მოგზაურებისაგან.

მღვდელ პოლიევქტოსის მიერ აღწერილი რწმენა-წარმოდგენებიდან მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ფასეულია შემდეგი ინფორმაცია: „ჩამოვედით ჩოლურში და აქედან ლენტეხში საღამოს ცხრა საათზედ. მეორე დილით დავყევით ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს და ნაცნობი გზით თამამად ჩამოვიარეთ. აქ ერთ ალაგას გზის პირზედ კლდის ნამტვრევის პატარა ყორეა მოვლებული და შიგ კლდეში ჩასმულს ხის ბოძზედ ნიშია გაკეთებული. აქ აწყვია სამიოდე რკინის პატარა ჯვრები. ამ ბოძის ძირში აღმოსავლეთით მიწის პირათ კლდის

ფილაქანზედ შუათანა ადამიანის შიშველი ფეხია ცხადათ გამოტვიფრული: სვანების თქმულებით ოდესმე ქრისტე ღმერთი მობძანებულა სვანეთში თავის ზეციურ მოძღვრების საქადაგებლად და მისი ფეხის კვალი აი ამ კლდეზედ აღნიშნულია. მას აქეთ, სვანები ამიტომ თაყვანსა სცემენ ამ წმიდა ადგილსაო“ („ივერია“, №293, 23 დეკემბერი, 1904). ლენტეხის ყოფის ამსახველ სხვა მასალებსა და უფრო გვიან ჩაწერილ ლეგენდა-გადმოცემებში ეს ინფორმაცია სხვაგვარად არის დაფიქსირებული, ხშირად, დამახინჯებულიც. ამიტომაც მღვდელ პოლიევქტოსის მიერ ჩაწერილ გადმოცემას განსაკუთრებული ღირებულება გამოარჩევს და აუცილებელია მისი შეტანა სამეცნიერო ბრუნვაში.

ზოგიერთი რელიგიური რიტუალი და წეს-ჩვეულება განსაკუთრებით დეტალურად არის აღწერილი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღწერილობა ნათლისღების დღესასწაულსა (სვანურად „განცხდაბ“ – განცხადება) და აღდგომის და კვირაცხოვლობის კვირის თავისებურებებს ეხება: „მთელ სვანეთში ჩვეულებაა: 5 იანვარს დარეცხავენ ტანისამოსს, დახეხენ სახლის ავეჯეულობას და მთელ დღეს მარხულობენ. დაღამებისას გაშლიან სუფრას და დააგებენ სამარხო საჭმელს. დაანთებენ სანთელს და კარებს დახურავენ. თითქმის ერთს საათს ყველანი ხმაგაკმენდილები ჩუმათ არიან, ჩვენი მიცვალებულები აქ არიანო. ასე იქცევიან 4 საღამოს და რომ დაღამდება, გააღებენ კარებსა, გაშლიან სუფრას და სანთლითა და არყით გააცილებენ მიცვალებულებს და სთხოვენ – „ახლა კი მიბრძანდითო“, თან არაყს შეექცევიან. „შენდობა უთხარი, გვიშგვე ლუდგარი, ღმერთო შენდობა მიეც ჩვენ მიცვალებულებს... სვანების წარმოდგენით აღდგომის ბრწყინვალე კვირის პარასკევს ღმერთმა პირი დაიბანა. მეორე დღეს, შაბათს, ანგელოზები შეირია ერთად კვერცხითა და ყველითაო. თვით კვირაცხოვლობა დღეს კი დიდმა ღმერთმა შეირია ხორცითო. ამ დღეს სვანები ხარსა ჰკლავენ და დროს მხიარულად ატარე-

ბენ“ („ივერია“, №292, 22 დეკემბერი, 1904).

მღვდელ პოლიევქტოსს ყურადღება მიუქცევია ხალხურ დღეობათა ადგილობრივი თავისებურებებისათვის და სრულიად ობიექტური და რაციონალური ახსნაც მოუძებნია: ლატალის „საზოგადოებაში და მთელ სვანეთში საუკეთესო საყდარი არის წმ. იონასი სამის ტრაპეზით..... რადგან საყდრის დღეობა ქრისტიშობისთვის 9-ს მოდის, ზამთრის სიცივის გამო სვანები საყდრის გარშემო ეკუდერში ანთებენ ცეცხლსა და ღამეს ისე ათევენ. გაბოლილ-შემჭვარტლულიც ამიტომ არის“ (№163, 15 ივლისი, 1904).

თავად ცნობილ მგალობელს, მღვდელ პოლიევქტოსს, ჩემი აზრით, პირველს აქვს შენიშნული სვანური სიმღერების ერთი თავისებურება – მსგავსება ქართლ-კახურ კილოებთან: „სასიამოვნო იყო სვანური სიმღერა „დიდება მთავრ-ანგელოზებსა“... გამაკვირვა, გამაოცა ამ სიმღერამ: ნამდვილი ქართლული კილოა ქართლულის მოძახილითა და ბანით, ძალიან წააგავს „გლესავ, გაგლესავ, ნამგალო“-სა და „იავნანას“-ს. ყურთა სმენად გადვიქეცი. კილო ისე არა, როგორც ბანი და მოძახილი. გამიკვირდა: იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხუმ-რაჭაში საერო-საეკკლესიო კილოებში ბანი და მოძახილი სრულიად სხვა რიგად მისდევენ პირველ ხმასა და საერთო არა აქვსთ-რა ქართლულ ბან-მოძახილთან“ („ივერია“, № 193, 11 სექტემბერი, 1903). აღსანიშნავია, რომ ჩვენი დროისათვის ეს დაკვირვება გაზიარებულიაა ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში (ასლანიშვილი 1954; მაისურაძე 1989). შალვა ასლანიშვილის აზრით, სვანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ერთგვაროვანო ინტონაციური და ჰარმონიული თვისებების მქონე ორხმიანი წყობის ფორმები ადასტურებს ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებში ძველად საერთო მუსიკალური ენის არსებობას (ასლანიშვილი 1954).

მასშტაბურია მღვდელ პოლიევქტოსის ხედვა და იგი ყურადღებას აქცევს კავკასიელთა შორის რუსების შემოჭრის შემ-

დგომ დაწყებულ გაუცხოების პრობლემასაც. ცნობილია, თუ როგორ ზრუნავდა საქართველოს სახელმწიფო თავისი ძლიერების დროს ჩრდილო და სამხრეთ კავკასიელებზე და როგორი კეთილმეზობლური ურთიერთობები არსებობდა ჩვენ შორის, ვიდრე გვიან იშუასაუკუნეების დაწყებამდე, რა დროიდანაც რუსები აფართოებენ თავიანთ სამხრეთის საზღვრებს (თოფჩიშვილი 2007). მღვდელი პოლიევქტოსი დადებითად აფასებს სვანებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის არსებულ ურთიერთობებს, აღნიშნავს, რომ სვანები ამ მხრივაც ძველ ქართულ ტრადიციებს ინარჩუნებენ: „თავად-აზნაურნი ემოყვრებოდნენ -ნათესავებოდნენ ჩერქეზეთსა და ოსეთსა, და დღეს ეს მშვენიერი ჩვეულება ერთობისა შეწყდა, – სვანეთში კი დღესაც ხშირი მისვლა-მოსვლაა და დღესაც ხშირია მოყვრობა ჩერქეზეთისა და ოსეთისაკენ. ჩვენი პატივცემულის ბ-ნ თათარყან დადიშქელიანის და კესა-ხანი გათხოვილი იყო ოსეთის ს. ბახსანში, ადილგერ ჩეფელიშვილზედ“ („ივერია“, №292, 22 დეკემბერი, 1904). აქ მცირედი განმარტებაა საჭირო, სვანეთთან მიმართებით ტერმინ „ოსეთის“ ქვეშ რეალურად იგულისხმებიან არა ეთნიკურად ოსები, არამედ ყარაჩაელები და ბალყარელები, რომელთაც სვანურად „სავიარ“ ჰქვიათ. XIX საუკუნის ლიტერატურაში ტერმინ „სავიარების“ სტანდარტულ ქართულ ენაზე გადმოტანის დროს უმრავლეს შემთხვევაში „ოსეთი“ იწერებოდა, რაც შეცდომაა.

ნაშრომში არის სხვა რამდენიმე უზუსტობაც, რაც გამოწვეულია იმდროინდელი ტენდენციებითა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ხარვეზებით. მაგალითად, ლახმულის თემზე თხრობისას მეორდება არასწორი შეხედულება იქაურთა ებრაული წარმოშობის შესახებ („ივერია“, №293, 23 დეკემბერი, 1904). ეს აზრი ფართოდ იყო გავრცელებული XIX საუკუნის II ნახევარში ბალს ქვემო სვანეთსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ცდომილებას აქვს თავისი ისტორია, რომელზე მსჯელობაც სცილდება წინამდებარე სტატიის ფარგლებს.

მღვდელი პოლიევქტოსი უშუალოდ იყო ჩართული ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ხედავდა იმპერიის იდეოლოგიის ანტიქართულ ხასიათს. იგი ეხება ამ პრობლემასაც. უშგულში ადგილობრივ მამასახლისთან, გეგი ნიჟარაძესთან, საუბრის დროს გამოკვეთს მთელი სვანეთის სატკივარს, რასაც რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა განაპირობებდა: „ჩვენ შვილებს ქართულის სწავლა ეჭირვებათ, მაგრამ არ ვიცით, რატომ არ ასწავლიანო“. ამისთანა უკმაყოფილებას მთელ სავანეთში გაუდგამს ფესვი და რა ხილსაც დაისხმას, ეს მერე გამოჩნდება“ („ივერია“, №213, 7 ოქტომბერი, 1903).

სვანეთის ეთნოლოგია ამოუწურავია, არაერთი რეალია ახლებურადაა შესასწავლი და გასაანალიზებელი. ვფიქრობ მღვდელ პოლიევქტოსის ეს წერილები საყურადღებოა მეცნიერებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, მღვდელ პოლიევქტოსის წერილებს მხოლოდ მეცნიერული ღირებულება არა აქვთ, მისი წერილები სრულიად ახალი სიტყვაა იმდროინდელი საქართველოსათვის – ახალი და მაღალი ჰუმანისტური ხედვის მატარებელია ავტორი. ვგულისხმობ შემდეგს: XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსულენოვან მკვლევარ-მოგზაურთა დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, წინასწარ ჩამოყალიბებული სქემებით უდგებოდა სვანეთის კვლევას, იგნორირდებოდა სვანეთის თანამონაწილეობა ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის შექმნაში და გვიანი შუასაუკუნეებიდან დამკვიდრებული კულტურის რეგრესი მიიჩნეოდა სვანეთის ისტორიისა და ყოფის პირველად მომენტად, არ ხდებოდა ისტორიული დინამიკის გათვალისწინება და მაქსიმალურად უარყოფითი სახით წარმოჩინდებოდა სვანეთის ეთნოგრაფიული და ისტორიული მახასიათებლები. სვანები ლამის განვითარების ადრეულ საფეხურზე მყოფ ჯგუფად განიხილებოდნენ. ამასთანავე, მკვლევარ-მოგზაურთა დიდი ნაწილის წერილებსა და ჩანაწერებში მოჩანს სვანეთის მოსახლეობი-

სადმი სრული გულგრილობაც ან ქედმაღალი დამოკიდებულება. ამ მხრივ რამდენიმე გამონაკლისი არსებობს: პირველი ობიექტური და კეთილგანწყობილი ნაშრომი დიდ ქართველ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს ეკუთვნის (ბაქრაძე 1864), ასევთივე გამორჩეული ღირსებების მქონეა მღვდელ პოლიევქტოსის წერილიც, ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომი (თაყაიშვილი 1991) და სხვ. მღვდელი პოლიევქტოსი სიყვარულით უყურებს სვანებს, ხედავს მათ პრობლემებსაც იმ დიდ ღირსებებსაც, რითაც ქართველი მთიელები მუდამ გამოირჩეოდნენ. ყველგან, სადაც კი ადამიანებზე საუბრობს, ავლენს სიყვარულს და საპასუხოდ იღებს სვანების კეთილგანწყობასაც: „ვრცელი ეზო თ. თათარყან დადეშქელიანისა ერთიანად განათებული იყო. დაღლილებს სიცოცხლე მოგვიმატა ძველმა ქართველურმა გულგაშლილობამ და შუაღამე გადასული იყო, რომ მაღალ-განიერს აივანში ყველანი ვსტკბებოდით ჩვენის გულუხვის მასპინძლის საგულისხმო საუბრითა“ („ივერია“, №166, 18 ივლისი, 1904). სხვა წერილშიც ყურადღება გამახვილებულია დადეშქელიანთა გულუხვობისა და შესანიშნავი მასპინძლობის შესახებ: „რაც კი კაცის ხელთ საშუალებაა, არას ზოგავს გულუხვი მასპინძელი მოკლე ზაფხულში ულეველ სტუმართა სასიამოვნოდ. ჩვენ ორი დღე და სამი ღამე დავრჩით ბატონ თათარყანთან და ამ დროს 4-5 რიგობა მგზავრებისა წავიდ-მოვიდნენ: ზოგს ისტუმრებდნენ და თან ატანდნენ სანოვაგეს, ზოგს უმასპინძლდებოდნენ, ზოგს მოელოდნენ. 10-12 მოსამსახურე მგზავრებს უნდებოდნენ“ („ივერია“, №258, 11 ნოემბერი, 1904). „ს. ლენტეხის ასწვრივ ლაშქადურას მარცხნივ მდებარეობენ სოფლები: კახურა, მესირი და სხვ. ქალი და კაცი გამოიფინნენ გზის პირად და გვიყურებდნენ, გვეღიმებოდნენ და სალამს გვაძლევდნენ მხიარულებით.. წმინდა ქართულად ლაპარაკობენ“ („ივერია“, 11 სექტემბერი, №193, 1903).

ბოლო წერილში მღვდელი პოლიევქტოსი წერს: „ჩვენი სამშობლო ქვეყნის ამისთანა კუთხის ნახვა და შესწავლა ყოველი

ქართველისათვის სანატრელი უნდა იყოს. მიზეზი ეს იყო, რომ დიდი ხნის ნატვრა აღვისრულე და ჯანგატეხილმა კაცმა გავბედე სვანეთში ორი კვირით გავლა-გამოვლა. ბედნიერებად ჩავთვლიდი, თუ ღმერთი ოდესმე კიდევ მაღირსებდა სვანეთის ნახვასა“ („ივერია“, 23 დეკემბერი, №293, 1904).

სტატიაზე მუშაობის დროს მუდმივად ვფიქრობდი ძმები კარბელაშვილების ცხოვრებასა და ღვაწლზე, იმ ტკივილსა და ტანჯვაზე, რაც მათ მოელოდათ სიცოცხლის ბოლო წლებში და თანაგანცდამ მათი მოწამებრივი გზისა, მაფიქრებინა მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის ამ წერილის ცალკე წიგნად გამოცემა. დასრულებული სახით კი, 2022 წლის ბოლოსათვის მკითხველი უკვე იხილავს მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილის სვანეთში მოგზაურობის წერილებს წიგნად გამოცემულს, წინასიტყვაობითა და თანდართული კომენტარებით.

მადლიერებას გამოვხატავ ლუარსაბ ტოგონიძის, ია თაბაგარისა და ბარბარე ლიპარტელიანისადმი, რომლებიც სტატიაზე მუშაობის დროს კონსულტაციებს მიწევდნენ.

დამოწმებული ლიტერატურა:

ანდღულაძე 2004 – სოფიო ანდღულაძე, ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილი) კარბელაშვილი (1858-1936), – გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, № 28 (286) - 29 (287), 2004 წ.

ასლანიშვილი 1954 – შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954.

ბართოლომეი 1855 – Бартоломей М. А., Поездка в Вольную Сванетию, ЗКОИРГО, т. III, Тиф., 1855 г., გვ. 161-162.

ბაქრაძე 1864 – Бакрадзе Д, Сванетия, ЗКОИРГО, т. VI, Тиф., 1864.

გიულდენშტედტი 1964 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1964.

გუჯეჯიანი 2007 – რ. გუჯეჯიანი, „ერთობილნი სვანნი“ საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, – სამეცნიერო კონფერენციის „თეო-

ლოგიის კათედრა 5 წლისაა“ მასალათა კრებული, თბ. 2007, გვ. 104-113.

გუჯეჯიანი 2015 – რ. გუჯეჯიანი, კალის წმიდა კვირიკეს მონასტრის ისტორია და კვირიკობა სვანეთში, – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. V, თბ., 2015.

გუჯეჯიანი 2008 – რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008.

გუჯეჯიანი 2009-I – ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან (ლევან დადეშქელიანი – საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი), – კრ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, I, ქუთაისი, 2009. გვ., 68-77.

გუჯეჯიანი 2009-II – ქართული კულტურის ელემენტები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში (ბალყარეთი, ყარაჩაი, ყაბარდო), - კრ.: საქართველო და მსოფლიო, ბათუმი, 2009, გვ., 277-291. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

გუჯეჯიანი 2004 – რ. გუჯეჯიანი, ღირსეული სვანი მოღვაწე ბერი თეოფანე (კორძაია) (1839-1911) – საპატრიარქოს უწყებანი. №N29 (287), 2004.

გუჯეჯიანი 2011 – R. Gujejiani, Unique Monument of Georgian Cultural Heritage in Svaneti – Principality Residence of the Dadeshkeliani Family in Etseri – problems and perspectives. –kr., Caucasus Journa of Social Sciences, Volume 4, Issue 1, The university of Georgia, თბ., 2011. გვ., 132-136.

თაყაიშვილი 1991 – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წ. – ქელ, ტ. II, 1991.

თოფჩიშვილი 2007 - რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბ., 2007.

ლეჟავა 2008 – თ. ლეჟავა, „ივანე მარგიანი - ცხოვრება და მოღვაწეობა“, თბ., 2008.

მაისურაძე 1989 – ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989.

მიბჩუანი 1986 – თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986.

ტოგონიძე 2012-I – ლ. ტოგონიძე, ძმები კარბელაშვილები. ავტ. და ხელმძღვ. ლუარსაბ ტოგონიძე; ტექსტი - სოფიო ანდღულაძე; რედ. ქეთევან პავლიაშვილი; ბოლოთქმა - Graham, John A. თბ., 2012.

ტოგონიძე 2012-II – ლ. ტოგონიძე, რატომ იყვნენ ძმები კარბელაშვილები „შავ სიაში“ შეყვანილები და როგორ დასაჯეს ისინი გარდაცვალების შემდეგ (ინტერვიუ), – ჟ. თბილისელები, №6, 2012.

ქართლის ცხოვრება 1973 – ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 261, გვ. 787.

„სვანეთში ორი კვირით“. წერილი გაგრძელებების სახით იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ 1903 წლის 29 ივლისიდან 1904 წლის 23 დეკემბრამდე შემდეგ ნომრებში:

„ივერია“, №160, 29 ივლისი, 1903.
„ივერია“, №161, 30 ივლისი, 1903.
„ივერია“ №163, 1 აგვისტო, 1903.
„ივერია“ №164, 2 აგვისტო, 1903.
„ივერია“, №168, 8 აგვისტო, 1903.
„ივერია“, №187, 3 სექტემბერი, 1903.
„ივერია“, №193, 11 სექტემბერი, 1903.
„ივერია“, №197, 16 სექტემბერი, 1903.
„ივერია“, №198, 17 სექტემბერი, 1903.
„ივერია“,№213, 7 ოქტომბერი, 1903.
„ივერია“, №214, 8 ოქტომბერი, 1903
„ივერია“, №222, 17 ოქტომბერი, 1903.
„ივერია“, №232, 31 ოქტომბერი, 1903;
„ივერია“, №233, 1 ნოემბერი, 1903.
„ივერია“, №236, 5 ნოემბერი, 1903.
„ივერია“, №68, 16 მარტი, 1904.
„ივერია“, №119, 22 მაისი, 1904.
„ივერია, №124, 29 მაისი, 1904.
„ივერია“, №140, 17 ივნისი, 1904.
„ივერია“, №141 18 ივნისი, 1904.
„ივერია“, №147, 25 ივნისი, 1904.
„ივერია“, №148, 26 ივნისი, 1904.
„ივერია“, №163, 15 ივლისი, 1904.

„ივერია“, №166, 18 ივლისი, 1904.
„ივერია“, №258, 11 ნოემბერი, 1904.
„ივერია“, №260, 13 ნოემბერი, 1904.
„ივერია“, №263, 17 ნოემბერი, 1904.
„ივერია“, №268, 23 ნოემბერი, 1904.
„ივერია“, №272, 27 ნოემბერი, 1904.
„ივერია“, №292, 22 დეკემბერი, 1904.
„ივერია“, №293, 23 დეკემბერი, 1904.

სვანეთში ორი კვირით
მღ. პ. კარბელაშვილი

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №160. ივლისის 29, სამშაბათი. გვ. 2

I

რაკი ერთ ადგილას დგომა წყალს გუბედ, წუმპედ აქცევს, აყროლებს, რაკი ერთ ადგილს გამუდმებული ცხოვრება კაცს გონებრივად ახავსებს, აჩერჩეტებს, აყრუებს, – როცა ზედიზედ რამდენსამე თვეს ერთ ადგილას ვცხოვრობ ხოლმე, ზემორე თქმული გამიელვებს ხოლე გულში და მაშინ მეზმანება აქეთ-იქით გავლა-გამოვლა. თითქმის წელიწადი შესრულდა ფეხი ვერსად გავდგი ტფილისიდამ და მალ-მალ გაფრთხილებდი ჩემს თავსა – ჰა, არ გამოჩერჩეტდე მეთქი. ამიტომ სიხარულით ცას დავეწიე, როცა სიტყვა გადამიკრეს ჩემმა მეგობრებმა, – მოდი სვანეთისაკენ გავისეირნოთო. ღვთის-წყალობა გაქვთ, მე გულში ჩავიცინე: სწორედ კატის თავში ძეხვის ჩარტყმა იყო. მე იმ დღიდგანვე შევუდექ სამგზავრო სამზადისსა.

მაგრამ ვისაც-კი დავეკითხე, ყველამ შორს დამიჭირა – რამ გამოგასულელა, რამ აგტეხაო? ხომ არ გინდა კლდე-ღრეში საყორნეთ გახდეო, იმ ველურ ხალხში რა დაგრჩენიაო! დამაფიქრა დიდად ამისთანა რიხიანმა სიტყვებმა. მაგრამ ამავე დროს რამდენმამე მეგობარმა დამინიჟა – ვის აჰყოლიხარ, თუ ღმერთი გწამს წადი, მიიარ-მოიარე და გვითხარი რამე სვანეთზეო.

გადავიწერე პირჯვარი და ვახსენე მაღალი ღმერთი.

2 მკათათვეს საღამოთი ქაჯიანმა ორთქმავალმა ხელად მიმაგდო ქუთაისში. აქ სამნი ამხანაგნი შევიყარენით, მეოთხე ჯერ არ მოსულიყო; ამიტომ ოთხიოდე დღე შეგვიგვიანდა. შევუდექით სამგზავრო თავდარიგსა, მოგვივიდა მეოთხე ამხანაგიც და სამშაბათს, 8 მკათათვეს, დილის ექვს საათზედ ერთი დანჯღრეული ეტლით (линейка) გავუდექით გზასა და ორმოც-

და-თორმეტი ვერსი რიონის მარჯვნივ ვიარეთ ს. ალპანამდე. ხეობა მდიდარია მცენარეულობით, მაგრამ მეტის-მეტი მიუდგომელი მთა-გორიაბია. ორივე მხრივ ძალიან და მჭიდროდ დასახლებულ გლეხ-კაცობას სახნავი მიწების ნაკლებობა ეტყობა; მისასვლელ-მოსასვლელი გზები ძალიან აღმართ-დაღმართიანია და ამიტომ აქ, ბარში ჩვეულებრივი ურმის მაგიერ პატარა გოგორებიანი ბოლოთრია დაჩოჩავს მამაპაპურად. ჩვენებური ურმები რაჭამდი მუშაობს და სხვა-და-სხვა საქონელი მიაქვთ-მოაქვთ. ფურგონებს თითო ოროლას თუ შეხვდებით. გასცილდებით თუ არა ქუთაისს, მშვენიერი ხილნარით მოცული ეზოები იზიდავს თვალსა. ხილი წყლიანია და ქართლ-კახურივით ტკბილი-გემრიელი ვერ არის. საითაც გაიხედავთ, შემოღობილი სიმინდებია და გაჩაღებული თოხვა; პური ნაკლებ მოჰყავთ. აქ გლეხ-კაცობა მეტად გულჩათხრობილია, დაფიქრებული: ორმოცდა-თორმეტი ვერსის მანძილზედ ერთიც არი რამ სიმღერა წამლათ არ გაგვიგონია; მგზავრი ბუზივით ირეოდა, მრავალი მუშა ხალხი აწვეთებდა მადლიან ოფლსა და ჩაჰყურებდა შავს მიწას გზის ორივე მხრივ, მაგრამ ხმა გაკმენდილი, პირგაუცინარი!... მართლაც და რა აქვს გასახარელი? მის ნამუშევარს სხვა აფასებს და ჩალის ფასად მიაქვს... ნახნავ ნათესი ერთიან შემოღობილია ხელმანით. ამიტომ მეტად სასაცილო სანახავია აქ ღორები: დიდსა და პატარას ყველას რჩხებიანი უღლები აქვს გაკეთებული კისერზედ, რომ კუდაშვერილები ღობეებში არ გაძვრნენ და მოსავალი არ წაახდინონ. დილით საღამომდე გზაზედ დაწანწალებენ, ჩაწოლა ლაფში, ან მზეზედ ნებივრად წამოწოლა ენატრებათ; თუ მოახერხა როგორმე დაწოლა, მაშინ ვაი ზეზე ადგომასა!

რასაკვირველია, სხვა შინაური საქონელიც ესრე იტანჯება, მამულის სივიწროვისა გამო და მეტად ტან-აუყრელია: აქ ვერსად ვერ შევხვდით ქართლ-კახურად - ვერც ღორხბოსა, ვერც ნახირსა, ვერც ცხვრის ფარასა, ანუ საქონლის ჯოგებსა. ცხვარს, თხას, ღორს იმდენს ინახავს აქ გლეხი, რავდენიც საჭიროა

შინაურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: ბედნიერ დღეში და სტუმრის დასახვედრათ საკლავი ჰყვანდეს შინ, მატყლი და თხის თივთიკი შალების საქსოვათ და ნაბდების მოსათელათ ჰქონდეს – მორჩა და გათავდა! ქათამი და ბატი ძალიან ცოტაა, ინდოური ვერსად ვნახეთ.

თუმცა სოფლები ხშირია გაღმა-გამოღმა, მაგრამ აქაც მამულის სივიწროვისა გამო შორიშორსა დგანან და ციცაბ-მაღლობი ფერდოები სასიმინდე მიწებად გადაუქცევიათ. ცხადია, რომ აქ გლეხ-კაცობამ მხოლოდ თავგამოდებულის ზნეობითა და ოფლის ღვრით უნდა აცხოვროს ცოლშვილი და ათასნაირ გადასახადს გაუძღვეს. ამოდენა მანძილზედ იშვიათი სანახავია ძველი საყდარი, ანუ ციხე-კოშკი.

მშვენიერს რიონის ხეობაში იშვიათი სანახავია გარეული ფრინველიც: ბულბული, მტრედი, ტოროლა, მოლაღური, ყვავი, კაჭკაჭი, კირკიტა და სხ. ვერსადა ვნახეთ. ათასში ერთხელ შაშვის შტვენა მიმოისმოდა და ყურთასმენას გვიტკბობდა.

პატარა ს. ჟონეთში მივედით. აქ რიონის მარჯვენა ნაპირს ვიღაც სტეფანოვს გაუმართავს თეთრი ქვის (თაგვ მარილასა ჰგავს) баритъ დიდი წისქვილი (ქარხანა), რიონზედ ბორანი გაუკეთებია და გოდრულა აკიდებული ცხენებით გაღმიდგან ეზიდებიან დასაფქველ ქვასა. დაფქულს ქვას ბოჭკებით ჰგზავნიან სამზღვარ-გარეთ და რუსეთში ისე, როგორც ჩვენში ცემენტი მოაქვთ. ამ ქარხანაში ორასამდე კაცი მუშაობს. ქარხნის გამგებელი ვიღაც ნამეცია ქ. რაგიდგან.

ამ ქარხნის პირდაპირ, გზის იქით ვიღაც ალექსი ბერძენს სახლი-დუქანი აუშენებია და გზის აყოლება კლდეებში ქვასა ჰსჭრის და სთლის წისქვილის და ხელსაფქვავის ქვებსა.

ქუთაისიდგან დაწყებული ალპანამდე ბევრგან შევნიშნეთ ნასოფლარნი, ნავენახობნი. უწინ აქ ერთი ორად მეტი ხალხი მდგარა და უცხოვრიათ. ამისთანა ადგილები დღეს აღნიშნულია დაბერებული მსხლის, ვაშლის, კაკლის და სხ. ხეებით.

სოფ. ნამახვანში ჩამოვხდით და დავნაყრდით. აქ გზა. გზა

უხეირო დუქნებში დიდი სიძვირეა. აქ ყიფიანის ღვინის სახელი განთქმულია, როგორც ჩვენში კახური. მისი სახელით ბევრი მჟავე და წყალ-წყალა ღვინოები საღდება ბოთლი ექვს შაურათ და პირში კი არ ჩაიშვება. გამომცხვარ პურს აქ ყველგან მარილ ნაკლებს აცხობენ. ნამახვანადამ ტკიშში ჩამოვხდით, პატარა ხეხილიან ჩრდილში. ქუთაისიდამ მოკიდებული, გავრცელებული ვაზი- იზაბელა, ჩვენებურ ანდრიულს ჟღიას წააგავს ძალიან. აქ ტკიშშიაც მოსდებია ამ ვაზს ობი, ფოთოლი დაუხრუკნია, ყურძენი გაუყრევინებია და თითო-ოროლა კიწიღა შერჩენია აქა-იქა.

ჩვენ პირდაპირ, რიონს გაღმა ამართული იყო მაღალი კლდოვანი ქედი; ამ კლდეებში შევნიშნეთ გამოქვაბულნი; ალბათ უწინ კაცი უდგებოდა ამ კლდეებს, მაგრამ ეხლა კატაც ვერ მიცოცდება, ისეთი დაკიდებული კლდეა. მარცხნივ რო გავიხედეთ დავინახეთ ერთი ათათ უფუაღრესი მაღალი და ამართული, დიდებული სანახავი კლდოვანი ხვამლის მთა უძველესის თქმულებით ბერძნების პრომეთეოსი და ჩვენი ამირანი ამ კლდოვან ხვამლის მთაზედ ყოფილა ჯაჭვებით დამბული. აქა-იქა გამოქვაბულებიც[11] მოსჩანს. დიდხანს დავაშტერეთ თვალი ამ უზარმაზარს ხვამლის მთას, მისი ქედი დიდ მანძილზე მიდის: ჯერ რიონისა და ცხენის წყლის ხეობებსა ჰყოფს, მერე ჩრდილოეთისაკენ მიიმართება ცაგერამდე.

გზა-გზა ხშირად ჩამოჩანჩქარებდნენ მთის ანკარა ცივი ნაკადულები, ყველგან შევდგებოდით ხოლმე და მუშტრის გემოვნებით ვსინჯავდით ამა თუ იმ წყლის სიკეთესა.

ავიარეთ ხვამლის მთის ძირი, მაგრამ შენს მტერს ჩვენი ყოფა: ვეებერთელა ამართული კლდეები გზას გადმოჰფარებია და გვეგონა ან ახლა დაგვაწვება თავს, ან ეხლაო. მივახწიეთ ალპანს, სადაც მოხუც რიონს გამოვეთხოვეთ. აქ ჩრდილოე-

1. ამ ქვაბებში გახიზნავდნენ ხოლმე საქართველოს მეფენი თავისს საგანძურსა. „და განყვეს (მეფე დავითებმა † 1245 წელს) საჭურჭლენი ორად, გარნა ხუამლისა ქვაბსა, რომელი იდვა მცირე რამ, გამოიღეს და გაყვეს და უფროსი ქვაბსავე დაუტევეს.“ იხ. „ქართლის ცხოვრება“ 1, 393 გვ.

თით რიონს ერთვის მრისხანე მდინარე ლაჯაბური; თვით რიონის ხეობა - კი აქ აღმოსავლეთისკენ შვრება პირს და რაჭისკენ მიიზლაზნება.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №161. ივლისის 30, ოთხშაბათი. გვ. 1- 2

II

ალპანასთან ხიდზე გადავედით ლაჯანურას მარცხენა ნაპირს და გავსწიეთ ს. ორბელიანისაკენ. აქ ლაჯანურას სულ ოთხი-ხუთი საჟენის სიგანე კალაპოტი გაუჭამია უშველებელ კლდეებს შუა და ერთი კორიანტელით, ერთი ვაი-ვაგლახით მიშხუის აქაფებული ქვეით. ორმოცი საჟენის სიმაღლეზე კლდის ციცაბზე მიიკლაკნება საცოდაობით სავსე გზა, რაც ერთ ეტლს ეყოფა იმ სიგანით. მაღლიდან ეს-ეს არი გადმოსავარდნელი უშველებელი კლდეები დაიბღვირებიან (აქ რა გინდათ, რისთვის მოსულხართ, რას დადიხართო!), დაბლიდგან ჯოჯოხეთის უფსკრულს დაუღრენია საშინელი ხახა (აცა, როდის ჩამოცვივიანო!). ორგან-სამგან ცხენიც-კი გამოუშვეს გზის სივიწროვისა გამო. რამდენსამე ადგილს კლდე გვედებოდა მუხლებზედ, კინაღამ ფეხები არ მოგვაფშვნიტა. მაგრამ, შენც არ მომიკვდე. ავიარეთ როგორც იყო ეს საშინელი პატარა დარიალის ხევი და ორი საათის შემდეგ გავივაკეთ: წინ გადაგვეშალა ვრცელი ლაჯანურას ხეობა. იქვე მარცხნივ, გაღმა ს. უსახელო და მშვენიერი ხეობა ნარნარებდა თავის კოპწია ნახნავ-ნათესით და ლამაზი ვაკეებიანი გორაკებით. ავყევით ლაჯანურას და ერთი საათის შემდეგ ასე საღამოს შვიდ საათზე ს.ორბელს მივატანეთ. გამოღმა მაღლა მდებარეობს ს.ლაილაში, წინ ლაჯანურას მარცხნივ ს.ლაჯანა, ახალჭალა. აქ ადიდებულ ლაჯანურას ამ გაზაფხულზედ ხიდი გაეფუჭებინა და დიდძალი მუშა იდგა ხიდის შესაკეთებლად. ვიდრე ცაგერისკენ გავემართებოდით, მშვენიერი ხეობის მდებარეობას ვსინჯავდით: საითაც გაიხედავთ, მაღლა გორაზედ ქოჩორა ტყეა. ამ

ქოჩორა ტყეებში ძველი საყდრებია, ანუ მათი ნანგრევნი: აქ შევნიშნეთ კვირა ცხოველი, მარიაშენი, ცხეთა და სხ. ხალხი ყოველთვის თავს იყრის სალოცავად ამ საყდრებთან და ჩრდილოვან ხეებს უფრთხილდება, ხელს არ ახლებს. იქვე ორბელის წინ ლაჯანურას მარჯვენა ნაპირს გადმოიყურება მშვენიერი ლეშხალის ციხე, ძველი საფარველი გელოვანებისა და მიდამო სოფლებისა მტრის შემოსევის დროს. ს. ორბელში გზის პირად გადმოჩუხჩუხებს კარგი რკინიანი წყარო.

ასე მერვე საათზე გავსწიეთ ცაგერისკენ, აღმართი იყო ოღრო-ჩოღრო, მეტად გაფუჭებული ნიაღვრებისაგან. აქ ხშირად ნახავთ პაწაწა წყაროებს და ამიტომ თვით მიწაც ადვილად ზვავდება და დაბლა მოდის.

გადავხედეთ ცხენის წყალის ხეობას და ასე ათ საათს აღარა აკლდა რა და კარგათ ბნელოდა, რომ მივედით ცაგერში და ჩამოვხდით ლეჩხუმის მაზრის უფროსთან, ბ.ზ.რ. ყიფიანთან. ამ ჭეშმარიტი ქართველის კაცის ოჯახმა ხელი შეგვიწყო ყოელმხრივ, რომ ჩვენს მგზავრობას მშვიდობიანად ჩაევლო და ნაყოფიერი, სასარგებლო ყოფილიყო. ძველებური სტუმართ მოყვარეობა, დარბაისლური ზრდილობა და ქცევა ამ ოჯახში ხელშეუხებლად შენახულა. სანატრელია ამისთანა ოჯახში დასვენება დაღლილი მგზავრისათვის! განვლილ ტანჯვათა დავიწყების შემდეგ მომავალი ფათერაკნი, გზის სიძნელე არაფრად ეჩვენება მგზავრსა და მხნევდება ხვალისათვის. აქვე სცხოვრებს ჯერეთ ახალგაზრდა ბლაღოჩინი მღ. ა. გერსამია, რომელმაც თვისი ცოდნით და გამოცდილებით ბ. ყიფიანივით გაგვიადვილა სიძნელე მოგზაურობისა. ს. ცაგერი[11] მეორე დილით დავათვალიერეთ, ცაგერის ოდესმე სამღვდელთ მთავრო ტაძარიც. დაძველებული ხელახლად აუშენებიათ თლილის ქვისაგან ამ ორმოცის წლის წინად. გალავანი-კი ისევ ძველია. თვით ტაძარი უგუმბათოა და სასიამოვნო სანახავია შიგნით-გარეთ. ცაგერის მღვდელმთავარი განაგებდა ლეჩხუმს და სვანეთს.

1. ცაგ სვანურად ნიშნავს ეკალს, ცაგერი - ეკლიანს.

აქვე გალავნის სამხრეთით მთლად დაცულია მშვენიერი მღვდელთ-მთავრების სადგომი ძველი ორ სართულიანი სახლი-დაბლა ქვითკირისა, მაღლა ფიცრული, ყავრით დახურული; აქვე ეზოში, გალავნის მახლობლად სდგას უზარმაზარი ცაცხვის ხე. ძირს გარშემო კარგა მოზრდილი ამაღლებული ადგილით ისე, როგორც ქუთაისის ბაგრატის ტაძართან. ამ ხეს ქვეშ გამოვიდოდა ხოლმე წირვის შემდეგ მღვდელთ-მთავარი, ამ ამაღლებულს ადგილზედ დაბძანდებოდა და სამართალს აძლევდა თავის ეკლესიის ყმათა. აქვე ხდებოდა ყრილობა საქვეყნო საქმეების განსაგებლად. დღეს ეს მხცოვანი ცაცხვი და სახლი ეზოიანათ ხაზინის ხელშია.

ცაგერის ტაძარი ოდესმე მდიდარი ყოფილა ყოველივე საეკკლესიო სამკაულით. დღემდე ძალიან მცირედმა ნაწილმა მოახწია იმ აუარებელი სიმდიდრიდამ. აქ შესანიშნავია ორი დიდი ხატი – მაცხოვრისა და ღვთის მშობლისა, ორივე ოქრო--ვერცხლით შეჭედილნი და სხვა-და-სხვა ქვებით შემკულნი; აქვეა მშვენიერი საწინამძღვრო ჯვარი, დამყარებული შიგადაშიგ ბუშტებიან ვერცხლის კვერთხზედ.

ა) მაცხოვრის ხატი შესანიშნავია, როგორც მხატვრობის, ისე საოქრომჭედლო ხელოვნებით. სახე მაცხოვრისა მრისხანებას გამომეტყველებს, შუბლ შეკრულია ისე, როგორც წილკნის და საყვირეთის ღვთის მშობლის ხატებზედ. ესრეთი მრისხანე სახის გამომეტყველებით ხატები ეკუთვნიან იმ დროს, როცა საბერძნეთის და რომის ეკკლესიანი ჯერ არ განყოფილიყვნენ (862 წ.) ხატი არის სიგრძე სიგანით 87X57 სანტიმეტრი. ამ ხატის გარს არშია და თვით ხატი სხვა ვიწრო დაფერდილი არშიით ერთდებიან. აი ამ დაფერდილ ვიწრო არშიაზე ხატის გარშემო აწერია მსხვილი ასო მთავრულით №1 „ქ. მაცხოვარო ყოველთა დაბადებულთაო, ადიდე შენ მიერითა დიდებითა ღვთით გჳრგჳნოსანი ძლიერი ბაგრატ აფხაზთა მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა კოჳრაპალატი ამინ იყავნ“.[11] ჩვენ ეჭვი არა გვაქვს,

1. ეს წარწერა პირველად არის ჩვენგან წაკითხული.

რომ ეს ხატი ქუთაისის ბაგრატის ტაძრისაა და, აქ გამოხიზნული XVII საუკ.

დამლევს მტერთაგან დასაცველად, დღემდე აქ დარჩომილა. წარწერაში მოხსენებული ბაგრატ მეფე არის მესამე და მეფობდა 878-1014 წ. შორის.

ბ) ღვთის მშობლის ხატი იმავე ზომისაა და მხრებს ზევით აწერია მხოლოდ ხუცური ასო მთავრულითვე „დედაჲ ღვთისაჲ“. გარშემო არშიაზედ ათორმეტ მოციქულთა მშვენიერის ხელოვნების პატარა ოქროსა და ვერცხლის ხატებია შემორიგებული, მაგრამ არევ დარევით კი, რადგან ეტყობა ჟამთა განმავლობაში დაძველებულან, აცვივნულან და უალაგო ალაგს დაუკრავთ.

გ) საწინამძღვრო ჯვარი ფრიად შესანიშნავი ისტორიული განძია: ჯვარ მტვირთველი ამ ჯვარით დაუძღოდა წინ ცაგერის მღვდელთმთავარს ყოველ ლიტანიობის დროს, აგრეთვე ლაშქარს ბრძოლის დროს; ამ ჯვარით ლოცავდა მღვდელთ-მთავარი თავის სამწყსოს და საბრძოლველად მიმავალს ლაშქარისა. ამ ჯვარს უსხედს 13 იაგუნდი და 3 მწვანე ქვა; ქვებს გარს უსხედს ვერცხლის მავთულზედ ასხმული ჭიოტა მარგალიტი ისე, როგორც ანჩისხატის პირიღვთის ხატზედ, და სამიც პატარა ჯვარია გამოყვანილი ამავე მარგალიტებიდგან, სულ 444 მარცვალია. ჯვარს აწერია წინა პირზედ ხუცური ასომთავრულით:

№2 „ქ. იშხნისთჳს ილარიონ შექმნა. ვინ გამოაჴუას შემცაჩუენებულ არს“. ზურგზედ: №3 „ქ. ძელო ცხოვრებისაო წინამძღვარ და მფარველ ექმენ ილარიონ ებისკოპოზსა. ქრისტე ადიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე. ქორონიკონი იყო რჟგ:

ვინ არის ილარიონი? ამ სახელით ჩვენ ვიცით ორი მღვდელთ მთავარი იშხნელნი და ერთი ბერი. პირველი 973 წ. იხსენიება; მეორე ილარიონ მასორის ძე მომგებია მესტიის სახარებისა 1033 წ.[1] ამავე სახარების ბოლოს ეს ილარიონ მოხსენებულია იშხნელად.

მესამე არის ბერი ილარიონ სოფრომის ძე ოპიზელი, იყო

1. იხ. Сванетія, ბაქრაძისა, 98 გვ. ეს წარწერა მესტიის სახარებაში ჩვენ ვერ ვიპოვეთ.

მოძღვარი მეფე დედოფალთა; ეს ილარიონი საქართველოს მეფე დავით ნარინს (რუსუდანის ძეს) ოპიზიდან მოუყვანია გელათში და მთავარ ანგელოზის საყდარში დაუდგენია მლოცველად და უბოძებიათ მშვენიერი ტყავზედ ხელნაწერი სახარება, აღწერილი XI საუკუნეში.[1]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ილარიონ სოფრომის ძემ ეს ჯვარიც და ლაფსხალის სახარებაც გელათში მოიტანა და აქედგან შიშიანობას გახიზნული დარჩნენ – სახარება ლაფსხალში და ჯვარი ცაგერში დღემდე. ილარიონის ოპიზიდან წამოყვანის მიზეზი ხომ ცხადია.

ა) მონგოლების გაბატონება და ბ) დავით ნარინს რაკი აფხაზეთის მეფობა ხვდა წილად. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჯვარი გაუკეთებია ილარიონ იშხნელ მღვდელთ-მთავარს 973 წ., (რადგან 780+193=973 წ.) თვით ჯვარი დიდათ ემსგავსება მოყვანილობით დავით კურაპალატის ჯვარსა. 1505 წ. ილარიონ იშხნელი არსად არ იხსენიება.

წინ დაბლა აწერია: №4, „ქ. ჩვენ მეფეთ მეფემან პატრონმან გიორგი მეორედ გავაკეთე ჯუარი ესე წარსამართებლად მეფობისა ჩვენისათვის და ცოდუათა ჩუენთა შესანდობელად. ამინ.“ გიორგი მეფე, ჩვენის აზრით, არის იმერთა მეფე გიორგი ბაგრატის ძე, გამეფდა 1548 წ. დაბლა ტარზედ აწერია: №5 „ქ. ამ ჯვარის მადლო, შეიწყალე ცაგარელი მიტროპოლიტი სოფრომ“. სოფრონი არის წულუკიძე, ნიკორწმინდელი, გამგებელი იმერეთის ეპარქიისა 1721-1841 წ.

1. ეს სახარება დაცულია სადადიშქელიანო სვანეთში, ს. ლაფსხალში. ამაზე იხ. შემდეგ.

ტილოს კანკელილ ცაგერის ტაძრისა დახატულია 1786 წ. კარგის ოსტატის ხელით.

ხელნაწერ წიგნებში საყურადღებოა:

ა) მეტაფრასი, ე.ი. კრებული წმ. მამათა რჩეულ ქადაგებათა და მოძღვრებათა საუფლო და სხ. დღესასწაულ დღეებში.

ამ კრებულში მოთავსებულია იშვიათი მოთხრობანი (აპოკრითის ხასიათისა) იესო ქრისტე განსკისა პილატეს წინაშე ანანია ებრაელისა,[1] და კონსტანტინეპოლის ქალაქის ღვთის მშობლისაგან ხსნა სპარსთა ზედამოსვლისაგან, ე.ი. ფრიად ვრცელი საკითხავი დაუჯდომელობის შაბათისა და სხ. ხელნაწერია დაწერილი XVI საუკ. ნუსხა ხუცურით ორსვეტად მთელ თაბახის ოდენა ქაღალდზედ. ეტყობა ძალიამ ძველის დაზიანებულ დედნიდგან არის გადმოწერილი, რომ აქა-იქა ცარიელი ადგილებია დატოვებული, ეგება ნაკლი მერე ჩააწეროს ვინმემაო.

გადამწერი ან თვალნაკლი მოხუცი ყოფილა, ან ახალგაზრდა გამოუცდელი ყმაწვილი კაცი: ქარაგმების წესი არა სცოდნია და ხშირად ასოს აკლებს სიტყვებს. თვით ენა მოთხრობისა უძველეს დროს სამწერლო ენის ხასიათისაა. ხელნაწერის შეიცავს 642 გვერდს და მაგარს ტყავ გადაკრულ ხის ყდაში ზის.

ბ) მხედრული ხელნაწერი „სრული წმ. საბას ლავრის ტიბიკონი“.

გ) სადღესასწაულო, პატარა ტანის ხელნაწერი ორ წიგნად, XVI საუკ. ხუცური ნუსხა ხელით.

დ) კურთხევანი, დაბეჭდილი, ვგონებ, 1751 წ. რომლის ბოლოში, 570 გვ. შემდეგი საინტერესო ცნობაა მოთავსებული:

№ „ქ ხილველთადმი წიგნისა ამის კურთხევანისა. ანდერძი მშრომელთა მიერ.

ოდეს მეფობდა საქართველოსა შინა კურთხევით მოხსენე-

1. ეს მოთხრობა ჩვენ გადმოვსწერეთ უმეტ ნაკლებოდ.

ბული მეფე ვახტანგ, დროსა მას გამართულ იყო წიგნი ესე, რომელ არს კურთხევანი, ყ“დ სამღვდელოსა სამთავნელ ეპისკოპოსისა კიპრიასაგან[1] ბერძულსა კურთხევანსა ზევითა დედანი კურთხევანისა ამის მოუთხრობდა დაბეჭდილიყოცა. და აწ დროსა ამას ბრძანებითა მისისა მის კეთილმსახურებისა მეფისა ჩვენისა ირაკლისათა განახლდა რა და წარმოდგა ბეჭედი სტამბისა ამის და დაიბეჭდა პ-დ ფასალმუნი, მეორედ კონდაკი, მესამედ კ-დ ფსალმუნი და ეგრეთვე მცირედნი წიგნნი, რომელნიმე სახმარად ეკკლესიისა ჩვენ ქართველთასა. შემდგომად გვებრძანა ბეჭდვაჲ კურთხევანისა; და ვიწყევით რა ვითა დედანსა ეწერა და

ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა, იხილა უწმიდესობამან სანატრელისა მამათ მთავრისა ჩვენისა ანტონისამან, რომელ გარეგან ღრამატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩვენი და დედანიცა რომელსა ზედა ვსწერდით. და მოახსენა ძმასა თჳსსა და მეფესაირაკლის, და ამისთჳს ებრძანა მისის მეფობისა უმაღლესობისაგან და მისის უწმიდესობისაგან, მათის უწმიდესობის გლახაკს ბერს იღუმენს მხატურის ძეს მიხაილ და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამმატიკისასა და დაბეჭდილ იქმნა, რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლებოდა, და პრობისა მმართველიცა იგივე იყო. მესტამბეთა უხუცესობითა სიონის დეკანოზის ნიკოლოსისა[2] და უღირსის ხუცის მხატვრის იოანესითა; ზედამდეგობითა მდივნის ედიშერ თუმანისშვილისათა და მისთანა სტამბისა სახმართა ზედა გარჯითა მარკოზის ძისა ზაქარიასითა. გევედრებით მხილველთა ყოველთა, შეცთომა თუ რაიმე იხილოთ, შენდობა ჰყავთ და ნუ გუწყევთ, ა-დ ლოცვით მოგვიხსენებდეთ“.

იღუმენი მიხაილ მხატვრის იოანეს ძე იყო ანტონ კათალიკოზის აღზრდილი, გვარათ ინასარიძე. 1778-1782 წლებში იყო წინამძღრად კახთუბნის ყოვლად წმიდის მონასტრისა. შემდეგ

1. ყანჩელი
2. მაღალაძე.

მიეცა ჯერ წილკნელობა, მერე ტფილელ მიტროპოლიტობა; ბოლოს გადაყვანილ იქმნა ნინო წმიდის ეპარქიაში, საგარეჯოს მახლობლად.

ე) კლემაქსი იოანე სინელ მამასახლისიას. და სხ.

აქ ეკკლესიაში ჱმარხიან მრავალნი ცაგერის მღვდელთმთავარნი, და მეუღლე კაცია დადიანისა ელისაბედი; იგი იყო ასული თეიმურაზ მეფისა, დაიბადა 1750 წ. 25 მარტს.[1] ელისაბედი მიიცვალა 1770 წ. აგვისტოს 9. მისი საფლავის სახურავი შეუკერია ატლსაზედ ანნახანუმ დედოფალსა, დედას, ოქროს მკედით და აბრეშუმით, გამოუყვანია სრული სახე ახალგაზრდა ელისაბედისა, სადედოფლოთ მორთული და გარს იამბიკოს ლექსით ამოუკერია ეპიტაფია[2]

ცაგერელ მღვდელთ-მთავართაგან ჩვენ ვიცით:

ა) კოზმან 1583-1631 წლებს შუა. ესე დაესწრო საქართველოს მღვდელთ-მთავართა კრებას 1605 წ. „განმართვისათვის წესთა და ზნეთ ქრისტეანებრივთა“.

ბ) ანდრია 1640-1659 წ. იხ. Переп. Груз. ц. съ рус. г. LVI გვ. იიყო წინად გამგებლად სამების მონასტრისა ბედიის მახლობლად.

გ) გაბრიელ, 1660-1676 წ. იხ. იქვე 82 გვ.

დ) გრიგოლ, 1752-1771 წ., ძმა ოტია დადიანისა და ძე ბეჟანისა.

ე) სვიმონ, მიტროპოლიტი 1771 წ. აბაშიძე, წინად ჯღუჭის მონასტრის წინამძღვარი. მიიცვალა 12 აპრილს 1778 წ.

ვ) გრიგოლ, 1779-1788 წ.

ზ) იოანე, 1789-1792 წ. ძე კაცია დადიანისა. მერე ჭყონდიდელი და განაგებდა ცაგერის სამწყსოსაც. † 8 დეკემბერს 1823 წ.

ცაგერის გაღმა ჩრდილოეთით, ცხენის წყლის მარცხენა ნაპირზედ მაღლა მიუვალ გორაზედ დგას მშვენიერი მურის ციხე; ამ ციხის დაბლა ვაკეზედ გაშენებულია ს. მური. ციხის ცოტა დაბლა აღმოსავლეთით გადმოიყურება საყარაულო კოშკი;

1. იხ. ქ. ცხ. 428 გვ. ესე ელისაბედი შერთეს გიორგი დემეტრეს ძე ამილახორს, მაგრამ გააშვებინეს 1764 წ. და კაციას მიათხოვეს.

2. ამისთანა ძვირფასი ხელოვნების საფლავის სახურავები ორი მინახავს იკორთის მონასტერში...

ამისთანავე კოშკის ციხის დასავლეთითაც დგას მაღალ კლდეზე იქ, სადაც ცხენისწყალი, სულ-შეხუთული ვიწრო კლდოვან კალაპოტში, გაარფთრებული გამოჩქუხს გაშლილ მინდორზედ მურის ხიდთან. აღმოსავლეთის საყარაულო კოშკს ძველად ერქვა სახელი „მაგრა დახვდი“; თვით მურის ციხეს – „არ გაუშვა“; და ცხენის წყლის პირზედ კოშკს – „ესროლე“

ამაზედ მოხერხებული სტრატეგიული ადგილის შესაფერი დანიშნულება რაღა შეიძლებოდა: პირველი კოშკიდან დაუშენდნენ შემოსეულ მტერს და ფერს აცვლევინებდნენ; წინ რო წადგებოდა მტერი, კოშკიდგან გასძახებდნენ ციხელებს – არ გაუშვაო. რაკი მტერი კიდევ წინ წასდგამდა ფეხსა, მეორე კოშკიდგან დაუშენდნენ ისარს, ანუ ტყვიას ვიწროობისა დამო შეჯგუფებულ მტერსა და ამბის წამღები ვეღარ წავიდოდა შინისკენ. ამიტომ, ვისაც ცხენის წყლის ხეობაში შესვლა უნდოდა, ჯერ მურის ციხის პატრონს უნდა დამეგობრობოდა.

მურის ციხის ესრეთი სიმაგრე აძლევდა ნებას ხოსია ლასხიშვილს, კაცია ჩიქოვანს, გიორგი ლიპარტიანს და სხ. თავის ნებაზე საყმოდ ჰყოლოდათ მთელი ლეჩხუმი და სხ.

მურის ციხეს საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს საეკკლესიო ისტორიაშიც: ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეკკლესიო მუზეუმის XI საუკ. ტყავზედ ხელნაწერ სვინაქსარში №97 აგვისტოს 13 წიცხვს ქვეშ სწერია: – „წმ. მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისაჲ“. აქვე 529-541 გვერდებზედ მოთავსებულია წმ. მაქსიმეს ცხოვრება და ტანჯვა. 540 გვ. არშიაზედ სწერია ტექსტის ხელით იმ ადგილის პირდაპირ, სადაც სწერია – „მაქსიმე კონსტანტინეპოლიდგან ექსორია პატიმარ ჰყვეს 631-639 წ. ქვეყანასა მეგრელთასა და იქვე აღსრულდა“ – „სუანთა სოფლისა ციხე, რომელ არს მური“. მაქსიმე აღმსარებელი მიიცვალა 662 წელს, შაბათ დღეს 13 აგვისტოს).[1] ეს ცნობა წმ. მაქსიმეზედ აგრეთვე არა ნაკლებ ცნობილია საბერძნეთის და რუსეთის საეკკლესიო ისტორიაშიც.

1. იხ. ქრონიკ. თ. ჟორდანიასი 1, 342 გვ.

ს. მურში გავჩვენეს წმ. მაქსიმეს საყდარი ქვითკირისა, რომლის ყავრის სახურავი ამა ცოტა ხანში ჩანგრეულა და შიგ შესვლა შეუძლებელია. ამ საყდარში არის საფლავი წმ. მაქსიმესი და ზევიდგან გადმოიყურება მურის ციხე. უწინ, როცა უწვიმრობა-გვალვა შეაწუხებდა ხოლმე აქაურობასა, მეზობელი სოფლების – დეხვირის, ჩხუტელის, ცაგერის, მურის და სხ. მცხოვრებნი შეიკრიბებოდნენ ხოლმე და შემოსილი მღვდლით ლიტანიით წავიდოდნენ გალობით და ლოცვა-ვედრებით – „წმიდავ მაქსიმე, გვიშველეო“!! თხოვა ყოველთვის უსრულდებოდათ თურმე. ამ ოციოდე წლის წინად თ-დ დადიანის მოურავს ახვლედიანს (†1893 წ.) დაუხურავს წმ. მაქსიმეს საყდრისთვის, რადგან სიზმრად მოსვენებოდა. ურიგო არ იქნებოდა წმ. მაქსიმეს საფლავის პატივისცემა ძველებურად გაღვიძებულიყოს ჩვენს დროში და სარწმუნოებრივს გრძნობაზედ აღფრთოვანებულიყოს ქართველთ შორის ეროვნული თვითცნობიერება.

წმ. მაქსიმეს საფლავი რომ სხვა ქვეყანაში ყოფილიყო, ნაღარა-ბუკით კაცობრიობას ყურებს გამოუჭედავდნენ და ოქრო-ბრილიანტებით შეამკობდნენ. წმ. მაქსიმეს თანამოღვაწენი ერთი, ანასტასიოს სვანეთში იყო დამწყვდეული და მეორე – აფხაზეთში ვოტორის ციხეში.

შეცდომების გასწორება

წინა წერილში შემდეგი კორრექტურული შეცდომანი გაგვეპარა:

„878-1014 წ.“ უნდა იყოს – 978 -1014 წ. და 1721 – 1841 წ. უნდა იყოს 1821-1841 წ.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საეკლესიო გაზეთი. 1903 №164. აგვისტოს 2, შაბათი. გვ. 2

III

მურის ხიდიდგან ცხენის წყლის აყოლება იწყება სვანეთი და განიყოფება სამ უმთავრეს ნაწილად: მთელი ცხენის წყლის ხეობა თავის შესართავი ტოტებით ჭითხარის მთამდე სადადიანო სვანეთია; ლათბარის მთას იქით მდ.ინგურის ხეობა თავის

შესართავი ტოტებით კავკასიის უმთავრეს ქედის წვერამდე უშკულიდან ლატალამდე ბალის ტყიან მთამდე მდებარეობს თავისუფალი სვანეთი; ბალის მთის იქით, ბეჩოს ხევს ქვევით იწყება სადადიშქელიანო სვანეთი და თავდება იქ, სადაც ინგურს მარჯვნივ ერთვის მდინარე ეცი, ს. ხუბერის ჭალის ქვემოთ ასე რომ მთელი ინგურის ხეობა სათავიდგან მდ. ეცის შესართავამდე თითქმის 160 ვერსტს მანძილს უდრის. ინგურს მარჯვენა მხრიდან, ე.ი ჩრდილოეთიდგან, ზედ დაჰყურებს უმთავრესი კავკასიის კლდოვანი დაღარული ქედი აქა-იქა თავის ცხვირაშვერილი მყინვარებით, მუდამ თოვლით დაფარული, შიგა და შიგ უშველებელი საყინულეებით. იგი საყინულეები მრავალს მდინარეებს, ნაკადულებს და წყაროებს ასაზრდოვებენ. აი ამ შეერთებული ნაკადულებიდან მოხუვიან რამდენიმე აქაფებული მდინარეები – მდ. მდ. ხალდე, ადიშჭალა, მუჟალის ჭალა, მესტიის ჭალა, ბეჩოს ჭალა, ეცერის ჭალა (ყინა), ნაყრა და სხ. ამ მდინარეებს სხვები ერთვიან და ბოლოს ერთად ადიდებულ მდინარეებად უხუცესს მდ. ინგურს ჰბარდებიან სამუდამოდ. მთელი გადაღმა სვანეთი მდ. ინგურის ხეობაში მდებარებს. მდინარეებს ერთმანეთიდგან ჰყოფენ დიდი ტყიანი, ზოგან უტყეო მთები. ამიტომ მისვლა-მოსვლა სვანეთში ძალიან გასაჭირია. აქ გზები კი არა, მომეტებულ ნაწილად პატარა საცალფეხო ბილიკებია და მგზავრი მგზავრს შორიდგან ანიშნებს –როგორმე ერთმანეთს გზა მივსცეთო. ეს ბილიკები ადიან და ჩადიან – კლდეებზე, ტყეში, ჭალებში, ციცაბო ფერდობებზე. რადგან მდინარეებში ფეხით გასვლა შეუძლებელია, ამიტომ ყველგან თავისებური, სწორედ სვანური ხიდებია გადებული და ყოველ მოგზაურს აკვირვებს ბედისაგან ასე დაჩაგრულის ხალხის მოხერხება და ყაირათი. ხიდები გაკეთებულია, რასაკვირველია იქ, სადაც მდინარე კლდეებისგან შეხუთულია. აქ გადებულია ხუთი, ზოგჯერ ექვსი ხე – ორი ადლის სიგანეზე. ამ ხეებზე გარდიგარდმო დალაგებულია რგვალი, მარგილის სიმსხო ჭოლოკინები. ზოგგან წყლის პირს აქეთ-იქით ხის ჯებირე-

ბია გაკეთებული ისე, რომ ქვეშ დადებულ ხეს ზევითა ხის თავი გადაჰყურებს და ასე ორივე მხრივ თითქმის ოთხი ადლით ვიწროვდება მდინარის სიგანე გარდიგარდმო ხეების გასაწვდენათ. მერე ასე გადებულს ხიდს ზევიდგან ნაპირებზედ ორივე მხრივ მაგარი წნელებით დაკრული აქვს თითო ხე ქვეშ ხეებზედ. აი ამისთანა ხიდზედ რომ შედგებით ცხენდაცხენ, ცხენის ნაბიჯს აჰყვება ხიდი და ქანაობს, თითქო ყველიერიაო. გადაჰყურებ ამ დროს გაშმაგებულს – აქაფებულს მდინარესა შვიდი, რვა ადლი სიმაღლიდგან და თმა მაღლა გექეჩება, ფერი გეცვლება, ხშირად ინსტიქტურად პირჯვარს ისახავ და მამაპაპის სალოცავებს იგონებ სასოებით.

მაგრამ ყველა ამას ვინა ჩივის: საქმე ლათბარზე ასვლა-გადასვლაა. აქ ბარე ასგან შეგხვდებათ საარაკო ბეწვის ხიდი, რომელსაც ცალი მხრივ აჰყუდებია ამართული კლდე, ანუ ფრიალო მურვალი, ხოლო მეორე მხრივ ჩაჰყურებ ასი, ორასი საჟენის ხან უფრო მეტის სიღრმე უფსკრულსა. ცხენს ფეხ ქვეშ ეცლება ხშირად ქვა, მიწა და მიდის ხმაურობით უფსკრულისაკენ. ერთი მოსკოველი მეცნიერი სტეფან ანტონიჩი გაგვყვა თან ალპიის ყვავილების და სხ. მცენარეულობის შესასწავლად, მაგრამ გზაში ხან მარცხნივ იყურებოდა გამუდმებით, ხან მარჯვნივ – უფსკრულს თვალს არიდებდა და შიშისაგან სიცოცხლე უნახევრდებოდა. აქედან წითლად ჟღიოდა ნებივრობას ჩვეული, ოცდა შვიდი წლის ჯან-ღონით სავსე სტეპან ანტონიჩი, მაგრამ იქიდგან ფერი, ხორცი დაეკარგა და კატების ნათრევს დაემსგავსა. ბოტანიკის დავთრები ისე დაებნა შიშისაგან, რომ მგონია მოსკოვში ხელმეორედ მოუხდება მათი შეგროვება. საცოდავი სანახავი იყო საწყალი სტეპან ანტონიჩი: როგორც მე და შენ, მკითხველო, ჩინურისა არა გაგვიგია რა იმ ხანათ, ისე იმას სვანეთის მცენარეულობისა. დანარჩენი ამხანაგები რომ ვხუმრობდით, ვიცინოდით, ვმღეროდით – სტეპან ანტონიჩი გვებუტებოდა, გვიჯავრდებოდა – მე რომ ამ საცოდაობაში ვარ, თქვენ რა გაქვთ სამხიარულოვო? თუ პატარა ვაკე-მინდვრიანს

ნახავდა, გაგიხარიან, წინ გარბოდა ხოლმე და ეშურებოდა მალე მისულიყო ბინაზედ; ვაი იმას, ასვლა – ჩამოსვლას ცხენზედ! რო ჩამოვიდოდა ცხენიდგან რის ვაი ვაგლახით, არაქათი აღარა ჰქონდა, ძლივს დაიკაკვებოდა ხოლმე ასი წლის მოხუცივით.

ამისთანა ხათაბალა აღმართ-დაღმართში ცხენი ან ამართული იყო და მაშინ გეგონებოდათ ეს ეს არის ცხენი გულდაღმა გადმოყირავდება და დამღუპავსო. ამ დროს ხშირად უკან წამოვიდოდა უნაგირი და ზედ გავაზედ მოექცეოდა; ან თავქვე ჩაეკიდებოდა ცხენი და უნაგირი მხრებს წინ გადვიდოდა და ახლა გაიფიქრებდი – ე ყირაზე არ გადაიაროს ცხენმა და სვავ-არწივებს სუფრა არ გაუშალოს და არ გაუმასპინძლდესო. ამისთანა გაჭირვებაში ხან აღვირი წყდებოდა, ხან ერთი გარსაკრი, ხან მეორე, ხან საძუე და ბიჭობა მაშინ იყო ხოლმე. ჩვენ როგორც იყო იოლათ მივდიოდით; ვახერხებდით ცხენიდგან ჩამოხდომასა და უნაგირის გასწორებასა, ხან ფეხით გაუძღვებოდით ცხენსა, ხან წინ გავიგდებდით, მაგრამ ამ დროს უნდა გეყურებინათ სტეპან ანტონიჩისათვის: გაეხსნებოდა გარსაკრი, ან გაუწყდებოდა და დაუწყებდა ცხენს ხვეწნასა: „ქუქურავ, დადექ, დადექ, გეთაყვა თორემ ჩამოვარდებიო“.

ცხენს იმისი არა ესმოდარა, რასაკვირველია, და დარბაისლურათ დინჯათ აბოტებდა აღმართ-დაღმართ. ახლა ჩვენ მოგვაძახებდა ერთი უბედური ხმით: – „რას გარბიხართ, რატომ არა მშველით ამ გაჭირებაშიო“! დაგვტანჯა სტეპან ანტონიჩმა. მშვენიერი თვრამეტ თუმნიანი მაუზერის თოფი ჰქონდა თან, ეგონა თურმე, მშვლებს, ჯიხვებს დავხოცავო. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდაო“. ამისი არ იყვეს, მოსკოვში პირველ მონადირეებში ჩარიცხულმა სტეპან ანტონიჩმა ბარე ორასი სროლა მასრა დაღუპა: დაინახავდა თუ არა ძერასა, ბოლობეჭედასა ანუ სვავსა – გაჰქონდა ტკაცა-ტკუცი ტყვიასა, ბარე ათიოდეს მიაყოლებდა ხოლმე. მსხვილ ფრინველს რო ვერ მიუყენა მიზანი, ახლა ჭივჭავებს

და ჩხართვებს აჰყვა და გაუდიოდა ტყვიას ზუზუნი იმ ღელე ღულეში. თხუთმეტ გირვანქიან თოფს ტყუილად აწყვეტინა წელი ჩვენმა სტეპან ანტონიჩმა – აქაური ფრინველები ძალიან ჩქარა დაფრინავენო, გვეტყოდა ხოლმე იგი და ამით ვითომ კარგის მონადირის სახელს არ იტეხავდა.

ესე ვიმგზავრეთ ამ ბეწვიხიდა გზებზე სვანეთში და ღვთის მადლით მშვიდობით დავბრუნდით შინ.

ურიგო არ იქნება თვალი გადავავლოთ სვანეთის წარსულს ავკარგსა და მერე მისს დღევანდელს ვითარებას შევეხნეთ.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №168. აგვისტოს 8, პარასკევი. გვ. 1

სვანეთივით მივარდნილი ქვეყნის წარსული თავ-გადასავალი, რა თქმა უნდა, დიდად სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ სამწუხაროდ ძალიან ცოტა გვაქვს მის შესახები ისტორიული ცნობანი, რადგან არც ერთ მემატიანეს აქ არავის გაუწაწანია უგზოობისა გამო. ამიტომ ჩვენი და უცხოელი მემატიანენი სვანეთში თითო ოროლა ამბავს უერთებენ ეგრის აფხაზეთის თავ-გადასავალსა, რადგან სვანეთი პოლიტიკურად მჭიდროდ იყო ძველდგანვე შეკავშირებული ეგრისთან: ფარნავაზ მეფემ სვანეთი დაუმორჩილა ეგრისის ერისთავს, თავის სიძეს ქუჯის,[1] რა კი მისი შემწეობით გამეფდა საქართველოში. ამიტომ რასაც მემატიანენი ეგრისის შესახებ გვეუბნებიან – სალხინოს, თუ სამწუხაროს – იგივე უნდა ვიაზროთ სვანეთზედაც. საუკუნეთა განმავლობაში სვანეთი იმყოფებოდა საქართველოს პოლიტიკურის ცხოვრების და კულტურის გავლენის ქვეშა და ყოველთვის ერთგულად ებრძოდა ქართველებთან ერთად საერთო მტერსა.[2]

1. იხ. ქ. – ცხ. 31 და 137.
2. მეფე გიორგი II და თამარის დროს სვანეთს საკუთარი ერისთავი ჰყვანდა ვარდანი და ბარამ ვარდანის ძეები, რადგან აფხაზეთიდგან ბერძნები მძლავრობდნენ აფხაზეთის მხრივ. იხ. იქვე 283 გვ. –

ჩვენი მემატიანე გვეუბნება, რომ ფარნავაზ მეფის ძემ მეფე საურმაგმა „დაამდაბლა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ჰყვნა აზნაურნი და განამრავლნა დურძუკნი (ქისტი-ჩაჩნები), ნათესავნი კავკასიისანი, რომელნიცა ტყვენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილ იყვნეს სიმაგრისაგან ქვეყნისა და ვერღარა იტევდა დურძუკეთი. მაშინ საურმაგ მეფემან წარმოიყვანნა ყოველთა კავკასიისა ნათესავთა ნახევარნი და რომელიმე მათგანი წარჩინებულ ჰყვნა და სხვანი დასხნა მთიულეთს დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი.[1]

ქართველთა სრულიადს გავლენას კერძოდ აფხაზებზე და სვანებზედ და საზოგადოდ მთელ დასავლეთ საქართველოზედ მუდამ ხელს უშლიდა საბერძნეთი. მისის გავლენით ეგრისელებს და სვანებს ხშირად უღალატნიათ საქართველოს მეფეებისათვის.[2] ადვილად წარმოსადგენია, რომ დიდის გაჭირვების დროს ქართველებისათვის სვანეთი იყო საუკეთესო თავშესაფარი და საგანძურთა დასაცველი, „და განუყო (მეფე სტეფანოზ II თავის შვილებს მირს და არჩილს) ყოველი ხვასტაგი (სიმდიდრე) სამეფოსა მისისა საგანძური ოქროსა და ვერცხლისა და თვალთა პატიოსანთა, რამეთუ ნახევარი საქონლისა მისისა წარიღო ქვეყანასა ეგრისსა".[3] უძველეს დროდგან ბერძნებს ახალშენები ჰქონდათ. შავი ზღვის პირად და აფხაზეთში მაგრა მოიკიდეს ფეხი, მდ. ინგურამდე აფხაზეთი მათ ეჭირათ. წმ. ვახტანგ გორგასლის ცოლს ელენეს საბერძნეთის კეისარმა მზითევში მისცაინგურსა და კლისურას შუა მდებარე აფხაზეთის ნაწილი, მაგრამ ერეკლე მეფემ ისევ დაიჩემა და თავისი ერისთავი დასვა. მურვან ყრუს შემოსვლის დროს ბერძენთა ერისთავი ლეონი გაუდგა ბერძნებს, თავის თავი მეფედ გამოაცხადა 786 წ., ამ დროსვე სვანეთიც იგდო ხელთ და ეგრისის მა-

1. სვანები დღესაც ზ ა ნ ე ბ ს ეძახიან მეგრელებსა. 33 გვ. იქვე.
2. იხ. იქვე 55.
3. იხ. 172 გვ. იქვე.

გიერ მთელ დასავლეთ საქართველოს აფხაზეთი დაარქვა,[1] მაგრამ დიდმა დავით კურაპალატმა ისევ მოახერხა ბერძნების გავლენის შესუსტება დასავლეთ საქართველოზედ.

ქრისტიანობა ჰქადაგეს ეგრისში – სვანეთში ანდრია და სიმონ კანანელმა –მოციქულებმა. როცა საქართველოში გავრცელდა ქრისტეს მოძღვრება და სასულიერო წოდება გაძლიერდა, რასაკვირველია, სვანეთშიაც მაშინ უფრო მოიკიდა ფეხი ქრისტიანობამ. დღევანდელი სვანეთის საყდრების საერთო არხიტექტურა და მხატვრობა, ხატებისა და ჯვრების საოქრომჭედრო ხელოვნება უეჭველს საბუთს გვაძლევენ გაბედვით აღვნიშნოთ დრო ქრისტიანობის აყვავებისა სვანეთში VIII-XIII საუკუნოებში. IX საუკ. სვანურ ხელნაწერში მღ. იოანე საბანის ძე წმ. აბოს ცხოვრებაში მოგვითხრობს: „საზღვარ მათდა (აფხაზთა) არს ზღოჯაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ, მისაზღვრამდე ქალდიაჲსა ტრაპეზოჯნიაჲ; მუნ არს საყოფელი (სოფელი) იგი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთსადგოჯრი...“[2] ტრაპეზონდის მიდამოები მრავალ ხელნაწერებში მეგრელთა ქვეყნად არის წოდებული, მაგ. მცხეთის სვინასქარი XIII. საუკ და დიდ საკათალიკოზო სჯულის კანონში. წმ. აბო დიდად აქებს ქრისტიანობის აყვავებასა აფხაზეთში 789-790 წლებში.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საეკონომიო გაზეთი. 1903 №187. სექტემბერი 3, ოთხშაბათი. გვ. 2

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ აფხაზეთის პირველმა მეფემ ლეონმა, რაკი ბერძნების ბატონობა მოიშორა თავიდგან, საკუთარი აფხაზეთის საკათალიკოზოც დააარსა; აი ამ დროს გაძლიერდა სვანეთში ქრისტიანობა და ბაგრატ III-დან (X საუკ.) დაწყობილი XVI საუკუნემდე ხომ მეფეები დიდათ ეფერებიან სვანებსა. საერთო მტრებთან მებრძოლ ქართველთა ლაშქარ-

1 იხ. ქ. – ცხ- II. 178 გვ.

2 იხ. წმ. მოწ. აბო ტფილელი, 1899 წ. ტფილისი, 19 გვ.

ში სვანებს კარგი ხმა ჰქონდათ და გამარჯვებულნი მეფენი გულუხვად აჯილდოვებდნენ სვანების გარჯილობასა: ძველადგანვე ბრძოლის ველზე დამარცხებული მტრის დანარჩენი ქონების ნახევარი მოლაშქრეებისა იყო. ამას გარდა მეფეები ძვირფასი ხატებით ასაჩუქრებდნენ და ერთგულობაზე აფიცებდნენ.

ამ მხრივ კარგ საბუთებს გვაძლევს სვანური სიმღერების ტექსტი, რომელთა კილო წმინდა ქართლ-კახურია, ბანი და მოძახილიც-კი აქაურია. თამარ მეფის საფლავი არა აქ არის, არა აქაო, ეცილებიან ერთმანეთს უშკულელები და კალელები. ცაგერის მღვდელთ-მთავარნი სათუთად ჰპატრონობდნენ სვანეთში ქრისტიანობასა, მაგრამ XVI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში გაძლიერდნენ ოსმალნი, ხელთ იგდეს საკუთრივ აფხაზეთი, აჭარა-ლაზისტანი და აი ამ დროდგან შეირყა ქრისტიანობა სვანეთში.

კავკასიის მთიულთა შორის, რასაკვირველია, სვანეთშიაც დარჩა ხელშეუხებლად უძველესი ჩვეულება გვართა შორის ბრძოლისა: გვარი გვარს ებრძოდა მცირე რამეზე და სამართალი ძალაზე იყო მივარდნილი: ვისაც ძალა, მოხერხება შესწევდა, სამართალი იმისკენ იყო; ამიტომ მებრძოლთაგან ერთ-ერთი უნდა განადგურებულიყო და თუ გადარჩებოდა ვინმე დამარცხებულთაგან, მხოლოდ იმიტომ იცოცხლებდა, რომ დახოცილ მამა-ძმათა სისხლი აეღო მჩაგვრელთაგან. ამიტომ სვანეთის თვითოეულ სოფელში ერთი გვარის შთამომავლობა სცხოვრობს. თავის დასაცავად ძველიდგანვე სვანებს დაუწყვიათ საომარი ციხე-კოშკების შენება. ზოგ სოფელში დღეს ციხეები მეტია სახლებზე. ს. ბოღრეშის ზევით ასე სამი ვერსის მანძილზე, მდ. ინგურის ზედ მარჯვენა ნაპირზე ერთი სვანი სცხოვრობს განმარტოებით და გვერდით, შიგ წყალში უშველებელ კლდეზე მშვენიერი ციხეა აშენებული. მებრძოლი გამაგრდებოდა კოშკში და იგერიებდა ასაკლებად მოსეულს მტერსა. გაჭირვება აერთებდა რამდენსამე გვარს ერთად მტრის მოსა-

გერიებლად და ამისათვის ერთმანეთს ფიცსა და პირობის წერილებს აძლევდნენ. ამისთანა წერილებით სავსეა ტყავზე ხელნაწერების არშიები სვანეთში.

მთელი XVII და XVIII საუკუნოები დასავლეთ საქართველოში მოუნდა უფრო ძმათა შორის სისხლის ღვრასა, შინა გამცემელთაგან ქვეყნის აოხრებასა; 1810-1860 წლამდე აბა ვისა სცალოდა სვანეთისათვის? 1841 წ. ქუთაისში ჩამოვიდა მულახიდგან 50 წლის დადაშ ქურდიანი და მოინათლა. წავიდა, იყიდა ერთი ობოლი პატარა ბიჭი (გიორგი გულბანი), ჩამოიყვანა ქუთაისში და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა; სწავლა გაათავებინა და მღვდლად აკურთხებინა; 1853 წელში იმის მეტი ნაკურთხი მღვდელი არავინ იყო სვანეთში. ამავე ქურდიანის მეოხებით 1853 წ. გაზაფხულზედ შვიდი სვანი ჩამოვიდა ბორჯომში და თ-დ ვორონცოვს სთხოვეს – გთხოვთ დაგვანათლოთო. ესენი იყვნენ იფარიდან – სოლმან ქურდიანი, მუჟალიდან ყაზიმულათ შარაშიძე, მულახიდან დადაშ ქურდიანი ორი შვილით, გელა იოსელიანი, სიმონ დევდარიანი. დანათლეს კიდეც სამკურნალო წყლების შენობაში, შავი წყლის პირზედ ივლისის დამდევს. ნათლიებათ თ-დი ვორონცოვი, მისი მეუღლე და სხ. დიდკაცნი იყვნენ. დადაშ ქურდიანს ძალიან გადაემტერნენ პაპები: აბა, რა ხეირს დააყრიდა ნაკურთხ მღვდელთა გამრავლება საცოდავებს?

იმ ხანებში სვანეთის გამგებლად თ-დი გრიგოლ წერეთელი იყო. ამან დაიბარა მუჟალიდგან გავლენიანი გლეხი მურზა აფის ძე (აფი პაპად იყო) მარღიანი და თან გამოატანა – ს. მუშკერის მღვდელი გიორგი გულბანი, ს. მთავრარის მღვდელი ადამ ქარდავა და დუშეთელი დიკვანი შიო (?) სვანეთში უწინამძღვრე და თანა სდიეო. მესტიაში რო წაიყვანა იგინი მურზამ, აქ 23 აპრილს წინ დაუხვდნენ მესტიელი ჯაფარიძეები და თოფის სროლა დაუწყეს; მურზა დასჭრეს, მაგრამ დაჭრილმა მურზამ ერთი მოკლა და ორი დასჭრა. გაჯავრებულებმა მურზა მო-

კლეს და მკვდარი არ დაანებებს მის შვილს გიორგი მარღიანს,[1] ვიდრე უღელი ხარი არ წაართვეს. ბოლოს აზნაურის სისხლი აზღვევინეს, როგორც გლეხს, ორას ოცი თუმანი. 1855 წ. უკვე პაპი გიორგი მარღიანი ჩამოვიდა ქუთაისში სწორედ იმ დროს, როცა კონსტანტინე დადიშქელიანი უნდა დაეხვრიტათ. ეგზარხოსმა ისიდორემ გაბრიელ ეპისკოპოზს ჩააბარა, მოამზადეს და 1867 წ. აკურთხეს მღვდლად. დღეს ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსეა და ორი შვილი მღვდელი ჰყავს, მესამესაც ამზადებს.

1847 წლამდე სვანებმა არც-კი იცოდნენ, რუსები ვინ იყვნენ, ან მათი მთავრობა რა იყო. 1847 წ. პირველად იმგზავრა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორმა კოლიუბაკინმა და შვიდი საზოგადოება დაუმორჩილა რუსთა მთავრობასა. ამიტომ ბოქაულად დანიშნეს პორუჩიკი თ-დი მიქელაძე, რომელიც იმ ზამთარს დარჩა სვანეთში და ორი საზოგადოებაც მან დაუმორჩილა რუსეთსა. დარჩა ლატალი და ლენჯერი.

1853 წ. ივლისის გასულს-აგვისტოში პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ იმგზავრა და ლატალ-ლენჯერიც ამან შემოუერთა რუსეთსა.[2]

ხოლო 1860 წ. სეკდემბერში სვანეთში იმგზავრა განსვენებულმა დ.ზ. ბაქრაძემ.

1812 წ. საშინელი ჭირიანობა მოედო სვანეთსა და დიდი ხალხი იმსხვერპლა. ადიშში და იელში მთელი სოფლები ამოსწყდა.

დღეს სვანეთში 12 ათასი მცხოვრებელი ითვლება; სვანები დღემდე თვით სამართლობენ ძველებურ წესზედ და ახალ მოსამართლეებს ზედაც არ უყურებენ.

სვანეთი ეკონომიურად დიდს გაჭირვებაშია დღეს. ხშირად ნახნავ-ნათესს მოსავალს თოვლი უსწორებს; სამყოფი სახნავ-სათესი მიწები არსად არის, საბოსტნე ადგილი ხომ სანთლით საძებნელია; სათიბი-საძოვარი ადგილები ნახევარიც არ არის.

1. პაპად იზრდებოდა იმ დროს; შემდეგ პაპობა მისცეს სვანებმა და დღეს მუჟალში მღვდლად არის.

2. იხ. Записки кавк. отд. Импер. Геогр. общ. кн. III 1855г.

ამიტომ შინაური პირუტყვიც ძალიან ცოტა არის სვანეთში. ოთხი თვე გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომაა აქ, რვა თვე ნამდვილი ქარ-ბუქიანი ზამთარი და ამ დროს ბეწვი-ხიდა გზებიც ხომ სრულიად შეკრულია.

მოკლე ზაფხულში სვანები სამუშაოდ გადადიან – რაჭაში, სამეგრელოში, იმერეთში, ჩეღემში და სხ. შინ რჩებიან დედაკაცები, მოხუცნი და ბავშვები. ამიტომ მოსავლის მომკა და შინ მოზიდვა დედაკაცებს აწევს კისერზედ. ლატალ-ლენჯერში ხშირად ვხედავდით ხუთ-ექვს ქალს, ქერსა მკიდნენ, ძნას ჰკრავდნენ, და შინ ეზიდებოდნენ.

სარჩო-საბადებელს უფრო სიმინდს, სვანი გარეთა ყიდულობს და მოაქვს. ცხენის ქირა ექვსი-შვიდი მანათია ცაგერამდე. ერთი ცხენი ოთხ ფუთზე მეტს ვერ გადაიტანს მთაზედ. ფუთს სიმინდს ყიდულობს ოთხ აბაზად და მეტათაც. ახლა იანგარიშეთ კაცი და გამოვა, რომ საცოდავ სვანს ფუთი შინ მიტანილი სიმინდი სამ მანეთზე ნაკლები არ უჯდება. თვითოეული კომლი სვანეთში იხდის სახელმწიფოთ ცხრა აბაზსა წელიწადში.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საინტერესო გაზეთი. 1903 №193. სექტემბერი 11, ხუთშაბათი. გვ. 1,2

XII

სვანეთში მიმავალი მგზავრი ცაგერში უნდა შეემზადოს, ყოველგვარი თავდარიგი დაიჭიროს ცუდს გზებზედ მოგზაურობისათვის. აქ ცხენების შოვნა ძნელია. ჩვენმა გულუხვმა მასმინძელმა ბ-მა ზ.რ.ყიფიანმა ს.ლენტეხიდან ჩამოგვიყვანა ექვსი ცხენი. ხუთნი მგზავრნი ვიყავით: ბ-ნი პროფესორი ა.ხახანაშვილი, მაგისტრი ფარმაციისა ი.ს. ტყეშელაშვილი, ზ.პ. ფალიაშვილი, ჩვენი ნაცნობი სტეფან ანტონიჩი და მე. მეექვსე ცხენი ბარგისათვის იყო საჭირო. ცაგერიდან ეწერამდე თითო ცხენი რვა მანათად ვიქირავეთ, მაგრამ გზაში რადგან თითო დღეო-

ბით დარჩომა მოგვიხდებოდა ხოლმე და ცხენის პატრონებს კი ამის გამო დრო ეკარგებოდათ, ამიტომ ცხენზედ ორ-ორი მანათი წაგვამატებინეს და თითო ცხენზედ თითო თუმანი გაუხდათ. სვანეთში მგზავრობა მხოლოდ სვანური ცხენით შეიძლება. სწორეთ გასაკვირველია სვანის და მისი ცხენის ამტანობა ამ ბეწვიხიდა გზებზედ – აღმართ-დაღმართზე. ერთნაირის მხნეობით და ყაირათით მიდის წინ სვანი და მისი ცხენი.

ცაგერს ზევით იწყობა სადადიანო სვანეთი.

10 ივლისს, დილის რვა საათზედ, გამოვემშვიდობეთ დაუვიწყარს მასპინძელს, მოვასხდით ცხენებს და გავსწიეთ მურის ხიდისაკენ. მარჯვენა მხარე ავუარეთ ცხენის წყალს კლდეში გამოთხრილი ბილიკით. აქ შევნიშნეთ კლდეში გამოქვაბული სენაკი, სადაც ოდესმე წმ. ბერს უცხოვრია განმხოლოებით და უგზოობისა გამო თოკით აწვდიდნენ საზრდოს მაღლა კლდის წვერიდგან. ეხლანდელი გზა უწინ მაღლა მთაზედ გადადიოდა. მურის ხიდს ავუქციეთ მხარი და შევუდექით კლდე–ღრეს. სტეპან ანტონიჩს აქვე ეცვალა ფერი. მალე მიგვეფარნენ თვალთაგან-ცაგერი, ჩხუტელი, მური.

შევყევით მშვენიერს ამწვანებულს ცხენის წყლის ხეობას. პატარ-პატარა სოფლები ზედი-ზედ ამწკრივდებიან უფრო ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირს–ჩხმელური, ყვედრეში, ჩოლურის ციხე, ჭალური, წიფლაკვა, მაზაში, ხობური, მუჟლიარი, ლამჟარი, ლავღვიარი, ლათკვერი და სხ. გზა-გზა ხშირად სხმოიარე ვაზების ხეივნებს ქვეშ მივდიოდით.

გზაში ოცდა ათი მეტი ცხენი ვნახეთ სიმინდ აკიდებულნი, ხონიდგან მოჰქონდათ ბ. ოქრომჭედლიშვილის კანტორაში. ჩვენი ყურადღება მიიქცია აქ ბ. ოქრომჭედელიშვილის თვალსაჩინო მოღვაწეობამ: იჯარით აუღია დადიანის ფიჭვნარიანი ტყეები – ცხენის წყლის გაღმა–გამოღმა–ყვედრეშიდგან ლენტეხამდე. ორი ათასი კაცი მეტი ყოველ დღე მუშაობს–რიგი ხეებსა სჭირს მაღლა მთაში, რიგი ამ ხეებს მაღლიდგან დაბლა წყლის პირს ჰყრის, რიგი წყალს ურთავს ამ ხეებს, ანუ წყლის-

გან გარიყულ ხეებს ისევ წყალში აზიდვინებენ უთვალავ ხეებსა. გაჭირვებაში მყოფ ლეჩხყმელებს და სვანებსა. ოქრომჭედლიშვილს სატყეო ქარხანა ასულიერებს სწორედ. წელიწადში ექვსი ათას თუმნამდე ფული ტრიალებს მუშა ხალხის ხელში. ვნახეთ მისი მშვენიერი კანტორა, დიდის ცოდნით მოწყობილი წისქვილი, აქვეა სამჭედური გამართული.

ხეობა მეტად ვიწროა, ორივე მხრივ აყუდებულია მშვენიერი ტყით მოსილი მთები. სადაც–კი ხელი მიუწვდენია სვანს, ყველგან აუჩიჩქნია და დაუთესია დიკა, უფხო ყანა, სიმინდი, ქერი, ფეტვი, გაუშენებია ვაზი.

კანტორიდგან სამიოდე ვერსი მეტად კლდოვანი და საშიში გზა რო გავიარეთ, წინ პატარა მწვანე ველი დაგვხვდა. ზედ მდინარის პირზედ მშვენიერი ჩრდილოვანი მურყანი (რთხმელა) იდგა. ასე შუადღისას აქ ჩამოვხდით და გულიანად დავისვენეთ. იქვე კლდის ძირში საუცხოვო ცივი წყარო გამოდიოდა. დავიბანეთ ნამგზავრი, სიცხისაგან არუჟღული პირი–სახე, გავშალეთ მამაპაპური სუფრა და შევექეცით გემრიელ სადილსა.[1] ამ ადგილს სადილი წინადღითვე დაგვინიშნა პატივცემულმა ბლაღოჩინმა მამა გერსამიამ, რომელიც თან გამოგვყვა ცაგერიდამ ლაშხეთამდე. ლეჩხუმის ღვინომ ცოტა არ იყო ყუათი მოგვიმატა. მეტად შემრგოა აქაური ღვინო. იმ ზეგნური კაკლისა არ იყვეს და გოგრისა, აქ რომ ღმერთს კახური ღვინო გაეჩინა, არ გამოდგებოდა ამ გზებზე. აქაური ღვინო–კი გაამხიარულებს და გზის სიძნელეს თითქოს გიადვილებს. სადილთ უკან სტეპან ანტონიჩმა თოფის სროლა ასტეხა: სად იყო სადარა თვალი მოჰკრა მფრინავ სვავსა, წამოხტა ერთი ფლახი–ფლუხით და ამოიღო ნიშანში. დაიგრიალა თოფმა, მაგრამ სვავი ისევ ისე წარბშეუხრელი ფრინავდა. იმოდენა მთების ქუხილივით ბანმაც ტყუილად ჩაიარა. ახლა ჩვენ ქვემოთ წყლის პირზე მდგომ მეორე მურყანს დაუშინა ნიშანში, აქ–კი მოარტყა ნიშანსა, ღვთის წინაშე. ამ დროს ერთმა ამხანაგმა

1 სწორედ ამ ადგილსვე ისადილა 25 ივლისს 1853წ. პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ. აქვე სადილობდნენ თურმე ძველად სვანეთში მიმავალნი მღვდელმთავარნიც.

იოხუნჯა–ახ! სად არის იმ ხეზე ერთი დაბმული დათვიო! მართლაც ძაან არ გაიხარებდა ჩვენი სტეპან ანტონიჩი!

შევუდექით ისევ ოღრო–ჩოღრო გზასა. ასე ოთხ საათზე მივედით იქ, სადაც დასავლეთისკენ მიმდინარეობას თავს ანებებს ცხენის–წყალი და სამხრეთისაკენ შვრება პირსა. აქ დასავლეთიდგან ერთვის მდ. ხელედულა.[1] ლაშქადურას და იქვე ერთად ემატებიან ცხენის წყალსა. გავედით ხელედულას საქანელა ხიდზე.

ხელედულას და ლაშქადურას შერთულთან მდებარეობს მომაღლო კლდეზედ აშენებული უძველეს დროში ფრიად მაგარი ლარაშის ციხე. აქ ჯვარედინად ოთხი ხეობა გაღებულა ბუნებრივ და ამ ციხეში მყოფ ოთხსავე ხეობაში შემომსვლელს და გამსვლელს ღვთის რისხვასა სცემს თავზედ. ამ ციხეს თუ როგორმე წამოაწყდებოდა ვინმე სამტროდ, ცოცხალი ვეღარ წავიდოდა აქედგან.

ამ ციხეს ძველად განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა: ჯერ მეფენი და მერე დადიანები, ანუ ლეჩხუმის გამგებლები–ხელთ რომ იგდებდნენ გამოჩენილს ქვეყნის მტერს კაცსა, აქ ლარაშის ციხეში დაამწყვდევდნენ ხოლმე. ამიტომ ამ ციხეში ბევრს, ჩვენის ქვეყნის ამრევ–დამრევს კაცს დაულევია თვისი დღენი. პატარა ხანს შევდექ ამ ციხის მშვენიერს გასახედ–გამოსახედ გალავანთან და გავიყურებოდი ოთხივ–მხრივ ხეობაში, ვზმანობდი წარსულ ციხის პატრონთა შემძლეობასა და მათს ფუჭად ჩავლილს მოუსვენარ ცხოვრებასა! წასვლისას ერთი კიდევ მოვხედე ლარაშის ციხეს და ცხადად წარმომიდგა ოდესმე მისი გამოსადეგობა, უწინ გაჭირვებაში, როდესაც ამ ციხის მიდამოების პატრონს ქვეყანაში თავი მოჰქონდა–მეც ქვეყანაში ვარ, ციხის პატრონი ვარო, და დღეს კი ასე მივიწყებულია ყველასგან. ბევრი გამვლელ–გამომლელი არც კი კითხულობს–ეს რა ციხეაო. ბევრი ამხანაგი გყავს მეთქი, წავჩურჩულე ლარაშის ციხეს და მოვშორდი... დიაღ, ყოფილა დრო,

1 ასე თხუთმეტი ვერსის ზევით ს. ხელადე მდებარეობს და სახელი მისგან დაჰრქმევია ამ მდინარესა.

როცა აქაც სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა... გავედით ხელადულას საქანელა ხიდზედ, ლაშქადურას ხიდზედაც და შევედით ს. ლენტეხში, ჩვენის ილარიონის და ივანეს (ჩვენი მგზავრობის წინამძღვარნი, ცხენების პატრონნი) სამშობლო სოფელში. აქ მშვენიერი შენობები ვნახეთ-სამინისტრო სკოლისა და სოფლის სამმართველოსი. ს. ლენტეხის ასწვრივ ლაშქადურას მარცხნივ მდებარებენ სოფლები: კახურა, მესირი და სხვ. ქალი და კაცი გამოიფინნენ გზის პირად და გვიყურებდნენ, გვეღიმებოდნენ და სალამს გვაძლევდნენ მხიარულებით. სოფელ ლენტეხში და ცხენის წყლის შეყოლება სოფლებში წმინდა ქართულად ლაპარაკობენ. სახნავ–სათესი მიწები აქ ნაკლებად არის. გავიარეთ ს. ლექსურა, ს. მელური; შევყევით ცხენის წყლის მეტად ვიწრო კლდოვან ხეობას. აქ ისრეთის მრისხანებით მოხუვის ცხენის წყალი, რომ ლაპარაკი გვიჭირდებოდა, ერთმანეთისა არა გვესმოდა რა. გაღმა–გამოღმა თვალუწვდენელ კლდოვან მთებზე აყრილია ძვირფასი ტყე: ფიჭვი, ნაძვი, მურყანი, წიფელი, დათვის თხილა და სხ. ოც–და–ხუთ საჟენიანი ხე წვეთივით დასახერხი ხე დაიმორება რისთვისაც გნებავს, მაგრამ აქაურის ძვირფასი ტყეების შეუბრალებელი მტვერი–ქარიშხალი და თოვლი ყოფილა: ერთიც და მეორეც ასახიჩრებს მშვენიერ ხეებს–ან ძირიანად ჰგლეჯს, ან ტოტებს ამტვრევს. გადაქცეული ხე სხვა ხეებს ამტვრევს, ძირიანად ჰგლეჯავს და ოხრდება ამოდენა სიმდიდრე. ორივე მხრიდან მაღლა კლდეები ზვავდება და ცვივა ცხენის წყალში. ამიტომ ქართლში თუ ერთი ორგან არის ჩვენი მეტივეების მაფრთხობელა ძაღლი კბილა, ძაღლის ენა (მტკვარში ამოშვერილი კლდეები), აქ ათასობით არის. თუ ეს კლდეები არა, ცხენის წყალი ძალიან კარგი ტყის საზიდი გზა იქნებოდა აქაც. როცა ადიდებულია, ცხენის წყალი მოუსვამს ხელს ამოდენა ხე ტყეს და მოაქვს ქვევით, ლენტეხისაკენ გამოსარიყად.

მივედით ს. ქვედა ჭველიერ საყდართან და გავედით დაძაბუნებულ ხიდზედ, აქ ცხენის წყლის ვიწრო კალაპოტი ფართო-

ვდება და მშვენიერი ქართული ნახნავ–ნათესით შემკული ხეობა გადიშალა ჩვენ თვალწინ. აგერ, მაღლა ფერდობებში მერცხლის ბუდესავით მაჰკვრიან აქა–იქა ორ–ორი, სამ–სამი სვანი თავის ციხე–კოშკებით და სახლკარბინადრობით, უფრო ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზედ. წვრილი სოფლებით მოფენილია ეს მხარე. გაუჩეხიათ დაბურული ტყე და სახნავ–სათიბად უქცევიათ. ასე გამწკრივებულია სოფლები–შთვილი, ბულეში, საჯალდანა, ლაულა და სხ. ამ სოფლების მშვენებას შეადგენს თეთრი, კოხტად ნაგები მაღალი კოშკები.

მივედით ზედა ჩოლურში, სადაც ვრცელ შენობას აშენებდნენ საეკლესიო სამრევლო სკოლისათვის.[1] იქვეა ჩვენებური სახლი სოფლის სამმართველოსი აქ ხალხი ჩივის მამულის სივიწროვესა. ერთს მტკაველს ვერ ნახავთ ველიან ადგილს, რომ შემოღობილი არ იყვეს სახნავად, ან სათიბად. აქ ქერები ჯერ შემოსული არ იყო.

მამასახლისისგან[2] გავიგეთ, რომ შხეთის ბლაღოჩინი მღვდელი იოანე მარგიანი თურმე გველოდებოდა აქ. ამ მივარდნილ ქვეყანაში პატიოსანი ბლაღოჩინნი–გერსამია, მარგიანი და ნიჟარაძე წარმომადგენელნი არიან იმ სანეტარო კაცთა, რომელთაც მაცხოვარმა რჩეულ მცირედთა გუნდი უწოდა. მამა ბესარიონ ნიჟარაძე და მ.ი მარგიანი სვანეთის ნამდვილნი შვილნი არიან, აქ დაბადებულნი, აქ აღზრდილნი (უშკულ-მუჟალში), სიხარულით შეჰფრფიან მგზავრებს, უხარიანთ, რომ მათი საყვარელის სამშობლოს სანახავად მოდის ვინმე. თავს ევლებიან მგზავრსა და აღარ იციან, რითი და როგორ ასიამოვნონ მგზავრსა, როგორ გაუადვილონ მგზავრობა. აი აქ დაგვიხვდა მამა მარგიანი და გავსწიეთ პატივცემულის თ. ალი გარდაფხაძის სასახლისაკენ. თ–დი ალი შინ არ დაგვიხვდა. გადაღმა სვანეთიდგან[3] მოეწერა თურმე დედისათვის–ამა და იმ მგზავრებ-

1 120 თუმანი უჯდება სოფლის საზოგადოებასა.

2 აქ როგორც ძველად საქართველოში, სამასპინძლო ისევ ძალაშია : თვითოეული კომლი მოვალეა მამასახლისს ერთხელ-ორჯელ გაუმასპინძლდეს რიგ–რიგით წელიწადში, ასე რომ მთელ საზოგადოებაში ვერავინ აიცდენს ამ ხარჯსა.

3 მთელი სვანეთის ბოქაულია.

მა რომ გამოიაროონ, მიიწვიე სახლში და კარგად გაუმასპინძლდიო. იქნებოდა საღამოს რვა საათი, რომ მაღალ ვრცელ ქვითკირის გალავანში შევედით და ჩამოვხდით ცხენებიდგან. ამისთანა გალავნები ქართლში ბევრია–ამილახვარიანთი, მუხრნიანთი, ერისთვიანთი და სხ. გალავანს გარეთ ვრცელი სახნავ–სათესი და სათიბი ველია ცხენის წყლის პირამდე, ზურგს უკან აყუდებული ტყიანი მთა იკრავს. სამხრეთ–დასავლეთის კუთხეში დგას უშველებელი ოთხ-კუთხი ერთად–ერთი ციხე–კოშკი, შავად გამურული. გალავნის კედლების ისწვრივ აღმოსავლეთ დასავლეთით წამოდგმულია მშვენიერი ბალკონიანი სახლები, ერთმანეთთან შეერთებულნი დახურული აივნით. ასე, სამოცი წლის ქალბატონი დიასახლისი მოგვეგება და ქართველურად გაგვიმასპინძლდა.

აქ სასიამოვნო იყო სვანური სიმღერა „დიდება მთავარ–ანგელოზებისა“, გრაფოფონში ჩაძახილი. გამაკვირვა, გამაოცა ამ სიმღერამ: ნამდვილი ქართლული კილოა, ქართლულის მოძახილით და ბანით, ძალიან წააგავს „გლესავ, გაგლესავ. ნამგალო“-სა და „იავნანას“-ს. ყურთა სმენად გადავიქეცი. კილო ისე არა, როგორც ბანი და მოძახილი გამიკვირდა: იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხულ–რაჭაში საერთო–საეკკლესიო კილოებში ბანი და მოძახილი სრულიად სხვა რიგად მისდევენ პირველ ხმასა და საერთო არა აქვსთ–რა ქართულ ბან–მოძახილთანა.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №197. სექტემბერი 16, სამშაბათი. გვ. 2

მეორე დილით გამოვემშვიდობეთ პატივცემულს დიასახლისს – ქალბატონს და გავსწიეთ აღმა ს. სასაშთსაკენ. აქ ბლაღოჩინი გერსამია გამოგვეთხოვა და გაგვიძღვა წინ. მ. მარღიანი ავედით სამკურნალო წყალზედ („მუაში“) მაღლა ტყეში, პატრა ოთხ-კუთხი კოდია მიწაში ჩასმული და შიგ ამოჩუხჩუხე-

ბს წმინდა ანკარა მჟავე წყალი. ღმერთმა შეარცხვინა ქალაქებში ევროპული სასმელი წყლები – ზელტერი, ლიმონადი და სხ. მშვენიერ გემრიელ სიმჟავესთან – პირსა შუშხამს და ცხვირიდგან მწვავედ გამობოლავდა. რას ჰქვიან ბორჯომის წყალი, ნარზანი და სხ? ექვს–ექვსი დიდი სტაქანი გადავხუხეთ დილის თერთმეტ საათზედ და კიდევ გვინდოდა, ისეთი სასიამოვნო სასმელი იყო. საითაც გადავდგით ფეხი, რკინის წყალი გადმოჩხრიალებს და კალაპოტი რკინის ჟანგით დაუფერავს. მუაშის აღმოსავლეთით, უფრო მაღლა არის გოგირდის საბანებელი წყალი. ზაფხულობით კარგა ბლომათ დაიარება ხალხი ამ წყლებზედ – ლეჩხუმიდგან, იმერეთიდგან.

ბარე შვიდი ვერსი ვიარეთ ტყე-ტყე. დღე ღრუბლიანი იყო, წამდაუწუმ იცვლებოდა დარი – ხან წვიმდა, ხან გადიკარებდა. აქ რომ დაიგრგვინამდა, დაიჭექებდა და გაღმა – გამოღმა მთემი ბანს დასძახებდნენ, ამ ჭექა–ქუხილმა მეტად დააძაბუნა ჩვენი სტეპან ანტონიჩი.

იქნებოდა შუადღის პირველი საათი, რომ ლაშხეთის ხიდზედ გავედით ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზედ და ჩამოვხდით ს. ჟახუნდერში. აქ წმ. გიორგის საყდრის ვრცელ ამწვანებულ ეზოში ახალგაზდა ბლაღოჩინი მ. იოანე მარღიანი სცხოვრობს. წინ, ეზოში სდგას უზარ–მაზარი ცაცხვი. გარს შემოზომილი თოკი ექვსი საჟენი გამოვიდა, იმ სიმსხოა. ქარისა და თოვლისაგან თავანდელი ტოტები დაჰმტვრევია, მაგრამ მაინც მისს ჩრდილს თხუთმეტ საჟენზედ მეტი სიგანე აქვს. ამ ცაცხვის გვერდით ორ პირათ აწყვია სიპის გრძელი ფილაქნები რამდენსამე ადგილს. ეს არის სამღთოში სვანების სასხდომი სუფრის ირგვლივ.

წმ. გიორგის საყდარი თლილი ქვისაა, უგუმბათო, როგორც ყველა სვანეთის საყდრები. თავანდელი დაძველებული საყდარი გაუახლებიათ როდისღაც და სამი პატარა ფუტურო ქვა, ასე VIII საუკუნის ხუცური ასო-მთავრულის წარწერით არევდარევით, უალაგო–ალაგს ჩაუტანებიათ აღმოსავლეთის კედელ-

ში, დაბლა, ასე ორი ადლის სიმაღლეზედ. წარწერა დაზიანებულია და სრული აზრის აღდგენა შეუძლებელია. წარწერა იწყობა შუა ქვიდგან-№9 „წმიდაო გიორგი შეიწყალე... წმიდისა... აგ ენე...ღადა ძეაჲ...შ ე ხჟჯ...იუჩა...პ...“ ასოები ძალიან დიდი ხნისაა და ოდნავ ემსგავსება ჩვენს საეკკლესიო მუზეუმში ახალციხიდგან ჩამოტანილ ქვების ზოგიერთ წარწერის ასოებსა. საკურთხეველში მარჯვნივ კედელზედ ჰკიდია დაძველებული, მაგრამ საუცხოვო ხელოვნების ოქროში დაფერილის ვერცხლით შეჭედილი წმ. გიორგის ხატი–სიმაღლით თითქმის ადლი, სიგანით ცოტა ნაკლები. ამ ხატს დაბლა მარცხნივ შემდეგი წარწერა აქვს ხუცური ასომთავრულით: №10 „ქ. მოიჭედა ხატი ესე მამასახლისობასა ვახტანგ ლომინასჲძისასა. გამოიღო ოცისა დრაჰანისა საქონელი, მისცა ხელოვანთა მისაცემლად და გვედრიან სოჭლით და ჯორცით, ჰოი მოწამეო გიორგი!..“ დანარჩენი წარწერიანი ვერცხლი მოტეხილია. ბროსსეს დროს, 1847 წ. კი ისევ ყოფილა და დანარჩენი ასე წაუკითხავს–„წმინდაო გიორგი ცოცხლებით გაოჯმარჯვე სულსა გ.ე ლომინაჲსა და გიორგისა, ცოდვანი მათნი შეუნდევნ ღმერთმან, მეუღლესა მათსა შეუნდვენ ღთნ, ძენი მათნი (?) შეუნდვნეს ღმერთმან“...

სვანის სახლი მაგარი სიპის ქვით არის ნაშენი, და ხშირათ ორ სართულიანია, ხშირათ ქვითკირის გალავნით ირგვლივ, ან ქვის ყორე – მოვლებული. შიგნით სახლის მოწყობილობა საზოგადოთ ქართლულია: დედა–ბოძს წინ ცეცხლის კერას აღნიშნავს მოზრდილი კლდის ქვა, რომლის გარშემო ქვებია ჩასხმული მიწაში და რგვლად შემოფარგლულია ცეცხლის დასანთები ადგილი. მაღლა თავხეზედ ჩამოკიდებულია ჩვენი გამჭვარტლული რკინის ჯაჭვის საკიდელი. კერის გარემო ბოძიც და ჭერიც დაკორტნილია: ჯვარ-დაწერილ მეფე–დედოფალს რომ შემოიყვანენ მეფის სახლში, კერას შემოატარებენ სიმღერით, მაყრები ამოღებული ხმლით და ხანჯლით ჰკორტნიან სახლის ჭერს, ბოძებს, რომ ავი სული გაერიდოს სახლსა და მეფე–დედოფალს არა ავნოსრა.

კერას აქეთ–იქით სიგძეზედ რგვალი ხეებია (ზღვე) დაგებული და პატარა დასაძინებელი ტახტებია შეკრული. კედლების ასწვრივ ჩარიგებულია ხის კოდები (ფქვილის, ხორბლის შესანახი), კიდობნები, ყუთები და სხ. ყველა ესეები აჭრელებულია ჩუქურთმებით და ჭვარტლმოკიდებულია. ეს ხელოვნება ქართულია და დღეს წმინდათ შენახულია რაჭაში. ხშირათ ნახავთ სამ–ფეხა ლამაზ სკამებს, წყლის საზიდ პატარა სადღობელას. (კუტალი). საზოგადოდ დიდი სიღარიბე ეტყობა სვანის სახლკარ–ბინადრობასა. მთელი სვანეთი ძველათვე გაუნადგურებია სისხლის შურის–ძიებასა და დღესაც წელში ვეღარ გაშლილა.

სვანის სახლი ისეა მოწყობილი, რომ ზაფხულში მაღლა სცხოვრობს, ზამთარში დაბლა. ათვალიერებთ სოფელში, მაგრამ ჭაჭანებას ვერ ხედავთ ქათამსა და ინდოურსა. აქა იქა თუ დაყიალებს სამ-სამი ან ოთხი ბატი.

აქაც გვიმღერეს სვანებმა რამდენიმე სიმღერა: ისევ ქართლული კილოები, ისევ ქართული ბანი და მოძახილი.

VI

ს. ჟახუნდერში არის სამინისტრო სკოლა, სადაც გამეფებულია ლევიტსკის და მის ამხ. უკუღმართი მუნჯური მეთოდი სწავლებისა.

ჩრდილოეთით მთის ძირობაზედ ჟახუნდერს აკრავს ს. ჩუკელი. აქ მთავარ–ანგელოზის მშვენიერი საყდარი გადახურულია ყავრით გარშემო ორი ადლის სიგანეზედ ისე, რომ თვით საყდარს თავის დღეში წვიმა ვერ მიეკარება. აქ მგზავრის ყურადღებას იქცევს ურთხლის ძველი კარები, რომელზედაც საოცარის ჩუქურთმის ხელოვნებით გამოყვანილია წმ. გიორგი, მთავარ–ანგელოზები მიქელ–გაბრიელი და ათორმეტნი მოციქულნი, ყველას ასო მთავრულით წარწერილი აქვს სახელი.

ამბიონის წინ ერთი ადლის სიმაღლე ალებასტრით გალე-

სილ სვეტზედ სდგას დიდი ჯვარი, ასე სამი ადლის სიმაღლე, ვერცხლით შეჭედილი და ოქროში დაფერილი ზედ გამოყვანილია ხატები–მაცხოვრისა, ღვთის მშობლისა, წმინდა გიორგისა, მიქელ–გაბრიელისა, მოციქულებისა და სხ. სვეტზე აწერია ხუცური ასო–მთავრულით ასე XIII-XIV საუკ. ხელით: №11. „ქ. წმინდაო მიქელ ადიდე ჯუმბურ და სოფელი ესე“. დანარჩენი გადასულია. საყდარი მოხატულია. კანკელი თლილი ქვისაა, მარტო ოდენ აღსავლის კარებით. ოქროთი მოჭედილ მთავარ–ანგელოზის ხატზე აწერია ხუცური ასო–მთავრულით: №12 <<ქ. წმ. მთავარ–ანგელოზო შეიწყალე ივანე ლორიანი. წმინდაო მთავარ-ანგელოზო მწე და მფარველ ექმენ ჲვანე ლორიანსა. ჲვანე დოღვინსა. მოიჭედა სახელობასა მ.. შ...>>

ვერცხლით მოჭედილ მთავარ–ანგელოზის ხატზე მხედრული ასოებით: №13. <<წმ. მთავარ–ანგელოზო მეოხ გყავ კაცია გელუანსა, სულას და გიორგის...>>

სვანეთის საყდრებში შენახულია მრავალი ძველებური ნივთები, მაგ., ს. ჩუკულის საყდარში დაცულია სასოფლო ბუკი სიმაღლით ადლნახევარი. როცა ერობა უნდა შეყრილიყო რომელისამე საზოგადო საქმისა გამო, საყდრის ოთხის მხრივ გალავანში ამ ბუკს დააყვირებდნენ და მთელი სოფელი მოიყრიდა თავს.

დღესაც ხმარობენ ბუკს საზოგადოების ყრილობისათვის. ბუკი სპილენძისაა, აქა–იქა სალტებ–შემოკრული. ბოლო ერთი მტკაველის სიგანე აქვს და ორ მტკაველამდის ნელ–ნელა მოვიწროებულია, მერე-კი თითქმის თანაბარი ლულა მისდევს იმ სივიწროვით, რასაც კაცი პირს თავისუფლათ მოჰკიდებს ჩასაბერავად.

აქვე ვნახეთ სპილენძის ემბაზი–სანათლავი, ჩვენებურ მანჯანიკის ტაშტს წააგავს, მხოლოდ უფრო ღრმაა და ვიწრო.

აქვე ვნახეთ ძველებური რკინის ხელხუნდი, რომელსაც დამნაშავეს ორივე მაჯაზე შეუყრიდნენ ხოლმე უწინ.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საკრებულო გაზეთი. 1903 №198. სექტემბერი 17, ოთხშაბათი. გვ. 2

მეორე დილით, შაბათს, 12 ივლისს ექვს საათზე მოვასხედით ცხენებს და ცხენის წყლის მარცხენა ნაპირს გაავედით და ასე ვიარეთ ჩოლურამდე პანტა–მაჟალოიან ცხენის წყლის მარცხენა ნაპირზედ; აქ ისევ გავედით ცხენის წყალ გაღმა, სადაც მდ. ხეშკური ერთვის, ლიჯის ციხის ნანგრევებთან. გადავედით ფიშყორის ღელეში; უნდა გენახათ, რა საშინელის ჭექა–ქუხილით გადმოდიოდა კლდეზედ აქაფებული ფიშყორი! ჩვენ ბარე ათი საჟენის სიმაღლიდან ჩავყურებდით, ცხენები კი კატებივით მიინაბებოდნენ კლდის ძირას გასულ საცალფეხო ბილიკზედ. ფიშყორს გავედით და შევუდეგით კიდეც ლათბარის მთას. იქნებოდა რვა საათი.

მეტად მდიდარი მცენარეულობაა: მაღლა წვეთივით აზდილი–მურყანი, წიფელი, ქორაფი, ნაკერჩხალი, და სხ. ერთმანეთს ეცილებიან–არა მე მაღალი ვარ, არა მეო. დაბლა მოსდებიან–დუდღუბო, ძახველა, თხილი, თრიმლი, ნარინჯი და სხ. შიგ მოდებულია ყვავილოვანი შამნარი, ყოველ ნაბიჯზე ანკარა სეტყვასავით ცივი ნაკადული გადმოჩაჩხანებენ ერთი დავიდარაბით და აგრილებენ წმინდა-უბიწო ჰაერსა. ნახევარ საათი არ გასულიყო ჯერ, რომ მცენარეულობა შეიცვალა: ტოტებ–ჩამოშვებული არყის ხე, ჩვენი საყვარელი მუხა. ბალღოჯ–აყრილი თხილი, ლაფანი და სხ. გზას მშვენივრად გვიჩრდილავდნენ. გზა მთის ფერდობზედ გადიოდ–გადმოდიოდა და გველივით მაღლა მაღლა მიიკლაკნებოდა. რამდენიც მაღლა ავდიოდით, იმდენი ტყე თხელდებოდა და ცხენის წყლის ხეობა ზევით–ქვევით ნელ–ნელა ხელის გულივით წინ გვეშლებოდა; აღმოსავლეთით თოვლიანი მაღალი ჭითხარის მთა ღრუბლებში გახვეულიყო, იმის დაყოლება გაღმიდგან თოვლიანი მთები ზაგერისა, ზიადის თავი, როკალისა, თეთენარისა, ნალიშისა და სხ. მშვენიერის ტყით შემოსილი ფერდობებით

გადმოგვყურებდნენ; შიგა და შიგ თეთრად აქაფებული ნაკადულები ჩამოხტდნენ ცხენის წყლისკენ. დაბლა ცხენის წყალი ალაგ–ალაგ მოიზლაზნებოდა, ალაგ-ალაგ გაშმაგებული მიჰყეფდა ქვეით. ხსჩოლური და სასაში ვრცელის ნახნავ–ნათესით სასიამოვნოდ შემოგვცინოდნენ დაბლიდგან და გულს გვიმხიარულებდნენ, ცხენები კი მიიკაკვებოდნენ ნელ ნელა–კლდიდგან კლდეზე ადიოდნენ და ჩადიოდნენ. ასე თერთმეტ საათზედ დეცილზედ ჩამოვხდით და დავისვენეთ, რაკი ჩამოცხა კარგა რიგიანათ, წყლის დალევას ერთმანეთს ვეცილებოდით, ისეთი მშვენიერი წყარო გადმოჩუხჩუხებდა იქვე გზის პირად. შევუდექით გზას და ერთ საათზედ სარაგზედ ჩამოვხდით. აქ ერთი საცოდავი წყაროა. აქ გამოვეთხოვეთ ჩრდილოვან ტყეს და დავნაყრდით თუ არა, ავემართენით ტიტველა ლათბარის მთაზე. ათასნაირი ბალახი ყვაოდა, ზოგი ჯერ არც–კი გაშლილიყო; ყოველ მხრივ ცივი სიო სულს გვიბრუნებდა და სანეტარო სუნნელებას გვაყნოსებდა. ჩვენ მაღლა მოვექეცით ცხენისწყლის გაღმა მთებსა. ღრუბლებს ზევიდგან დავყურებდით. თოვლის ზვინებით ამოვსებული კლდე–ღრეები ჩვენს დაბლა დარჩა, მდინარეთა სათავეები ჩვენს დაბლა მიწანწკარებდნენ. ყოველ მხრივ წამდაუწუმ სურათი იცვლებოდა: ღრუბლები ფუტკრის მართვესავით ირეოდნენ, ხან იქ, მაღალ მთებს მოეხვეოდნენ, ხან დაბლა ღელეებში ჩაწვებოდნენ, აღმა დაღმა მოძრაობდნენ.

როცა ღრუბლები გაშორდებოდნენ, თვალს იტაცებდნენ ცხენის წყლის გაღმა მთები: ხშირად აქა–იქა ჩაწოლილ თოვლისა და ყინულებისაგან აჭრელებულიყვნენ, ჭითხარის მთა ხან გვიცინოდა, როცა მოიწმენდავდა, ხან გვიბღვეროდა. ჩვენ დაბალ ფერდობებზედ გაშლილი ცოტაოდენი საქონელი ტკბილად შეექცეოდა სუნნელოვან ბალახსა და კუდით და ყურებით იგერიებდა მრავალ ბუზანკალსა (ბორა). მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენს საცოდავ ცხენებსაცა. კარგა ძალიან ჩამოცხა და ბუზანკალებსაც ამ დროს სცოდნიათ გააფორება.

აგერ გზა ორად გაიყარა: ჩვენ მარჯვნივ ავუხვიეთ, უშკულისაკენ გადასავალს.

დიდება ღმერთსა! აგერ ავაღწიეთ ლათბარის უღელ–ტეხილს, ჩამოვხდით ცხენებიდან. ფეხქვეშ ახლად აბიბინებული ხასხასი მწვანე მოლი გაშლილი იყო უძვირფასეს ფიანდაზივით, მიწა გვეღრიცებოდა ფეხქვეშ, თოვლი ახალი აღებული იყო. გადავხედეთ ინგურის ხეობას, კავკასიის თოვლ-ყინულით მოსილს უმთავრესს კლდოვან ქედსა. ჩვენ თვალწინ წამოყაყულიყვნენ კავკასიის მოხუცნი ბუმბერაზნი: იალბუზი, უშბა, შხარი, ჯანყითავი, ღისტოლა, თეთნულა, დიჰთავი და სხ. ჩვენ თითქმის 12 ათას ფუტის სიმაღლეზე ვიდექით. ვიშ იმ ჰაერსა, იმ სუნნელოვან სიოსა! ხარბათ ვსუნთქავდით, ხარბად ვყნოსავდით იმ სანეტარო სურნელებით გაჟღენთილ ჰაერსა. ჩვენ თვალწინ გადაშლილიყო ინგურის ხეობა, ცხენის წლის სათავე, ინგურისა, რიონისა და სხ.

ჩვენს გარშემო თოვლის ზვინები ბლომად იყო. სიამოვნებით გულსავსემ მოვიგონე პატარა ბიჭობა, გადავხტი თოვლში, დავაგუნდავე თოვლი და დავუშინე ჩემს ამხანაგებსა, ხან ერთს ვუთავაზებდი, ხან მეორესა. რა თქმა უნდა, იმათაც წამაყარეს თოვლის გუნდა და ხან აქეთ დავხტოდით, ხან იქით. იმ ხანად ყმაწვილობის ხანაში ჩაგვაყვანა დიდებულმა მთის ბუნებამა. ღმერთმა აცხონოს ჩვენი რაფიელი! ეხლა გავიგე მხოლოდ მიზეზი მთიულთა კლდოვან სამშობლოს სიყვარულისა! ეხლა მივხვდი, განსვენებულს რაფიელს რა ღრმიდ ჩაუცეცებია თვალი მთიულეთის გულში, როცა ამბობს მთიულის პირით-

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო!“

ოღონდაც! აბა, რა გასაცვლელია სიცოცხლის ჭახრაკი მთა უსიცოცხლო ბარზედა.

ნურავინ – კი გამიჯავრდებით და, სწორე მოგახსენოთ, მე იქ სიკვდილი მირჩევნია ბარში სიცოცხლესა. ნეტავი ბედნიერ მთის შვილებსა! დავნატრი მთის შვილების ბედსა, მათს კმაყო-

ფილებით სიცოცხლესა! იგინი ცოტასაც სჯერდებიან, ბედნიერნი არიან! ბარში – კი ბევრსაც არა ვსჯერდებით და უბედურნიცა ვართ. მე ლათბარზედ ბედნიერი ვიყავი: აქ რაღაც ტვირთი მომეხსნა გულისგანა, პატარა თავისუფლათ ამოვისუნთქე, თამამად გავიხედ-გამოვიხედე, თითქოს თვალიც უკეთ მიჭრიდა იმ ხანათ, გულიც სულ სხვანაირათ სცემდა. ბარში საცა კამეჩს ვერა ვხედავდი ლათბარზე. სარკესავით წმინდა ჰაერს ვჭამდი, ვკბეჩავდი, ვეშურებოდი მის მაცხოველებელს სუნნელებასა! ჩემი თავი იმ ხანად მთების მბძანებმლი მეგონა. ან კი ვინ შემეცილებოდა? მერე რა სიმშვიდე, რა მდუმარება ჰაერში: არსად ტოროლა, არსად მერცხალი არსაჲთ არარაჲმე ხმაურობა! მშვენიერია ლათბარი მოწმენდილ ამინდში. ვნახოთ მერე, რა იქნება ავდარში!

დავისვენეთ საათნახევარი. გავუსწორეთ ცხენებს სააღმართოთ დადგმული უნაგირები სადაღმართოთ და გადავეშვით უშკულისაკენ მიმავალ ბეწვიხიდა ბილიკებზე. საღამოს 5 საათზედ ჩვენ უშკულის საზოგადოების ს. ჟაბიანის ღვთისმშობლის საყდრის მაღლობ ეზოში ჩამოვხდით.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №213. ოკტომბერი 7, სამშაბათი. გვ. 1-2.

XIII

უშკულის საზოგადოება ოთხის სოფლისაგან შესდგება, რომელთაგან მურკმელი ენგურის მარჯვენა ნაპირზედ მდებარეობს, ხოლო ჩუბიანი, ჩაჟაში და ჟიბიანი მარცხენა ნაპირზედ. ს. ჟიბიანი ამ სოფლების თავშია და უნგურის სათავე საყინულეები და თოვლიანი კლდოვანი კავკასიონის მთა მაღლიდგან დაჰყურებენ, სულ ერთი ვერსის მანძილზედ. აქედან მოკლე გზა გადადის ჩადრეკილ უღელ-ტეხილზედ. რაჭაში ს. ღებზე უწერაზე.

უშკულის საზოგადოებაში წმინდად დაცულია ქართული

ტიპი, დიდი პატარა წმინდა ქართულ ენაზედ ლაპარაკობენ, უფრო უკეთესად, ვიდრე ფშავ-თუშ-ხევსურნი. სასიამოვნო სანახავი და მესაუბრე იყო მამასახლისი უშკულის საზოგადოებისა გეგი ნიჟარაძე.[1] მისი წამოსადეგობა და მშვენიერი ზრდილობიანი მიხვრა-მოხვრა, მისი წმინდა, სიცოცხლით სავსე წყლიანი ქართული ლაპარაკი შუა ქართლშიაც თითით საჩვენებელი იქნებოდა.

უშკულის საზოგადოებაში სულ ოთხმოცდაათამდე კომლია: ჟიბიანში რატიანები და ბეშიძეები ცხოვრობენ; ჩუბიანში ჩარკვიანი და ასათიანები; ჩაჟამში ნიჟარაძეები, ჭელიძეები, ვაჩლიანი და იმელიანები.

რა კი უწინ ერთი ათად უფრო მრავალი ხალხი ყოფილა სვანეთში, ამიტომ თვითოეულ სოფელში სას-სამ-ოთხ-ოთხი საყდარია. ზოგიერთი არც კი განირჩევა სვანთა სახლებისგან. ზოგი-კი განზედ არიან აშენებულნი, გარს მაგარი გალავნით და პატარა შესავალი ერთად-ერთი კარებით.

ს. ჟიმიანის ღვთისმშობლის საყდარი განმარტოებითა სდგას მაღლობ სერზედ, ჩრდილოეთით. იმ საღამოს (12 ივლისს) საყდარის ნახვა არ მოხერხდა.[2] იმ დღეს სოფელს სამღვთო ჰქონდათ და მესამღთოები ძალზე დაჟენთილიყვნენ არაყით.

მეტი რა ღონე იყო, იმ ღამეს ს. ჩაჟაშის სამინისტრო სკოლის მასწავლებელ ნიჟარაძესთან დავრჩით.[3] მეორე დილით მასწავლებლის დამ ძუის ქამანჩით დაუკრა ფშავ-გადაკრული ფანდური[4] და დამღერა. კილო სიმღერისა წმინდა ქართულია, ძალიან წააგავს მწყემსების დაკვრა-სიმღერას ფანდურზედ. მაგრამ ნარნარი ხმით ახალგაზდა ქალის სიმღერა ძუის სიმებიან ფანდურის აკომპანიმენტით სწორეთ სანეტარო მოსასმე-

1 იხილე „ივერია“ №198.
აქ, როგორც მთელ თავისუფალ სვანეთში თავად-აზნაურის ხსენება ჭაჭანებად არსად არის. გვარები - კი უფრო იმერეთ-ქართლის თავად-აზნაურებისაა და ყველანი თვითოეულ გლეხთა საზოგადოებას შეადგენენ.

2 პოლკოვნიკი ბარტლომეი უშკულელებმა არამც თუ საყდარში, არც ერთ სოფელშ არ სეუშვეს, და ცარიელ-ტარიელი გამობრუნდა.

3 ამისი მამა მღვდელია უშკულის საზოგადოებისა; დედა ქართლელია, ს. სკრიდგან.

4 ერთი ამისთანა ფანდური ბ. ფალიაშვილმა წამოიღო და წ.-კით. საზ,მუზეუმს უძღვნა.

ნი იყო. ყველანი სმენად გადავიქეცით და ყურის მოშორება გვეძნელებოდა. ასე მძლავრი ყოფილა უწინ ქართლის გავლენა მთაში და ასე წმინდათ შენახულა მათში ქართლის გავლენა!...

სკოლაში სწავლა მხოლოდ ზაფხულობით არის, ოთხი ხუთი თვის განმავლობაში, რადგან დანარჩენ თვეებში დიდი თოვლის გამო სიარული შეუძლებელია. აქ მხოლოდ თორმეტი ბავშვი დაიარება, ისიც მასწავლებლის წყალობით: ზოგს ეალერსება, ზოგს საჩუქრებს ურიგებს და სხ. გაგვიკვირდა.

ვკითხეთ მამასახლისს გეგი ნიჟარაძეს ამისთანა სამწუხარო ამბავის მიზეზი. გეგიმ გულახდით გვიპასუხა – ბავშვები ვერასა სწავლობენ, ტყუილად სცდებიანო. ჩვენ შვილებს ქართულის სწავლა ეჭირვებათ, მაგრამ არ ვიცით რატომ არ ასწავლიანო. რასაც ასწავლიან, ჩვენ არავის არა გვესმის-რაო და ისევ შინაური ცოდნის ანაბარს რჩებიან ჩვენი ბავშვებიო.“

რასაკვირველია, ამისთანა უკმაყოფილებას მთელ სვანეთში გაუდგამს ფესვი და რა ხილსაც დაისხამს, ეს მერე გამოჩნდება.

უშკულის საზოგადოების სოფლები მთელ სვანეთში უსუფთაობით გათქმულნი არიან, მეტადრე ს. ს. ჟიბიანი, ჩაჟაში და ჩუბიანი. მშვენიერ ძველ კოშკებს გარს აკრავენ ზედიზედ მიშენებული სახლკარ ბინადრობანი, ყველგან ნეხვის წუმპე-ტბორეებია და საზიზღარი სუნი ასდით. ეს ტბორეები გარს შემოზღუდულნი არიან კედლების ძირას. ბოსლებიდგან მთელი უწმინდურობა და საწვეთებიდგან ჩამონადენი ამ წუმპეებში იყრიან თავსა და მუდამ დაუშორებელნი არიან. ამის მეზეზად შემდეგი გვითხრეს: უშკულის საზოგადოების არე-მარე სრულიად ტიტველაა – უტყეო; აქ ჯაგსაც ვერსად ნახავთ, არამცთუ დიდს ხესა.

მიწა უნაყოფოა, ქვიანი და ოღრო-ჩოღრო. ჰავა მეტად ცივია და სუსხიანი. ამიტომ აქაური ნახნავ-ნათესი (ქერი და ფეტვი) ძნელად გადურჩება თოვლსა. ამიტომ უშკულელები თავის სა-

ცოდავს თითო ოროლა დღიურ სახნავ-მიწებს ნეხვის წუმპეებით აპოხიერებენ, რომ ნათესი მალე შემოვიდეს და თოვლმა არ უსწროს, უამისოდ დედალ-მამალი არა გატყვრებრაო. ყოფილა შემთხვევა, რომ ღარიბს მშობლებს ქალისთვის მზითევში ნეხვი გაეტანებინოთ.

სხვილ ფეხი საქონელი (ხარი, ძროხა) ოსებს გადმოუდით ჩრდილოეთიდგან და ასაღებენ სვანეთში.

ს. ჩაჟაშში ორი დიდი ხარი იყიდეს, საყდრის გალავანთან დაუმწყალობნა მღვდელმა და მარილი უკურთხა. შემდეგ ხალხმა მოიხადა ქუდები და პირჯვრის წერით და ხელ გაპყრობით შეჰღაღადეს ღმერთსა – „ჩვენი სამღთო შეიწირეო“.

შეალოკეს ნაკურთხი მარილი ხარებსა და წამოაქციეს დასაკლავად.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №214. ოკტომბერი 8, სამშაბათი. გვ. 2.

XIV

ღვთისმშობლის საყდარი, როგორც იყო გაგვიღეს. აქ საყდრის გასაღები სოფლის ამორჩეულ კაცს აბარია.

საყდარს მაგარი ქვითკირის გალავანი ავლია გარს და დასავლეთით უშველებელი კოშკი უდგას. ხის კიბით ავცოცდით გალავნის პატარა კარებში და თავდახრით შევედით რომ თავი არ შეგვეხეთქებინა ზღრუბლისათვის. კარები მაგარის სპილენძით არის გადაჭედილი გარედგან და შიგნიდან უშველებელი ურდული აქვს გაგდებული.

ეზოში კაცის სიმაღლე ბალახი და შამბნარი სივსივებდა დილის სიოზედ.[1] სამხრეთის მხრივ შევედით საყდარში. საყდარი მთლად მოხატული ყოფილა და დღეს გადასულია. კანკელი თლილი ქვისაა და მარტო აღსავლის კარი აქვს, კრეტსაბმელ

1 საყდრის ეზოში მოსულ ბალახს სვანები ხელს არ ახლებენ და არა სთიბავენ – საყდრისია და ასე უნდა იყოსო, დალპესო.

ჩამოფარებული.[1] ტრაპეზი ქვისაა და კედელზეა მიდგმული; მაღლა თაღში მაცხოვარია დახატული, აქეთ-იქით ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი, მერე მოციქულები. დაბლა მღვდელთ-მოძღვარი – ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და სხ.

აქ ჯვარი და ხატი ბევრია. აი მათნი წარწერანი:

ოქროთი შეჭედილს გარდამოხსნის პატარა ხატზედ: №14. „ქ რომელი ჯვარს ეცვ ჩვენთვის, ქრისტე ღმერთო ჩვენო, მეოხ და მფარველ გვექმენ მოსავთა და მამკობთა ხატისა შენისა მემეჩიბალახისძესა გსუნას და მეუღლესა ჩემსა ბარბალეს შეუნდვენ ღმერთმან ამინ“.

დიდს მთავარ ანგელოზის (სიმაღლით ერთი ქართული ადლია) ხატზედ, შეჭედილია ოქროში დაფერილი ვერცხლით: №15 „წმიდაჲ მთავარ ინგელოზი მჲქელ წმიდაო ნთავარ ანგელოზო, შეჲწყალე მაშენებელი შენი, სუფევაჲ ეც და ადიდენ მამანი ყოველნი... მეოხ მექმენ წინაშე ქრისტესა დღესა მას განკითხვისასა“.

აქ მრავალ ძველ ნივთთა შორის საყურადღებონი არიან: ოქროში დაფერილი ბარძიმის მსგავსი კათხა, მშვენიერის ხელოვნებით ნაკეთი, ღერო ტოტებიანი ხის მსგავსად გამოყვანილია. ამ ღეროს შუაზე აკრავს ვერცხლისაგანვე გამოქანდაკებული კაცი მარჯვენა ხელში ცულით, მოჭრას უპირობს, მარცხენა ხელი კი ხისთვის მოუხვევნია. ოთხ-კუთხედათ მოხაზულია ორი ლათინური ასო: N.M. ფეხზედ აქვს წარწერა: №16. „ქ. შემომიწირავს: ესე: ვერცხლის: კათხა: მე: ერისთავს: შოშიტას: უშკულ ს: დედა: ღვთისათვის: ჩვენად: სადღეგრძელოდ: და გასამარჯვებლად: ამინ: ღმერთო:“. შოშიტა არის რაჭის ერისთვი, ვახტანგ მეექვსეს მ[ედრ]ოე.[2]

ოქროში დაფერილ დიდს აზარფეშაზედ აწერია: №17. „ეს აზარფეშა გელუანი სულასია“. სულა გელოვანი მოხსენებულია

1 სვანეთში ძველ საყდრების კანკელს კარები არსად აქვს ჩამოკიდებული.

2 იხ. ამისი წერილი რუსეთის იმპერატორ პეტრე დიდთან переп. груз. ц. съ россійск. гос. 143 გვ. დაგვეღრიჯვნენ ქართული წიგნები გვაჩუქეთო. სამწუხაროთ, თან არა გვქონდა დავპირდით გაგზავნას.

ს. ჩუკულის საყდრის მთავარ-ანგელოზის ხატის №13 წარწერაში და XV საუკუნეში უნდა ეცხოვრნა, წარწერათა ხასიათის მიხედვით.

ოქროში დაფერილ ვერცხლის ჩარექას აქწერია: №18 „ქ. შეუწირავს: წულუკიძეს მერაბს: უშკულის: დედა: მღვთისათჳს: ესე: ვერცხლის: სურა: მისდა: სადღეგრძელოდ: ამინ“.

ვერცხლით სეჭედილ დიდს ძეწკვიან ჯიხვის ყანწზედ: №19. ქ. ღვთის: მადლს რას: მიწყენს: შავი: ყირმიზი: ღვინო: ხელთ: მეჭიროს: ვარდი თავს მერჭოს! ამ ვარდს ვერ ხედავ, დალიე, ღვთის მადლსა!“ ტარზედ აწერია: №20. „ქ. ესე: ქარახსა: წულუკიძს: მერაბისა არის“.

დიდს ვერცხლის ალთაფაზედ: №21 „ქ. ღოღობერიძის: როსტომისა არის“.ვერცხლის მოდიდო ჯამზედ: №22 „ქ ეს: ჯამი: ბეჟან: ლორთქიფანიძისა: არის“. ვერცხლის ბადიაზედ: №23. „ქ. წმიდის: გიორგის: ილორისა: არის“. ძირზედ აწერია ჩართულით „ლევან“.

წულუკიძე მერაბ, ბეჟან ლორთქიფანიძე და როსტომ ღოღობერიძე თანამედროვენი არიან შოშიტა ერისტავისა, XVIII საუკ. დამდეგს.

აქვე ვნახეთ მრავალი ვერცხლის ყანწები, თასები და სხ.

საყურადღებოა აქ ბრინჯაოს საომარი ცული და ოქროს ზარნიშით შემკული მშვენიერი ხელოვნებით ნაკეთები ფოლადის ნაჯახი. ეს ნაჯახი თამარ დედოფლის ნაქონიაო, გვითხრეს – მღვდელმა და მოწესრიგებულმა ლაცებმა. უშკულელების ძველი გარდამოცემით წმ. თამარ მეფე აქ, ღვთისმშობლის საყდრის ქვეშ განისვენებს; სძინავს. აქვე ს. ჩუბიანში აღმოსავლეთით ამართულია მაღალ მაღალ ბორცვებზედ მშვენიერი თამარის ციხე შიგ დიდი სრა პალატების ნანგრევებით. აქ არის დაფლული თამარ მეფის განძეულობა – ხაზინაო, ამბობენ უშკულელები.

აქვე საყდრის ეზოში პატარა ხელი-ხელ გადადებულმა ქალებმა გვიმღერეს მშვენიერი ქართლული სამგზავრო კილო.

აქვე ვნახეთ სამი პატარა ბიჭი, უკუღმართის სკოლის მოსწავლენი – გიორგი ჭელიძე, სიმონ ჩარგქსელიანი, სოლომან რატიანი.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საილტერატურო გაზეთი. 1903 №222. ოკტომბერი 17, პარასკევი. გვ. 2.

ს. ჩაჟაში ზედვეა მობმული ს. ჟიბიანზედ. აქ საყდარი თლილის ქვისაა, როგორც ჟიბიანისა და სხ. გარედგან საწვეთს ქვეშ გადასული მხატვრობა ეტყობა. შიგნით საყდარი ერთიანად მოხატულია მშვენიერის XII-XIII საუკუნის მხატვრობით, კანკელი ქვისაა. აქ შემდეგი ამოვიკითხეთ.

ოქროთი შეჭედილ მაცხოვრის ხატზედ №22. „ქ. მაცხოვარო ცხოველს მყოფელო, მეოხ ეყავ კადამს სატარვანიშვილსა წინაშე თქვენსა“.

ოქროთივე შეჭედილს მშვენიერს ღვთის მშობლის ხატზედ: №23. „ქ. ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, შეგვიწყალენ სულიერად და ხორციელად სასოებით მვედრებელნი შენნი წახანელის ძე ვახტანგ და მეუღლე ჩემი ხვაშაქი“.

ვერცხლით შეჭედილ ჯვარზედ: №24. „ქ. ნასრეთისა ღვთისმშობელო შეეწიეჲაბიანსა და მეუღლესა მისსა თაბასა და ძეთა მისთა ამის“.

პატარა მაცხოვრის ვერცხლით შეჭედილ ხატზედ: №25. „ქ. .... მფარველ... ყავ მადიდებელთა შენთა მაცხოვარო ღმერთო...

ს. ჩუბიანი ქვემოდგან აკრავს ს. ჩაჟაშსა; მაცხოვარის პატარა საყდარი შუა სოფელშია აშენებული მაღლობ კლდოვან ბორცვზედ. დასავლეთით სამხრო დაბალი აქვს მიდგმული, აქ მრავალი ჯიხვის, ფსიტისა და გარეული თხის რქებია ჩამომწკრიებული, მონადირეთაგან შეწირულნი. დასავლეთის კარებს აქეთ-იქით იოაკიმ და ანნა არიან დახატულნი. შიგნით საყდარი საუცხოვოდ მოხატულია.

პატარა კარებიან ვერცხლით შეჭედილ ხატზე აწერია ხუცუ-

რი ასომთავრულით:

№26. „ქ. ჯუარო პატიოსანო და ყოველთა წმინდათა მადლო, ყოველთა ცოდვათაგან განმწმინდე მაშვრეგიანი ნესტაი და გულბამსა მეუღლ.“

მღვთის მშობლის ხატზედ: №27. „ქ. დედაო ღვთისაო, მეოხ და მფარველ მექმენ წინაშე ძისა შენისა დღესა განკითხვისასა, მიხსენ სატანჯველთაგან მამკობი ხატისა, დაევეყავ შენსა სასოებასა და მადლსა. მეოხ გვეყან რანდასჲს (?)“.

ს. მურკმელი მდებარეობს გაღმა, ენგურის მარჯვნივ, ცოტა ქვემოთ. აქ ზედიზედ მიყრილს პატარა ქვითკირის სახლებს შორის შეგვიყვანეს პატარა მაცხოვრის საყდარში; მაგდენი ხატები არა იყორა. პატარა ძველ კიდობანში მრავალი ტყავზედ ნაწერი ფურცლები ვნახეთ მიხეულ-მოხეული: კონდაკისა, დავითნისა, კურთხევანისა, სახარებისა და სხ. ფურცლები ერთმანეთში იყვნენ არეულნი.

იქვე სოფლის განაპირათ, ქვემოთ განმარტოებით სდგას პატარა წმ. ბარბარეს საყდარი; სამხრეთის კარებთან სამხრო აქვს მიდგმული, ძველი ხარა-ხურით სავსე. აქ შეხვდებით უძველესის დროჲს თიხის და მინის ჭურჭელს – ჩარექებს, სანაჟურეებს, შანდლებს, ფიალებს და სხ.

საყდარში კანკელი ქვისაა. მხატვრობა აღარ ეტყობა.

ამბიონის წინ პატარა სვეტზედ დამყარებულია მშვენიერი, ოქრო-ვერცხლით შეჭედილი ჯვარი. ამ ჯვარზედ ამოვიკითხეთ: №28. „ქ. დედაო ღვთისაო, დაივედრე გიორგი დავითიანი, ამინ>>. ამის ქვემოდ აწერია: 29 „ქ. წმიდაო ბარბალა შენი მაშენებელი შანიბექი უშქულისა ა’ნ“. ამის დაბლა: №30. „წმიდაო ბარბალე ხეღვილიანი ასაში და ანა დაიცევ“.

ღვთის მშობლის ხატზე: №31. „ქ. ვედრებისა ღვთისმშობელო, მეოხ და მფარველ მექმენ დღეს. განკითხვისასა მამკობსა ხატისა შენისასა წინაშე ძისა შენისა გალდის“.

ოქროთი შეჭედილს წმიდის გიორგის ხატზე: №32 <<ქ. წმიდაო გიორგჲ მცხეთისაო, შეიწყალე ჴევი მცხეთჲსა შენსა წინა-

შე შემავალ...>>

ვერცხლით შეჭედილს ღვთივმშობლის ხატზე: 33. „ქ. ვედრებისა ღვთის ბშობელი>>. ზურგზე: „დედაო ღვთისაო, მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა მამკობსა ხატისა შენისსა დღესა განკითხვისასა უღონოსა შვილსა საღირსა...“

ოქროთი შეჭედილს იოანე ნათლისმცემლის ხატზე: №34. „ქ წმიდაო იოანე ნათლის მცემელო მეოხ... ბატონს ქობაჲლს და ცოტნეს...“

ოქროთი შეჭედილს პატარა ხეზედ: №35. „წმიდაჲ შიო ქ. რომელთა გაქუს კადნიერება... იოანე, ელია და შიო..., მოსავსა შენსა ფარსმანს და...“

ოქროთი შეჭედილს პატარა ხატზე: №36. „გარდმოხსნა იესოსი, მამისჴენე მჴსნელო სასუფეველსა შენსა ლომინაძე ქველი და მეუღლე ჩემი რუსუდან და შვილი ვახტანგ და ძმანი მისნი ამინ.“

ვერცხლით შეჭედილს ჯვარს ზურგზე. №37. „ქ. შეიწყალე ევსტატი ოქრომჭედელი.[1]

აქვე ვნახეთ რკინის დადიანი (ჯაჭვი), რომელსაც ავათმყოფნი მხრებზე მოიხვევენ და საყდარს გარს შემოუვლიან ჩოქით; ზედ აწერია: №38 „ქ. ამისა შემწირალსა ცოდვანი შეუნდვენ ღმერთმან“. ამისთანა დადიანები ბევრგან არის ქართლში – გორისჯვარში, ერთაწმინდაში და სხ. მრავალი ხატი და ჯვარია ამავე საყდარში.

აქ მურკმელის წმ.ბარბარეს საყდრის ეზოში გამოგვეცნაურა ოდესმე პაპად ნამყოფი 85 წ. მოხუცი გიორგი ჩარგქსელიანი. მისმა სასიამოვნო ნახვამ მომაგონა ქართლ-კახეთში ჩვენი ძველი ხელჯოხიანი დიაკვნები, თეთრი თმის ნაწნავით უკან, წელში მოხრილნი, წელზედ პრტყელი ტყავის ქამრით, მოყომრალო ჩოხაში თეთრ გულის პირა პერანგით და დიმიკიტონის ახალუხში გადმოწყობილნი ფეხზედ შავი პაჭიჭებით და ჩუსტებით, მაღალი ბუხრის ქუდით. გიორგი პაპის ხელში ეჭირა დასა-

1 იხილე Бакрадзе, пролож. №39, - 119 გვ.

ყრდნობელი, გარდიგარდმო თან განიერი ყავარჯენი, თავზედ გარდიგარდმო ჭდეებით აჭრელებული. გიორგი პაპი თურმე რამდენჯერაც სწირავდა თავის პაპობაში, იმდენს აჭდევდა ამ ჯოხზედ, აგრეთვე აჭდევდა საყდრის საკურთხეველში კანკელზედ, როგორც მთელ სვანეთში ჩვეულებად ჰქონიათ ძველის ძველადგან. მართლაც, სადაც-კი საკურთხეველში შევედით კანკელის ზურგი ყველგან აჭრელებული იყო ჭდეებით.

ჩვენ დიდის პატივისცემით მივესალმეთ მოხუცს პაპის და ვთხოვეთ ყოველთვის ელოცნა ჩვენთვისაც. დიდათ იამათ იქ დამსწრე სვანებს, ჩვენ რომ ასე პატივისცემით მივეგებეთ მოხუცსა.

უშკულის საზოგადოებაში დიდძალი ხელნაწერები ყოფილა ოდესმე. რავდენიმე ვნახეთ მღ. გ. ნიჟარაძესთან, მათში საყურადღებოა უთავბოლო შუატანის პარაკლიტონი, ასე XIII საუკ. ქაღალდზე ნაწერი, მასში ქართველთა მამათა მიერ შედგენილნი საგალობელნი და სატიბიკინო ცნობებია ჩართული შიდა და შიგ-

აქედანვეა წაღებული ფეხის მონასტერში შესანიშნავი მეტაფრასი. ამაზე შემდეგ ვიტყვით.

აქ მოგვეგება პატივცემული ბლაღოჩინი მღ. ბესარიონ ნიჟარაძე, ამიტომ მამა იოანე მარგიანი გამოგვეთხოვა და ლაშხეთისაკენ გაბრუნდა.

მამა ბესარიონი გაგვიძღვა თავქვე კალის საზოგადოებისაკენ. ენგურის ხეობის მარჯვნივ დაფერდილს ნაპირზე მიიკლაკნებოდა ჩვენი საცალფეხო ბილიკი. სულ სამი ვერსი არ გაგვევლო ჯერ, რომ აქა-იქა ჯაგნარი გამოჩნდა. რავდენიც მივდიოდით, მცენარეულობა თანდათან უფრო მშვენიერი იყო, მაგრამ ხეები მეტად დაბალი და წვრილი დაჯაგული იყო. მოწმენდილი მზიანი დღე იყო. თოვლ-ყინულიანი მთის წვერები ხან აქედან მოგვეჩვენებოდნენ, ხან იქიდან. დაბლა მარცხნივ თეთრი ენგური ჰქუხდა ვიწრო ხეობაში, თითქოს ვაკე-მინდვრად გასვლას ეშურებოდა კარგა რიგიანად ცხელოდა, მაგრამ

ულეველი გრილი სიო და გზა გზა მოჩქაფჩქაფე მთის ნაკადულები გვიგრილებდნენ სიცხესა. ჩვენი ბილიკი ხან ღრმად ხეობაში გაუხვევდა და გამოუხვევდა, ხან ადიოდა და ჩადიოდა; ენგურის ხმა ხშირად აღარც-კი გვესმოდა ხოლმე, თუმცა ზევიდან დავყურებდით პირდაპირ და პატარა წანწკარა ნაკადულივით-ღა ჩანდა. გავიარეთ თორმეტიოდე ვერსი და კალის საზოგადოების ს. ისფრალის კოშკებიც გამოჩნდა. დავეშვით დაქანებულ თავდაღმართს. საცოდავი ცხენები ტაატით მიიკაკვებოდნენ.

კალის საზოგადოება ექვსი სოფლიდგან შესდგები: ხალდე, დევბერი, ლანხორი, ხე-ვიჩნაში, მოუკ იარი და იფრალი. ეს სოფლები ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარეობენ. ამ საზოგადოების მცხოვრებთა გვარები წმინდა ქართულია: მაგველანი, დოდოანი, აკრიანი, მარგვევანი. გოგზიანი, ხორზიანი, ფანგანი, გულბანი, ღასუანი, დარაყანი, ჩოფლიანი, კოჭკიანი.

ამ საზოგადოებაში, ს. ხე-ვიჩნაშის გაღმა ზედ ენგურის პირზედ ამართულს მაღალს, ტყით მოსილს კლდეზედ აშენებულია კვირიკე-ივლიტეს შესანიშნავი მონასტერი მთელი სვანეთის უმთავრესი სიწმინდე ეს არის. სვანები ლაგვირკას ეძახიან. ამიტომ ს. დევბერში პატარა შევისვენეთ თუ არა, მაშინვე გავეშურეთ ლაგვირკასკენ. გავედით საქანელა ხიდზედ და შევუდექით მშვენიერს ფიჭვ-ნაძვრიანს ტყეს. აქ ენგურის მარჯვენა ნაპირი თითქმის ტიტველაა, უტყეო. მაგრამ მარცხენა მხარეზე ამართული მთა-კლდოვანი დაჩრდილულია ძვირფასის ფიჭვ-ნაძვიანის ტყით. იმავე თავით, როცა ლაგვირკა აუშენებიათ, ეს ტყე დაცულია, ხელს ვერავინ ახლებს, ხმელს ნაყარს შეშასაც კი ვერავინ წაიღებს შინ; მართალია, ქარიშხალისა და დიდ თოვლებისაგან დიდძალი ხეებია მოგლეჯილი და ისე ლპება, მაგრამ სვანები მაინც უფრთხილდებიან, ხატისააო. ტყის სიძვირისა გამო თუ რომელსამე სვანს მოგლეჯილი ხე ან სხვა რამ დასჭირდა, სოფლის ყრილობის დაფასებისამებრ, უნდა იყიდოს საყდრის სასარგებლოდ. დღეობაში და სხ. დროს კი

მლოცავნი ხმელს შეშასა სწვამენ. მაღლა-მაღლა მიმავალ ბილიკით თითქმის ოთხი ვერსი ვიარეთ.

ავაღწიეთ აღმართს როგორც იყო და ჩამოვხდით ცხენებიდან პაწაწა ვაკეზედ. აქ მოგვეგება მონასტრის სამი მცველი.[1]

ახლა ციცაბო კლდეს შევუდექით. აქ ერთი კაცის გასასვლელი კარია გაშვებული მეტი არა. წავდექით წინ და კიდევ უფრო ვიწრო კარი ავიარეთ. აქ წელზე ბალახი იყო მოსული. აი აქა სდგას სახელოვანი ლაგვირკა, მტრისაგან მიუვალი.

საყდარს აღმოსავლეთით უძევს სვანური დარბაზი, სიპი ქვისაგან აშენებული და სიპითვე დახურული; დასავლეთით ფრიად მაგარი, მაღალი ციხე უდგას, ციხის თოფებით გაწყობილი.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №232. ოკტომბერი 31, პარასკევი. გვ. 2.

XVI

დარბაზის დერეფანში, როგორც საყდრის კარის ბჭეში, მრგვალი რქებია ირგვლივ გამწკრივებული – ირმისა, მშველისა, ფსიტისა, ჯიხვისა, ცხვრისა, ხარისა და სხვ. თვით დარბაზი დაბლა ვაკედ არის დახურული. შუა ალაგას უშველებელი რკინის ფეხებიანი კერა დგას. ამ კერის ქვეშ ანთებენ ცეცხლსა და ზედ დადებულს ბრტყელს გახურებულს სიპზედ აცხობენ პურსა და მჭადსა. ამისთანა რკინის კერები ქართლ-კახეთშიაც ბევრგან არის. ამ კერის ასწვრივ მაღლა ჩამოშვებულია ჩვენებური გაჭვარტლული რკინის საკიდელი, ყურიანი ქვაბების ჩამოსაკიდებლად და რაიმე საჭმლის მოსახარშად.

დასავლეთის მხრივ ძირზე მილაგებულია პატარა ვარცლები, გობები. მლოცველთ თან მოაქვთ ფქვილი, ამ ვარცლ-გო-

1 აღდგომის კვირაში მთელი კალის საზოგადოება იყრის ერთად თავსა და წილის ყრით ირჩევს სამს კაცსა, რომლთაც ერთი წლის განმავლობაში უნდა შეინახონ მონასტერი. ვისაც წილი ერგება სიხარულისაგან ფეხზე აღარა დგას, თავი მოაქვს – „ლაგვირკას მცველი მე ვარო“.

ბებში ჰზელენ ცომსა და მერე სიპზედ აცხობენ. საზოგადოდ, სვანეთში ცომს ნაკლებად უშვრებიან მარილსა და ამიტომ ნამცხვარი უგემურია. სხვა მხარეებზედ ჩარიგებულია პატარა კიდობნები, კუტლები მლოცავთათვის. კერის აქეთ-იქით გძელი ხეებია ხალხის ჩამოსასხდომად. ჩრდილოეთის მხრივ კუთხეში აწყვია დიდი სპილენძის მოუკალავი[1] ქვაბები მლოცავთათვის ხორცის მოსახარშად. საყდარი საერთო შეხედულობისაა, როგორც ყველა სვანეთის საყდრები; თლილის ქვისაგან აშენებული, სიგრძე-სიგანით 10X5 ადლი, სიმაღლე კი შეუფერებელია სიგრძე-სიგანესთან, უფრო მაღალია, თითქმის შვიდი ადლი. საყდარი მთლად მოხატულია XII საუკ. მხატვრობით; კანკელი ქვისაა. ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

ამბიონის წინ მაგარ ქვითკირის სვეტზედ დამყარებულია ოთხი არშინის სიმაღლე ჯვარი, ვერცხლით შეჭედილი. ამ ჯვარს გარშემო მრავალი ხატი და ჯვარია დალაგებული. კანკელი აღარა ჩანს ზედ დასვენებული ხატისა და ჯვრებისაგან. აქეთ-იქით კედლების ბაქანზედაც ხომ აუარებელი ხატი და ჯვარი ასვენია – ერთიანად ოქრო ვეერცხლით შეჭედილნი.

აქ გაჯით გალესილს სამხრეთის კედელზედ ხუცური ასო მთავრულით აწერია (ამოთხრილია): №38. ქ. საყდარი ესე წმიდისა კვირიკესი, ოდეს მიწისძვრამან დაარღვია, მე ანტონის შვილმან გიორგი (გ'ი) ახლად შევზეთე. ვინცა არ დამივიწყოს, ღმერთმან ცოდვანი შეგინდოს". ასოების ხასიათისამებრ მეჩვიდმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს წარწერა.

ტაძრის ოქროთი შეჭედილს ხატზედ აწერია მშვენიერი ხუცური ჩართულის ასო-მთავრულით: №39. „ქ. წმიდაო: და: დიდებულო: ქრისტეს: მოწამეო: კვირიკე (კ'ე) მეოხექმენ: წინაშე: ქრისტესსა: ფრიად: ცოდვილსა: მოსავსა: ძალისა: შენისასა: სგანონის: რომელმან: შეამკო: წმიდა: ესე: ხატი: დიდებულისა: სახისა: შენისაჲ"

იოანე ნათლის მცემლის ოქროთი შეჭედილს ხატზე: №40.

1 სვანეთში ქვაბების მოკალვა იშვიათა. სამღვდელონი და შეძლებულნი აკალვინებენ სპილენძეულს ქუთაისში.

„წმინდა იოანე ნათლის-მცემელი ბელაჲსა. წმიდაო იოანე ნათლის-მცემელო შეიწყალე ენაჲგურისძე და მეუღლესა მისსა მარიანს შ'ნ ამინ“. დიდს ოქროთი შეჭედილს ხატზედ: №41. <<წმინდა კვირიკე გვერწლისაჲ>>. დაბლა-წმიდაო იოანე ნათლის-მცემელო შეიწყალე ს...“

პატარა ოქროთი შეჭედილს მაცხოვრის ხატზე: №42 ბერძნულად: I'C'X'C". დაბლა არშიაზე ხუცური ასო-მთავრულით: „ქ. ქრისტე ღმერთო შემწე იყავ ამირეჯიბს ბეშქენს“.

ზარზედ აწერია: №43. „ქ. ღმერთო და წმიდაო კვირიკე შეეწიე ორსავე შინა ცხოვრებასა ჴელმწიფისა შვილსა მონაზონსა თეკლას, რომელმან შემოგწირა ზარი ესე ამინ“.

ბატონიშვილი თეკლე მოლოზანი იყო იმერთა მეფის ბაგრატის ასული თინათინ; 1704 წ. ეკურთხა მოლოზნად, შობიდგან ოცდაექვსის წლისა.[1] კვირიკე-ივლიტეს საყდარი, როგორც ვიცით, დედათ მონასტრად იყო XVIII საწკ. დამლევამდე. სპილენძის ბადიაზედ აწერია: №44. „ქ. სვეტის ცხოვლისა არის. ისიმც რისხავს ვინც მოიპაროს“.

დიდს ვერცხლის ბადიაზედ გარს აწერია: №49. „ქ. ხოსია ახულედიანისა არის“. ძირზედ: „ქ. ეს თასი პაატა მიქელაძისა არის“.

ხოსია ახვლედიანი სცხოვრობდა XVII საუკ. დამლევს. მან მოჰკლა ბოროტებით სავსე იმერეთის დედოფალი დარეჯანი.[2] ხოსია იყო დაახლოვებული პირი დედოფლის დარეჯანისა და ლეჩხუმ-სვანეთის ერისთავად იყო.

1 იხ. წ.-კითხ. საზ. მუზეუმის ხელნაწერი №141.

2 იმერთა რჩევით, ხოსიამ მოჰკლა დარეჯანი 1668 წ. ქუთაისის ციხეში (იხ. ქ. ცხ., 205 გვ.).

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №233. ნოემბერი 1, შაბათი. გვ. 2-3.

კვირიკე ივლიტეს მონასტერში უძვირფასესი განძია ჯვარცმა-აღდგომის ხატი. ორმა მონასტერის მცველმა მოწიწებით ამოიღეს დიდი სკივრიდან (საკურთხეველში სდგას მარცხნივ) ძველ ყალამქრის მშვენიერ ბოხჩაში მძიმედ გახვეული ხატი და ტრაპეზზედ დაასვენეს. „აი ამის ყარაულები ვართ, ბატონებო“, გვითხრეს თავაზიანად სვანებმა. ხატი ვერცხლის ბუდეში ზის; სიგრძე სიგანით 7x6 გოჯია და მთლად ოქროს ზოდისაა, მაგრამ ოქრო აქ სახსენებელი არ არის: ზედა პირზედ ჯვარცმაა გამოყვანილი, ჯვარის მაღლა ორსავ მხარეს ანგელოზებია გულხელ დაკრეფილნი; აქეთ-იქით-ღვთიმშობელი და იოანე მახარებელია. ჯვარზედ დამოკიდებულია იესო ქრისტე. ყველა ეს მხატვრობა უძვირფასესის მინანქრის ხელოვნებით ნაკეთებია; ყველა ფერადი გარს მოვლებულია ოქროს (მელნის) ხაზით. ხატის მეორე მხარეს აღდგომაა ამ გვარათვე გამოსახული მინანქრისგან. (ჯვარცმა) წინაპირი აიხდება და ცარიელი ბუდეა ჯვარისა; თვით ჯვარი კი აღარ არის. შიგ ოციოდე მსხვილი მარცვალი მარჯნის კრიალოსანია და ერთი შუათანა ტანის სარდონიქსის ქვა. კუთხეებში პატარა უჯრებია ხუფებით. ამ უჯრებში პატარა ოქროს კოლოფებია, საუკეთესო ჭრელი კუთხედი მინანქრით ნაკეთებნი. მე ეჭვი არა მაქვს, რომ შუაგულს ჯვარის ბუდეში ოდესმე ძელი ჭეშმარიტი სვენებულა და კუთხის უჯრებში, პატარა კოლოფებში, წმინდათა ნაწილები.

ჯვარცმას აწერია ბერძნულად: №45. «I’C XC”. ღვთის მშობლის მაღლა „დედაკაცო აჰა ძე შენი“. იოანე მახარებლის ზევით: „აჰა დედა შენი“.

აღდგომის მაღლა ბერძნულადვე აწერია დაახლოვებით შემდეგი; №46. „ბრწყინვალებითა შემოსილი ყოვლად საგალობელი და უდიდებულესითა ნათლითა გამაბრწყინებელი“, ძირს „აღდგომა“.

არის აქვე სხვა ოქროს ხატი მაცხოვრისა შემდეგის წარწე-

რებით №47. „ქ. მაცხოვარო: და: ღმერთო: ჩვენო: და: ყოველნო: წმიდანო: (აქ შუაზე „თეოფილეს (თე'ლს?) შეუნდგენ მაცხოვარო"). სადიდებლად:.. ჩემისა: შევამკე: ხატი: ესე: ცოტ(ნე)ს: ნივთითა: შემკობილი: საოხად: სულისა..."

ამავე საყდარში ტრაპეზზედ სვენებულა ოდესმე ტყავზე ნაწერი დიდი ტანის ბერძნული სახარება. სახელოვანს სიძველეთა მოტრფიალე ლევაშოვს ხუთი თუმანი მიუცია 1869 წ. კალის საზოგადოებისთვის გირაოდ და იგი სახარება დროებით წაუღია პეტერბურგში. რამდენიმე წელიწადი გასულა და სახარების დაბრუნება ფიქრადაც არავის მოსდიოდა. დაიწყეს კალელებმა ჩოჩქოლი – ჩვენი სალოცავი სახარება მოგვიტანეთო. ამიტომ კეთილშობილებით სავსე ლევან დადიშქელიანს ერთი განგაში აუტეხია სატახტო გაზეთებში. ამის გამო გაბრიელ ეპისკოპოსს მიუმართავს არზით დიდის მთავრის მ.ნ.; სახარება დაუბრუნებიათ და გაბრიელისთვის ჩაუბარებიათ. ესე სახარება უნახავს ადგილობრივ 1853 წ. ბარტოლომეის, შემდეგ 1870 წ. ივნისის 18 თარიღით ბროსსეს დაწვრილებით აუწერია იგი სახარება ფრანგულად და კალის საზოგადოების კვირიკე-ივლიტეს მონასტრის საკუთრებად იხსენიებს. სახარება შეწირული ყოფილა კორიდეთის ღვთისმშობლის მონასტრისათვის. ბერძნულ-ქართულ მინაწერებში მოხსენებულ არიან გრიგოლ, მიქელ, ერისთავთ ერისთავი ბექშენ და სხ.[1]

საკურთხევლის თაღში მაცხოვარს გაშლილი სახარება უჭირავს XI საუკ. ასო მთავრულით: „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა შევიდეს ბნელსა". მთელი თაღი და კედლები წარჩინებულის ხელოვნებით არის მოხატული. მაცხოვარს აქეთ-იქით: ღვთის მშობელი, იოანე ნათლის მცემელი, პეტრე-პავლე, ნათლის ღება (იესო ქრისტე ტანთ ჩაცმული სდგას წყალში) – შობა, ბზობა – ჯვარცმა და სხ. აქ ურიცხვი ხატი და ჯვარია დაცული. ბოლოს მცველებმა გვაჩვენეს მთელი კონა ძველის საომარი ისრებისა. ისარი თოფის ზუმბის სიმსხოა, ში-

1 იხ. წ.-კითხ. საზ. მუზეუმში ბროსეს თხზულებათა შორის.

ნდის წნელისა, წმინდად გაფხეკილი, სიგრძით ერთი არშინის ოდენა, წვერზედ წამოცმული აქვს მწვეტი ორპირი რკინა, მახვილივით. თავში აქეთ-იქით ინდოურის ფრთის ჩაცლილი მსხვილი ბუმბული აქვს დიდის ოსტატობით დაკრული. თავზედ-კი ამოჭრილი აქვს ისე, რომ მშვილდის ლარი ჩაჯდეს შიგ. აქვე ვნახეთ საომარი ცულები ბრინჯაოსი და ფოლადისა. შუადღის უკან, იქნებოდა ასე ხუთი საათი, რომ გამოვეთხოვეთ მამა-პაპათა სალოცავის ალალ-მართალ მცველებს და ჩამოვეშვით თავქვე და იფარისაკენ გავსწიეთ.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1903 №236. ნოემბერი 5, ოთშაბათი. გვ. 2, 3.

ჯერ კალის საზოგადოების ს. ხე-ვიჩნას გავეიდთ საქანელა ხიდზედ, მერე უკანვე გამოვედით ენგურის მარცხნივ და ამ მხრივ ვიარეთ იფარამდე თითქმის თხუთმეტი ვერსი. ხან ზედ ენგურის ნაზვავს ქვიშრაპიანს ნაპირზედ მივდიოდით, ხან პატარა ველიანებზე, მაგრამ ხან მაღლა ავდიოდით მშვენიერ ჩრდილოვან ტყეში და გამწკრივებულნი ერთმანეთს მივსდევდით. გზა-გზა ხშირად ვხედავდით ყავრის გროვას. რაკი მდიდარი ტყეებია ენგურის გაღმა-გამოღმა, სიპის მაგიერ აქ ყავრითა ხურავენ სახლებსა და სხ. შენობებსა. რამდენიც ქვეით მივდიოდით, ენგური თანდათან იზრდებოდა და ალაგ-ალაგ გაივაკდება ხოლმე, პატარა წყნარად მიდიოდა და ერთმანეთთან ლაპარაკი შეგვეძლო.

იფარის საზოგადოებაში სულ ოთხი პატარა სოფელია – იფარი, ბოღრეში, ზეგანი და ნაკიფარი. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: ქურდიანი, კორძიანი (კორძაია), ხორგიანი, გულბანი, ფარიანი, ხვიბლიანი, კოჩუანი, პირიანი, სულაანი და ხვისტანი.

მდინარე ენგური აქაც ვიწრო ხეობაში ძალიან შეხუთულია. მაგრამ ჩრდილოეთის ცივი ქარები აქ ეგრე რიგათ ვერ უდგები-

ან, მოყუდროვებული ხეობაა და ამიტომ სანახავად გადაქცეულ კლდოვან ფერდობებზედ და აქა-იქა პატარა ვაკეებზედ – მშვენიერი დაოდო შღერებული ყანები და შემოსული ქერები ვნახეთ. მეტად გვესიამოვნა საცოდავი სვანების ასეთი ბედნიერება. უშკულ-კალელები შურის თვალით უყურებენ იფარელებსა და სხ.

შებინდდა და მივედით კიდეც ს. ბოღრეშში. იმ ღამეს შევეხიზნენით ახალგაზრდა მასწავლებელს ბ-ნ ხუციშვილს. აქვე სკოლაში სცხოვრობს ადგილობრივი მღვდელიც, რომელთაც თავი მოუყარეს მომღერლებს და თორმეტამდე სხვა-და სხვა სიმღერა ჩაუძახეს ბ-ნ ფალიაშვილს გრაფოფონსა. მეორე დილით გავხედ-გამოვხედეთ დასავლეთისაკენ; იქვე ჩვენის ეზოს მარცხნივ მაღლობზედ ამართული იყო მშვენიერი ციხე. გვითხრეს ამ ციხეში ბევრი ტყავზე ხელნაწერიაო. თურმე ამ ციხის პატრონის მამაპაპანი ოდესმე პაპებად ყოფილან და მათი და ნარჩომი საეკლესიო წიგნები მათს შთამომავლობას ცხრა კლიტულში აქვს შენახული – ციხის მაღლა ოთახში: თვალითაც არ დაგვახედეს ზედ იმ ხელნაწერებსა. რას ვიზამდით, ახირება არ გამოდგებოდა და ისევ წმ. გიორგის საყდრისაკენ გავწიეთ.

საყდარი უძველეს დროის ნაშენია თლილი ქვისაგან. საყდარს სამი მხრივ მიშენებული აქვს სამხროები – ორი მხრივ სამწირველოებით და გარს უვლის საყდარს გაჭვარტლული ქვის თაღი. რუისის ღვთაების ტაძრის ჩრდილოეთი სამწირველო მომაგონდა, თუმცა ერთი-ორად პატარაა. აღმოსავლეთის კედელი (ფასადი) გარედგან შემკულია მშვენიერი ჩუქურთმით თლილის ქვისგან: სამი მოგრძო თაღ-გადავლებული ერთმანეთზედ გამოკვეთილია ფანჯარასავით თახჩები; მარჯვნივ გამოყვანილი – არჩვის თავი, ორი ხარის თავი, სამიც ცხვრის თავი; მარცხნივ ლომის თავი და ირმის რჩხიანი თავი; შუაზედ ყელ-მოღერებული ირმის თავი დიდის რჩხით. ამის დასწვრივ მშვენიერი ფანჯარაა.

სამხრეთის მხრივ რომ შეხვალთ სამხროში, აქ თქვენს ყუ-

რადღებას იქცევს – დიდი ციხის თოფი (ჯაზეირი), ბუკი, და პაპის ყავარჯენი ჯოხი, ჭდეებით აჭრელებული. საყდარი მთლად მოხატულია X-XI საუკ. ხელოვნებით. სასიამოვნო სანახავია დასავლეთის კედელზედ წმ. გიორგის მარჯვნივ დგანან ორნი გვირგვინოსანნი (დეოკლიტიანე ცოლით); საკურთხევლის თაღში მაცხოვარია ხელში სახარებით დახატული, აქეთ-იქით – იოანე ნათლის მცემელი, ღვთის მშობელი, მოციქულები და მღვდელმთავრები. კანკელი, ჩვეულებრივ თლილის ქვისაა, მარტო აღსავლის კარებით.

აქ ტაძრის მოზრდილი ხატი ოქრო-ვერცხლით შეჭედილია წარწერით: №48. „ქ. წმიდაჲ გიორგი (წ' ჲ გ' ჲ) იფარჲსაჲ. შეიწყალე ფაჯნა და მეფე ჲან".

№49. „ქ. მოიჭედა ხატი ესე წმინდისა გჲორგისა იფარისა ჩემ მარუშის მიერ სალოცველად და საღსრად სულისა ჩემისა დღესა მას განკითხვისას ჩემითა ოქროჲთა და ვერცხლითა". დაბლა - „ჴელითა ოქრომჭედელისათა"...

ყოველს ეჭვს გარეშეა, ეს ხატი ეკუთვნის X საუკ. დამლევს. ხმარება ასო"ჲ" „ი" ნაცვლად ამისი უტყუარი საბუთია.

ეს წარწერა ბარტოლომეისგან გადმოღებული ბროსსეს ჰქონია ხელში და <<მარუშის>> კითხულობს შეცდომით <<მარუსის>>. ამ საყდრის მღვდლის სახლში ჩვენ ვნახეთ პატარა უთავბოლო ტყავზე ნაწერი, რომელიც წარმოადგენს <<შეხვეტილს>>, ანუ საღმრთო წერილისა და წმ. მამათა თხზულებათაგან გამოკრებულს შესანიშნავ აზრებს.[1] ამ ხელნაწერისა რამდენიმე ფურცელი-ღიაა – პალემსესტი. გამოკრებული აზრები ამ წესით არის: <<მამისა ესაიასნა>> (4 აზრი;[2] „მამისა ისაკისი" (9 აზრი); „თქმულთაგან მარკოზ (მ'რკზ) მონაზონისათა" (10 აზრი); „თქმულისაგან სტეფანე მონაზონ სათა" (14 აზრი). ამის შემდეგ სარჩევია მოყვანილი. „ამას წმიდასა წიგნსა წერილ არიან სიტყვანი ამათ წიგნთანი: ა) სახარე-

1 ეს კრებული დიდად ჰგავს „დამაკვირდის", „ივერიის" რედაქციამ რომ დაბეჭდა ადრევ.

2 ხაზგასმული წითელი მელნით არის.

ბისანი მუხლნი, ბ) პავლეს ებისტოლისანი; გ) იოაკობის კათოლიკეთანი იბ; დ) პეტრეს კათოლიკეთანი ია: ე) იოვანეს კათოლიკეთანი ზ; ზ) იუდას კათოლიკეთანი ბ; ჱ) სოლომონას იგავთანი ლ; თ) ისო ზირაქისა იგავთანი მთ; ი) პანარატოსისნი გ; ია) ეკკლესიასტესნი ვ; იბ) მეფეთაჲსაჲ ა; იგ) იობისნი გ; იდ) ეზრაჲ სოჯთილისანი დ; იე) ესაჲაჲ წინასწარმეტყველისანი იდ; ივ) იერემია წინასწარმეტყველისანი თ; იზ) იოანე ოქროპირისანი ჲა; იჱ) ბასილი დიდისანი ჱ; ით) გრიგოლ ღვთისმეტყველისანი ე; კ) ათანასი ალექსანდრიელისანი გ; კა) კჳრილე ალექსანდრიენისანი ა; მამისა იოანესნი რე; კბ) მამისა დორესნი (დორეთესნი?) იგ; კგ) მამისა ეფრემისნი და კდ) მამისა ესაიასნი დ; კე) მარკოზ მონაზონისანი ჱ; კვ) სტეფანე მონაზონისანი იდ“.

ამ სარჩევს ზედ მოსდევს შემდეგი საინტერესო წარწერა: „ადიდენ[1] ღმერთმან (ღ’ნ) გიორგი (გ’ი) მამა მთავრისა მროელისა პამეხთა(?) ბრძანებასა მათსა აღწერს ესე ლავრას დიდსა შატბერდსა და ესეცა წმიდათა მოწამეთა და მამათა საკითხავნი“.

გიორგიო მროველი (რუისის ებისკოპოზი) ჩვენ ერთი ვიცით და სცხოვრებდა დაახლოვებით 996-1042 წლებს შორის. ამ ხელნაწერს თავიდგან აკლია 8 რვეული, ანუ 108 გვერდი; შემდეგ ორი საკითხავია ამ სათაურებით: „თქმული წმიდისა მამისა იოანე დამასკელისაჲ შესხმაჲ წმიდათა მოწამეთა და მამათა და ვედრებაჲ მათი იკითხო ყოველთა შაბათთა, და ოდესცა გინდეს ვ’ნ. შემდეგ: „არამედ ჯერ არს რათა მცირედ რაჲმე ვაჴსენეთ ჩვენ ღუაწლნიცა იგი წმიდათა მამათანი.

1 ხაზ გასმული წითელი მელნით არის.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1904 №68. მარტი 16, ოთშაბათი. გვ. 3.

XVII

იფარის საყდარშივე ვნახეთ ვერცხლის ჯვარი წარწერით: №51. <<ქ. წმიდაო... შემეწიენ მოქენესა ნათობანს! გადიდებს, გაკურთხევს ამინ და მეუღლესა ჩემსა მამქანს, ძეთა მისთა შემწე ექმენ>>... პატარა წმ. გიორგის ოქროთი შეჭედილ ხატზედ: №52 <<წმინდაო გიორგი ზღუდრისაო, მეოხ და მფარველ მექმენ მოსავსა მამკობსა ხატისა შენისასა ჩვენ მონათა შენთა დღესა მას განკითხვისასა ამინ>>.

ზღუდრის წმ. გიორგის საყდრები ქართლშიაც არის (ცხინვალის მახლობლად) და კახეთშიაც (ს. გურჯაანში) და საკუთარი დღესასწაული აქვს-აღდგომის შემდეგ მეოთხე შაბათს.

წმ. გიორგის ოქროთი შეჭედილ ხატზედ: №53. <<წმიდაო გიორგი. მეოხ ეყავ სულსა ბედანისასა>>.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, წარწერის ასოების და ხელოვნების მიხედვით, რომ აქ მოხსენებული ბედანი არის დადიანი, ერისთავი ეგრის-სვანეთისა 1245-1272 წლებს შორის, რომელმაც ლაშას ძის ამბოხის ჟამს იმერეთში არ უღალატა მეფეს დავით რუსუდანის ძეს.

ბედანს ასე მოიხსენიებს ჩვენი მემატიანე... <<იყო ბედანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხვი, ყოველთა კაცთა სრული გონიერებითა; ამან დააწყვნა ოდიში, რომელ მპარავნი და ძვირის მოქმედნი არა იპოვებოდეს, და სვანნი განიყვნეს ორად>>[1]

იფარის მღვდელთანვე ვნახეთ ჯოხზედ დახვეული, ტყავზედ ნაწერი ოქროპირის ჟამის წირვა, ძალიან დაზიანებული და თავ მოხეული. იგი ხელ ნაწერი სხვათა შორის შემდეგს საყურადღებო განსხვავებას გვაძლევს ეხლანდელი წირვის წესთან შედარებით: <<მღვდელმან (მღ'ნ) უფალმან (ო'ნ) სცნეს სიტყვა-

1 იხ. ქ. ცხ. 1, 392 გვ.

ნი მახარებელსა ძალითა მრაულითა, მეუფემან ძალითა საყვარელთამან და მადლითა მისითა ყოვლადვე აწ და მარადის>>...1)

<<ილოცეთ კათაკმეველთათვის, ილოცეთ>>. ამა გრაგნილის ბოლო ძლივს-ძლივობით ამოვიკითხეთ შემდეგი: - №554. <<ამისსა მწერალ მხატვარ-მწიგნობარსა ბასილს მჩიტიაძესა (?) და მისთა დედა მამასა შ'ნს ღ'ნ. ბიძის ძესა ჩემსა და მისთა შვილთა შ'ნს ღ'ნ ა'ნ. რომელთაცა შენდობითა მოგვხსენიოთ, ღმერთმან თქვენცა შეგინდოს ცოდვანი>>.

ს. იფარის სამხრეთით მაღლობს ვაკობზე მდებარებს ს. ზეგანი. ამ სოფლის საყრიდგან მოტანილია იფარის საყდარში ძველი (XI საუკ.) ტყავზედ ხელნაწერი 1) მღვდლისაგან სათქმელი მთავრისა მიერ სახარების წაკითხვის წინ. კარგი იქნებოდა ითავოს ვინმემ ამ საინტერესო ვარიანტის დაბეჭდვა. მეტაფრასი (17X10 სანტიმ.), რომელშიაც მოთავსებულია წმ. გიორგის და თეოდორე ტირონის ცხოვრება და სასწაულნი. დაწერილია წვრილი ნუსხა ხუცურით. ბოლოს აქვს საყურადღებო წარწერა: №55 <<მე გლახაკმან იოანე მესვეტემან აღვწერე წამებაჲ წმიდათა მოწამეთა წმ. გიორგისა და წმ. თეოდორეს სასწაულნი სალოცველად, ადიდენ ღმერთმან, ვახტანგ ფარჯანიანისა და ღვთივ მინიჭებულთა შვილთა მისთა. აწ ვინ იკითხავდეთ, გულსმოდგინედ ილოცევდეთ, რათა ღმერთმან ერთობით ადიდნეს შვილნი და მშობელნი მათნი ნებასა ზედა მათსა ამინ. დაიწერა სვეტსა ზედა ჭყონდიდისასა, ადიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისასა, ინდიკტიონსა, და ქორონიკონსა ს:ნ:ა: ხელითა იოანე მესვეტისათა>>. ქართლის ცხოვრებით ბაგრატ IV გამეფდა 1027 წ. ამას რომ დავუმატოთ ინდიქტიონი ბაგრატ IV მეფობისა ამ წარწერის თანახმად (027+4=8) მივიღებთ 1031 წ. ქორონიკონი სნა-ც ხომ ამავე წელს გვაძლევს (780+251)=1031 წ. ამაზედ დიდი საბუთი ჩვენი აბუჩად აგდებულის ქართლის ცხოვრების სამართლიანობისა რაღა უნდა? მაგრამ ჩვენნი უპურმარილო პატკანიანცები მაინც

არამკითხე-მოამბესავით გაიძახიან - ქართველების მატიანე ქართლის ცხოვრება ზღაპრული მოთხრობაა, სომხის ბერებისაგან შეთითხნილიო!.

ჩვენის აზრით იოვანე მესვეტე გვარათ ფარჯნიანია. ამის საბუთად მოგვყავს წ.-კით. საზოგადოების მუზეუმის №391 ტყავზედ ხელნაწერის სახარების ბოლოს წარწერა: №56 <<სახელითა მამისათა, ძისათა, და სულისა წმინდისათა, მეოხებითა წმინდისა ღვთისმშობლისაჲთა და წმ. იოანე ნათლის მცემელისაჲთა და წმიდათა ოთხთა მახარობელთაჲთა მე ივანე ფარჯანიანმა დავწერე წმინდაჲ ესე სახარებაჲ სალოცველად თავისა და სულისა ჩემისა და ძმათა და შვილთა ჩემთა და მოსახსენებლად სულისა მშობელთა ჩემთასა. აწ ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას ოთხთავსა, მომიხსენეთ ლოცვათა შინა თქვენთა. რათა ღმერთმან თქვენ მიერითა ლოცვითა ყოს შენდობაჲ ცოდვათა ჩემთაჲ და ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა... დაიწერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ხელითა, ადიდენ ღმერთმან, ჲოვანე მესვეტასაჲთა. ლოცვასა წმიდას თქვენსა გვედრივარ. და მეცა გლახა საწყალობელი სულითა, არსენი ეშმას ძე ლოცვ...>>[1]

ფარჯანიანი – საგვარეულოა სვანეთში დღესაც ლატალში და ფრიად შეძლებულ გვარად ითვლება ძველადგანვე. იოვანე მესვეტე, როგორც ჩვეულება იყო საქართველოში, ბერობის შემოსვამდე თავის გვარს ატარებდა; მაგრამ შეიმოსა თუ არა ბერობა, დაუტევა სრულიად თავის გვარის ხსენება. იოანე მესვეტე რომ ბერძნეთის, ან რუსეთის ეკლესიის მოღვაწე ყოფილიყო, არამც თუ წმინდად შერაცხამდნენ, არამედ აკათისტოებსაც შეუდგენდნენ.

ჭყონდიდის სვეტის ნანგრევი მარტვილის ტაძრის მახლობლად დასავლეთის მხრივ მე თვით მინახავს 1874 წ. ზაფხულში, წააგავს პატარა რგვალ საყარაულო კოშკს.

იფარიდგან ენგურის მარჯვნივ გავედით საქანელა ხიდზედ

1 იოანე მესვეტის გადაწერილი ერთი სახარება საეკლესიო მუზეუმშიაც არის, ჩამოტანილია დავით გარეჯის მონასტრიდგან.

და ციცაბო ფერდობზედ მწკრივათ გავსწიეთ ფეხის მონასტრისაკენ.

აქ ეს ორმოცი წელიწადია მოღვაწეობს იღუმენი თეოფანე; (სვანი – კორძაია), აუშენებია მშვენიერი საყდარი სამწირველოებით, ოცამდე საცხოვრებელი ოთახი, თავლა, საკუჭნაო, გაუჩენია ძროხები, ცხენები, ხარები; დაუწყვია ხვნა-თესვა (დიკა, ქერი) წველა-დღვება, ყველის კეთება; გაუმართავს მშვენიერი საფუტკრე, გაუშენებია ხეხილის ბახჩა, რაც-კი სვანეთის ჰავას აიტანს – ყველა ხეხილი ჩაუყრია – ბალი, ალუბალი, მაჟალო, პანტა და სხ.

აქ ვნახეთ მშვენიერი ხატები და მათ შორის ძვირფასის ქართულის ხელოვნების ოქროს ხატი მაცხოვრისა ხუცური წარწერით <<ძელი ჭეშმარიტი>>. ეს ხატი გრაფინია უვაროვისას ძალიან მოსწონებია 1895 წ., ვიზანტიურ ხელოვნების ხაშთად აღუარებია და ათი თუმანი შეუძლევია მ. თეოფანესთვის – მე მომეციო. მაგრამ მ. თეოფანეს მშრალი უარი უთქვამს – <<რასა ბრძანებ, იუდა ისკარიოტელის ძმობილი როგორ გავხდეო>>!

მ. თეოფანე კარგა ხანია ჩალოგინებულა, ქარებისაგან დახუთულია და ყავარჯნებით ძლივს დაიარება მზიან დღეში. მ. თეოფანე ტფილისში იყო დარიის მონასტერში 1866-1868 წლებში, შემდეგ გელათში.

აქ ვნახეთ პატარა ხუცური ხელნაწერი ჟამნი, ტფილისში გადაწერილი 1755 წელს. აქვე ვნახეთ უშკულის ს. ჟაბიანის ღვთისმშობლის საყდრის მშვენიერი ლავსაიკონი-მეტაფრასი (40-28 სანტიმენ.) ასე XVI საუკ. გადაწერილი – ამ ლავსაიკონის საკითხავთა შორის საყურადღებოა 10 იანვარს საკითხავი შემდეგის საინტერესო სათაურით: (წითელი მელნით) №53 თქმული წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ღვთის მეტყველისა გრიგოლის მიმართ ებისკოპოზისა ნოსელისა, ძმისა წმიდისა ბასილისა, რომელ იგი მაშინ მისრულ იყო სტოჯმრად ნეტარისა გრიგოლი ღვთის მეტყველისა, ოდეს იგი ღმერთ შემოსილმან ბასილი დაადგინა სასიმისასა და შემდგომად კუ-

რთხევისა მისისა ესტოჳმრა მას გრიგოლი ნოსელი და მას მოჳნ ყოფასა აღმოთქოჳა ესე საკითხავი:

საკითხავი ესე იწყება:

<<მეგობრისა სარწმუნოჲსა არა რაჲ არს ნაცვალი არსთაგან ამის სოფლისათა, არცა რა შეესწორების სიკეთესა მისსა: მეგობარი სარწმუნოთ საფარველი არს მტკიცე და სამეუფოჲ გამაგრებული! მეგობარი სარწმუნოა საუნჯე არს სულიერი, მეგობარი სარწმუნოჲ უაღრეს არს ოქროჲსა და ქვისა პატიოსნისა...)[1] დიდად პატივცემულია მ. თეოფანე თმელ სვანეთში ამოდენა ღვაწლი და ამაგი გაუწევია ამისთანა უალაგო ადგილას თავის მოძმეთა სიკეთის გულისათვის, რომ ოდესმე აქ დაწესებულიყო მონასტერი და აქ მცხოვრებ ბერ-მონოზნებს აღედგინათ სვანეთში მამაპაპური სარწმუნოებრივი მხურვალე გრძნობა, გამართულიყო ყრმათა სასწავლებელი და ძველებურად აყვავებულიყო სწავლა განათლება... მაგრამ ვინ არის პატრონი! სანამ ცოცხალია მამა თეოფანე, მონასტერს რა ფიქრი აქვს! მაგრამ მის შემდეგ მეტად მწარე ბედი მოელის ამოდენა ნაჭირნახულევს სამონასტრო მოწყობილებასა: იგი შეიმუსრება, დაინგრევა თეოფანეს, მზრუნველობას მოკლებული, და შემდეგ დროთათვის იგი ნანგრევნი მხოლოდ მომგონებელნი-ღა იქმნებიან – ოდესმე აქ თეოფანე ბერს უმოღვაწნია, აქ უცხოვრია და თავის ძვლებიც აქ ჩაუყრიაო! ასეთი უმადურობა იცის მამინაცვლის ბატონობამ.

ცრემლით გამოვეთხოვეთ სვანეთის ამისთანა ღირსეულს შვილს და ჩავეკიდენით დასავლეთისაკენ ჩამავალ სახიფათო ვიწრო თავ-დაღმართსა. ჩავივაკეთ მდ. ენგურის ნაპირზედ და ისე ვიარეთ შვიდ ვერსტამდე იელის საზოგადოებისაკენ.

1 იხ. წ.-კითხ. საზ. მუზერუმში ტყავზედ ხელნაწერი №1691, რომელიც წარმოადგენს უშკულის მეტაფრასის, უფრო ვრცელს, დედანს

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1904, №119. შაბათი, 22 მაისი. გვ. 2.

იელის საზოგადოება სამი პატარა უბნისაგანღა შესდგება - ასქათი, ნეკსა და აწი; 1812 წ. აქ ხალხი ამოწყდა ჭირისაგან. მდებარეობს მაღლობ ხრიაკს ფერდობზედ, მდ. ენგურის მარჯვნივ და დაფერდილია. ჩრდილოეთით მშვენიერი ფიჭვნარიანი მთა უძევს. საზოგადოებაში ოთხი საყდარია. მისავალ გზაზედვე მშვენიერ ვაკე ბორცვზედ მარცხნივ განმარტოებით სდგას მშვენიერი თლილის ქვით ნაშენი მაცხოვრის საყდარი. გარს სიპის ქვის გალავანი აქვს შემოვლებული და შესავალი ამოქოლლილია ხეებით, რომ საქონელი არ შევიდეს ეზოში. ამ შესავალთან მარჯვნივ ჩრდილო დასავლეთის მხრივ მლოცავთათვის ქოხია აშენებული. საყდარი შიგნით მოხატულია ჩვეულებრივ მშვენიერის ძველი ხელოვნებით. კანკელი თლილიქვისაა, მარტო აღსავლის კარებით.

მაცხოვრის ვერცხლით შეჭედილ ხატზედ აწერი №59 ჲ'ოქ'ე მოაჭედა ხატი ესე ჴელითა თ'ე (თეოდორე) გლავასძისაჲ...

მღვთისმშობლის ვერცხლით შეჭედილს ხატზედ: №60. <<ქ. დედაო ღვთისაო მეოხ გუექმენ აბუგიანსა, ნგრგს (?) მეუღლესა ჩემსა ალნათს და შვილთა ჩუენთ... ირზ...>> წმ. კვირიკეს საყდარში შუაზედ სამი არშინის სიმაღლე დიდი ჯვარია დადგმული, მთლათ ოქროცურვილი ვერცხლით შეჭედილი.

ნათლის მცემლის საყდარშიაც მშვენიერის ხელოვნებით ოქროცურვილი ვერცხლით შეჭედილი ჯვარი დგას შუაზედ.

პატარა ღვთისმშობლის ვერცხლის ხატზედ. №61. <<ქ. ჴელთა აღვიპყრობ შენდა წმიდაო ღვთის მშობელო და ჴელთა შენთა რომელი გიტვირთავს, მისდა მიმართ მეოხ მეყავ მამკობსა შენსა მჴევისძეს...>>

აქ მოხსენებული მხეცის ძე, ჩვენის ფიქრით, არის ისტორიული პირი XVI საუკუნისა სარგის; იგი იყო სიძე ამირინდო ამილახორისა. სარგისის მეუღლე ელენე დასწული იყო იმერეთის მეფის დიდის ბაგრატისა. სარგისი ფრიად შესანიშნავი პირია XVI

საუკუნის დამდეგს და მოხსენებულია გელათის სოხასტრის ღვთისმშობლის ხატზედ წარწერაში.[1]

მეორე ღვთისმშობლის ვერცხლით შეჭედილ ხატზედ: №62. „ქ. ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო და მაცხოვარო მეოხ ექმენ რატს ძითურთ...“

რატი, ჩვენის ფიქრით არის ქართლის ერისთავი სურამელი, წმ. თამარ მეფის დროს, როდესაც ეგრის-სვანეთის ერისთავნი თავის მეომარი რაზმებით მხარს უმშვენებდნენ ქართველებს ადრიბეჟანში და ქურთისტანში ომების დროს.[2]

აქვეა ფიცარზედ დახატული იოანე მახარებლის სახე დაბალი ხელოვნებისა, XVII საუკუნის წმ. იო-ანეს ხელში სახარება უჭირავს გადაშლილი და ზედ აწერია ხუცური ასო მთავრულით: №63. <<პირველჲთნა შთანთქლჲ (შთანთქმული) მჴეცჲსაგნ განმრწნელჲსა წარმოაგდო უხრწნელად და ქწლჲსა (ქალწულისა) მუცელსა სჲტყჲ ღჲ განჴორცჲელდა... ეს წარწერა ცხადათ გვაჩვენებს დროს, რომელსაც ეკუთვნის ხატი. ეს წარწერა წარმოადგენს დამახინჯებულს შობის დღესასწაულის მეექვსე სძლის პირს: <<პირველი იონა, შთანთქმული მჴეცისაგან განმხრწნელისა, წარმოიგდო უხრწნელად და ქალწულისა მუცელსა სიტყვა ღვთისა განხორციელდა...>> ხატიც და წარწერაც ეკუთვნის იმ დროს, როცა ოსმალთა გაძლიერებამ დასავლეთის საქართველოში XVI საუკუნიდგან დააუძლურა საქართველოს მეფეთა და მღვდელთმთავართა გავლენა სვანეთზედ და უკურთხებელი მღვდელების (ბაპი) ამარა დარჩნენ კავკასიის ცხრაკლიტულში მომწყვდეული სვანები. ბაპები ასე ამახინჯებდნენ საქრისტიანო საგალობლებსა და ლოცვებსა.

ამ საყდარში დაცულია ტყავზედ ხელნაწერი მრავალი ფურცლები.

იოანე მახარებლის საყდარში[3] სავსეა მშვენიერი ოქროში

1 იხ. ქრონიკ. ჟორდანიასი, 354, 374 გვ.

2 იხ. ქ.-ცხ. I, 283 გვ.

3 ამ საყდარში ვნახეთ ბუკი, მშვენიერი საომარ.., პირგანიერი ცული და მშვილდ-ისრები.

დაფერილი ვერცხლით შეჭედილის ჯვრებით და ხატებით.

წმ. ბარბარეს ხატზედ აწერია: №64 „ქ. წმიდაო გიორგი მეოხ ეყავ მოსავთა შენსა გ'კკს". ჩვენ ვკითხულობთ უკანასკნელს ქარაგმიანს სიტყვას <<გურკჯრიკელსა>>.

2) გურკჯრიკელი – გურკჯრველი – გურკელი სვანური – ადგილობრივია: კჯრიკე სვანურად გურკე ლა-გურკა. ჩვენ ვიცით ბიბლა გურკელი, წარჩინებული ერისთავი ლაშა გიორგის დროს.[1]

წმ. გიორგის ვერცხლის ხატზედ: №65. <<ქ. წმიდაო მოწამეთა მთავარო მჯნეო გიორგი მეოხ და მფარველ... სასოებით... მოსავთ... ხატისა შენისა სასოებით შომ(ჭე დჯლ...>>

იელიდგან მაღლა ტყიან მთის კალთებზე გადავიარეთ ასე ექვსი ვერსტი. ხან ავეყუდებოდით, ხან ჩავეყუდებოდით. მივუახლოვდით წვირმის საზოგადოებას. ჩვენ მარჯვნივ, დაქანებულს ციცაბო ფერდობზედ ახოები გაუტეხიათ და სათიბებად უქცევიათ მშრომელ სვანებს. სასიამოვნო სანახავი იყო კაცნი და ქალნი როგორ მოსდებოდნენ სათიბებსა და ჭიანჭველასავით ფუსფუსებდნენ: ზოგი სთიბავდა, ზოგი თივას ეზიდებოდა, ზოგი ბულულებად სდგამდა. მომაგონდა ქსნის, რეხის ხეობა. წვირმის საზოგადოება ექვსი პატარა უბნიდგან შესდგება და სულ 40 კომლამდე სვანები სცხოვრობენ. აქაც გვარები ქართულია: ყიფიანი, ფანგანი, თამლიანი, გიგლეხიანი, ფირცხელიანი, მუნკოვანი და კვარძიანი. სოფლები – ნილაუბანი, ჯაბანი, თვიბერი, ლამუნთი, სუფი და ზეგარი. აქაც ოთხი საყდარია, წმ. იაკობ მოციქულის საყდარი უკეთესია სხვებზედ და უძველესიც; საყდარს გარს ეკვდრები აქვს მიშენებული ისე, როგორც ქართლ-კახეთში. ამ საყდარში ექვსი მშვენიერი ჯვარია – სამი, სიმაღლით სამ-სამი არშინი, სამიც არშინ არშინ ნახევარი. ჯვრები დიდის ხელოვნებით მოჭედილებია ოქროში დაფერილი ვერცხლით და ზედ გამოყვანილია სხვა და სხვა წმ. სახეები ქართულის ხუცურ ასოებითა. წმ. გიორგის ოქროთი შემკულ

1 იხ. ქ.-ცხ. I, 340 გვ.

ხატს აწერია: №66 წმ. გიორგი ქაშუეთისა. წმიდაო მფარველ ექმენ მოსავსა შენსა მენუკვავს ამ ძეთა ჩვენთა.

მეორე წმ. გიორგის ვერცხლის ხატზედ: №67. <<ქ. წმიდაო გიორგი ქაშუეთისაო, მეოხ და მფარველ მეყავ მამკობს შენსა ჯიქაჲძესა დღესა მას განკითხვისას...>>

ტარიან ჯვარზედ მაცხოვარს უჭირავს დროშა ბერძნულის წარწერით წმ. <<აღდგომა>>. ზაგარის საყდარში წმ. იაკობის ოქროში დაფერილს ვერცხლით შეჭედილს ხატზედ: №68. <<ქ. Ⴢ იაკობ ძმაო უფლისაო, რომელმან გიწოდა ძმად! წინაშე მისსა მეოხ მექმენ დღესა განკითხვისასა მოსავსა შენსა ქამქამს ტიგრიახის ძესა>>.

პატარა ღვთის მშობლის ხატზედ: №69 <<ქ. დედაო ღვთისაო, შეივედრე სული თეკლასი ამინ>>, ზურგზედ №70. <<ქ. მაცხოვარო და ღმერთო ჩვენო და ყოველნო წმიდანო... სადიდებელად ჩემისა შევამკევ ხატი ესე ცოტას (ცოტნეს?) ნივთითა შემკობი... საოხად სულის... ამინ>>.

ამ წარწერის შუაში: <<თეკლეს შეუნდე მაცხოვარო>>.

ამ საყდარში ვნახეთ მშვენიერი გულანი და ტყავზედ ნაწერი XI საუკ. დამდეგს დაწერილი საგალობელთა კრებული, რომელნიც ძვირფასს საუნჯეს წარმოადგენენ ჩვენის სასულიერო მწერლობისათვის.

გარედ ეზოში რომ გამოვედით, სამხრეთით გადავხედეთ ენგურის ხეობას, რომლის უფსკრულში მდებარეობს იფარი, და ჩვენს დაბლა ფეხის მონასტერი. მდებარეობა ვაკეა, სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები შედარებით წვირმელებს სხვებზე გაცილებით მეტი აქვთ.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1904, №124. შაბათი, 29 მაისი. გვ. 2.

VXIII

წვირმიდგან გავსწიეთ ჩრდილოეთისაკენ. სამიოდე ვერსი მშვენიერ მწვანიან ვაკე ადგილზე ვიარეთ ბოლოს გადავხედეთ მაჟალის ჭალას ხეობას. კავკასიის კლდოვანი, ყინულებითა და თოვლით მოცული, ქედი აქ უფრო ცხადათ წარმოგვიდგა თვალ-წინ. საშინელი რამ არის აქ კავკასი! მაგრამ ამ სანახაობასთან რა ანკარა, უბიწო ჰაერი! სწორედ მაცოცხლებელი ჭახრაკია! დიდ მანძილზედ ყველაფერი ისე გვეჩვენება, თითქოს აგერ ცხვირწინა ძევსო, მარჯვნივ-მარცხნივ ჭაობიანი ჯაგნარი გვხვდებოდა მალ მალ. გზა-გზა სავსე იყო საქონლით: თხა, ღორი, ხბო, ძროხები და სხვ., მაგრამ მუჟალისკენ რომ ჩავეშვით დაქანებულს ოღრო-ჩოღრო გზაზედ, შენს მტერს: გზა მეტად ქვიანი-გოხიანი იყო. ამ ზლაყუნში დიდი ნუგეში იყო აქეთ-იქით ფიჭვნარიანი ტყე. მუჟალის ზემოთ ჩრდილოეთისაკენ, სადაც მდ. ჭალას ჩრდილო-დასავლეთიდგან ტოტი ერთვის, აქ კავკასიის კლდოვანი ქედი თითქოს შუაზე გაწყვეტილა. ამ უღელტეხილზედ გადადის გზა ჩრდილოეთისაკენ (ჩეგემი, ყაბარდო); გამოსავალთან მშვენიერი საყარაულო ციხე დგას ქიმზედ, რომელსაც აქეთ-იქით მდინარეები ჩამუდის უწინ ეს ციხე იფარავდა სვანეთს ჩრდილოეთის მხრივ ბარბაროზთა შემოსევისგან.

თვით მუჟალის საზოგადოება მშვენიერს ვაკეზე მდებარეობს და თუმცა ჩრდილოეთის მხრივ ყინულოვანი კავკასი ზედ თავზედ დასდგომია სულთამხუთავივირ, მაგრამ უშკულივით სულ შეხუთული არ არის. ეს კია, რომ აღმოსავლეთ-სამხრეთით აყუდებული აქვს მაღალი მთა და მზე შუადღემდე ძლივს ამოვა, ისიც გაზაფხულიდან. ღიაა მხოლოდ დასავლეთის მხრივ.

საღამოს ბინდმა მოატანა და ჩამოვხდით დიდათ პატივცემულ მოხუცებულ მამა გიორგი მარგიანთან. თვალ-წინ დაგვიდგა ჩვენი ქართლელი უწინდელი მოხუცებული მღვდელი, - შუა

ტანისა, თეთრი თმა-წვერით გაბადრული, მამა გ. მარგიანი სწორეთ სანატრელი სანახავი იყო ამ ულაგო-ალაგას! ორ სართულიანი ვრცელი სახლი (დაბლა ქვითკირი, მაღლა ფიცრული), გარს ჯიხურით (ბალკონი). ოთხივ-კუთხივ გასახედ-გამოსახედია. საცოდავი ბოსტანი, საფუტკრე, ფართო ეზო ამშვენებენ გ. მარგიანის სახლა.

მუჟალის საზოგადოებას სამი პატარა სოფელი შეადგენს: წალდაში, ჯაბეში და ჩვამიანა, ორმოც და ათამდე კომლი სვანი სცხოვრობს აქ, გვარები აქაც წმინდა ქართულია: იოსელიანი, ფირიანი, ჯაჯიანი, ბიბჭუანი, ნავერიანი, გულბანი, ზურაბიანი, ჩაჩიანი, გიგანი, გინსაჯიანი და სხ.

აღმოსავლეთით მაღლობ ფერდობზედ აშენებულია მშვენიერის თლილის ქვის მაცხოვრის საყდარი. დასავლეთით მაღლა ჰკიდია ასე ორ ფუთიანი ზარი ზედ წარწერით: №71. <<ქ. ზარი ესე შემოგწირეთ ჩვენ კახეთის ჴელმწიფემან ალექსანდრემ წმიდასა მაცხოვარს ჩემდა გასამარჯვებლად და სადღეგრძელოდ. წმ. გიორგის ხატზე: №72. <<ქ. წმიდაო გიორგი გურგენეულსაო მეოხ და მფარველ გვეყავ მოსავთა შენთა გიორგის და ნიკოლოოზს>>. აგლეჯილს ვერცხლის ფოთოლზედ: №73 <<ქ. წმიდაო გიორგი სუჯუნისაო[1] მეოხ ექმენ მოსავსა შენსა ჯალავს. ცალკე ოქროს არშიაზედ: №73 ქ... სინანულისა ჴმისა მქადაგებელო ნათლის მცემელო ქრისტესო მეოხ ექმენ სასოებით მვედრებელსა ფათუთას, გარაყანსა და ძეთა მასთა ამინ>>.

1 ს. სუჯუნა სამეგრელოს სოფელია, სადაც არის წმიდა გიორგის შტატის საყდარი.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საეკონომიკო გაზეთი. 1904, №140. ხუთშაბათი, 17 ივნისი. გვ. 2-3.

მოხუცებული მამა გიორგი მარგიანთან ჩვენ ვნახეთ რამდენიმე დაშლილი ტყავზედ ხელნაწერი საეკლესიო წიგნი, უფრო ბევრი უთავ-ბოლო; მათშორის სამი ტყავზედ ნაწერი ხელნაწერი სახარებაა. ეს ხელნაწერნი მამა გიორგის, როგორც ბაპს, ბაპობაშივე ჰქონია და მისს საკუთრებას შეადგენდნენ.

სამივე სახარება საყურადღებოა და მათ შესახებ შემდეგ, სხვა სახარებათა განწილვის დროს, გვექნება საუბარი.

მეორე დღეს, 15 ივლისს, გავედით აშფოთებულ მდ. მუჟალის ჭალას და მარჯვნივ, კლდოვან დაფერდილ ჯაგნარზედ, გავუდექით მულახისაკენ მიმავალ ბილიკს.

XIX

მულახის საზოგადოება მდებარეობს მდ. მუჟალის ჭალის მარჯვნივ, მშვენიერს ვაკობიან ფერდობზედ და შესდგება შვიდი სოფლიდგან - მუშკურა, ჟამუში, ლახირი, ღვებრი, ზარდლაში, ჩოლი და არცხელი. გვარები აქაც ქართულია - ნოვერიანი, ქალდანი, იოსელიანი, შგოლოვანი, გუდანი, მარგიანი, ბაბლოვანი, შგოლოვანი, გუდანი, მარგიანი, ბაბლოვანი, ზურაბიანი, მათვლეანი, დევდარიანი, ჯაჯიანი, ჯაჭვიანი, ქოჩქიანი, გიგლანი, ლეხუტაშვილი, შარაშიძე, წიფიანი, გაბლიანი, ჯორჭოლიანი, ქურდიანი, დადიშქელიანი, დადუანი, მჭედლიანი, ბერიანი, გიგანი, მაფჩუანი. სულ 120 მცხოვრები იქმნება. ამ საზოგადოებაში ოთხი საყდარია.

ს. ჟამუშის მაცხოვრის საყდარში მშვენიერს ოქრო ცურვილს ვერცხლის მაცხოვრის ხატზედ აწერია ხუცური ასომთავრულით: №75 <<ქ. ადიადნეს ღმერთმან მეფეთ-მეფე გიორგი და დედოფალთ დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ რომელთა შეამკვეს ხატი ესე მაცხოვრისა მულახისა სადღეგრძელოდ, ცოდვათა მათთა შესანდობელადა. ხატის გარს არშიაზე პატა-

რა ხატებია (მედალიონები) გამოყვანილი: წმ. გიორგი, მაღალი დასაჯდომელი, მთავარ-ანგელოზი, წმ. თეოდორე, დედა ღვთისა, ნათლისმცემელი, წმ. თევდორე, თევდორე პერვლი.

ეს ხატი შემკობილია 1565 წლის შემდეგ; იმერეთის მეფე გიორგი არის ბაგრატის ძე, რომელმაც 1563 წ. მოიყვანა ჩერქეზეთის ბატონის ასული რუსუდან (+1578 წ.) და ბაგრატი დაებადათ 1565 წ.[1]

მეორე მაცხოვრის ოქროში დაფერილ ხატზედ №76. <<ქ. ღმერთო და მაცხოვარო მულახისაო, მცველ და მფარველ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებათა მაჭავარიანსა გედეონს, ამინ.

ღმერთო და მაცხოვარო მულახისაო, განაძლიერე მეფეთ-მეფობა პატრონის გიორგისი, დედოფალთ დედოფალი პატრონი თამარ, ძეთა მისთა ალექსანდრეს...>> გარს არშიაზე პატარა ხატებია გამოყვანილი, როგორც წინა ხატზედ. გიორგი მეფე, ძე კონსტანტინესი და ძმა როსტომ მეფისა, მეფობდა იმერეთში 1605-1639 წლებს შორის; ამისმა შვილმა ალექსანდრემ 1618 წ. შეირთო ცოლად მამია გურიელის ქალი. ამავე ალექსანდრემ შეირთო მეორე ცოლი, ასული კახთ მეფის თეიმურაზისა დარეჯან 1629 წ.[2]

ყელსაკიდი ხატი ოქროში დაფერილი ვერცხლით შემკული – ერთი მხრივ ღვთისმშობელი, მეორე მხარეს – წმ. გიორგი, წარწერით: №77 <<ქ. წმიდაო გიორგი გაუმარჯვე აღბუღას იოსელიანს>>.

ოქროში დაფერილ ვერცხლის წმ. გიორგის ხატზედ: №78. <<ქ. წმიდაო გიორგი, მეოხ და მფარველ ექმენ კულიძეს ლომკაცს და თანამეცხედრესა მისსა ჯაფარიძის ქალსა კაკონს, შვილთა მათსა შემწე და მოწყალე ექმენ დღესა მას განკითხვისასა, ამინ, უფალო>>.

ამ ხატს ოქრომკედიანი ხავერდის ბუდე აქვს წარწერით: №79. <<ჩვენ კოჭაიძემან ქაიხოსრო შემოგწირე ხატი მაცხოვა-

1 იხ. ქ. ცხ. II. 191 გვ.

2 იხ. იქვე 196-197 გვ.

რო მულახისაო, და ბუკი კარგი. შემიწყალე, შენს მადლსა, ამინ. და დროშა ესე ოქრო ქსოველის ხავედისა, შემეწიე და გამიმარჯვე...

ღვთის მშობლის დიდი ხატი ოქროში დაფერილი ვერცხლისა წარწერით: №80.

იქ. მე ფრიად ცოდვილმა ლომკაცმა... და თანამეცხედრემა მათმა ჯაფარიძის ასულმა კაკუნამან და შვილთა ჩემთა რომილმა შევამკვე ხატი ესე ყველა წმიდისა, რათა მეოხ მექმნეს ჩვენ ცოდვილსა ამას. ღმერთო შეუნდევ ცოდვანი მასა ქარუსლალისშვილისა.

აქ არის ზარი წარწერით: №81. <<ქ. შემოგწირე: ჩვენ: მეფეთ: მეფემან: ჴელმწიფემან: პატრონმან ალექსანდრე თქვენ სვანეთის დობრის – ზარდილის მთავარ-ანგელოზსა: მცირე: შესაწირავი: ესე: მეფობისა ჩვენისა წარსამართებელად და დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთათვის შესანდობელად>>.

ალექსანდრე მეფობდა კახეთში 1574-1605 წლებ შორის. იყო მოსისხლე მტერი ქართლის მეფის სვიმონისა. ამიტომ თვით შეირთო ბარძიმ ამილახვრის ქალი თინათინ. შემდეგ, 1590 წ., თვისი ქალი ნესტან დარეჯანი მიათხოვა მანუჩარ დადიანს. მეორე წელს ლევანის მშობიარობაზე მოკვდა. პატარა ლევანი ალექსანდრემ წამოიყვანა კახეთში და თავისთან ზრდიდა.[1] ალექსანდრემ, რასაკვირველია, მანუჩარის თხოვნით ზარები შესწირა სვანეთის საყდრებსა და ამით მანუჩარმა გაიერთგულა სვანები. აქ არის რამდენიმე ხელნაწერი: პატარა კურთხევანი, ტყავზედ ნაწერი ძველი სახალხო შელოცვებით. კონდაკი ქაღალზედ ნაწერი, ბოლოს ვრცელი განსატევებელი ლოცვებით: №82. <<ესე ლოცვანი არა აქვსთ ბერძენთა და რუსთა, არამედ საქართველოსა შინა თქმულ არს და ამისა თვის არც ჩვენ დაუტუვეთ. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მონა შენი პეტრე მღვდელი ორსავე სოფელსა შინა, ამინ. ეს მშვენიერი ლო-

1 იხ. იქვე III და 246 გვ.

ცვები 1710 წელს დაიბეჭდა ტფილისში, კონდაკის ბოლოს, მეფის ვახტანგ VI ბრძანებით. ვერ გაგვიგია, რათ აიღო ხელი საქართველოს ეკკლესიის სამღვდელოებამ ამ სარწმუნოებრივი გრძნობებით სავსე ლოცვებზედ? ურიგო არ იქნებოდა მათი კვლავ ხმარების აღდგენა. 1860 წლამდე ქართლში კიდევ ხმარობდნენ ამ ლოცვებს ძველი მღვდელები. აქვე ვნახეთ ბუკი და მშვენიერი ფოლადით ნაჭედი ფარი, ირგვლივ ძველის არაბულის (კუფიური) წარწერით.

აქვე ვნახეთ მშვენიერის ოქროს ზარნიშით ნაკეთები ფოლადის ლაგამი, ამისი ტოტები ხამი ტყავის კოპისაგან დაწნულია ისე, როგორც (კახეთში წყლის კალთის პირსა და ყურს სწნავენ ღვერთკეცით. ეს ლაგამი თამარ დედოფლის ნაქონიაო, თავმოწონებით გვითხრა საყდრის მნათემ – სვანმა.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტტერატურო გაზეთი. 1904, №141. პარასკევი, 18 ივნისი. გვ. 3.

აქ მაცხოვრის საყდარში ინახება ვერცხლის მაღალ ყელიანი სურა წარწერით: №83. <<ქ. შემოგწირეთ ჩვენ მეფეთ მეფემან პატრონმან ბაგრატ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დეფოფალმან პატრონმან თამარ სურა ესე ხელმწიფობისა ჩვენისა წარსამართებლად მაცხოვარს მულახთას, ქორონიკონსა სამას ორმოცდა თხუთმეტსა - 1667 წ.

ძირზედ აწერია: <<ბატონიშვილის თინათინისა>>.

მეფე ბაგრატ მეფობდა მეტის-მეტად გაჭირვებულს დროს: საქართველოს მეფე ვახტანგ მე-V, ახალციხის ფაშა, დადიანი, გურიელი – ერთმანეთს ებრძვიან იმერეთის სამეფო ტახტის გულისათვის და ამ ძმათა შორის სისხლის ღვრის მიზეზი დაუდგრომელი-გლისპი დარეჯან დედოფალია (ზურაბ ერისთავის ქვრივი, თეიმურაზ I მეფის ასული); ბაგრატი ამ დარეჯანის გერი იყო. დარეჯანმა თვალები დასთხარა ბაგრატს და ვაი-ვაგლახით რამდენსამე წელს იმეფეს რიგ-რიგით: დარეჯანი ხოსია

ლაშხიშვილმა მოკლა 1668 წ. ბაგრატმა ლევან დადიანს წაართვა ცოლი – თამარი.[1] და თვით შეირთო, 1664 წ. რომ სვანეთი გადაჰბირონ დადიანს ლევანს და გაუერთგულონ თავის ტახტს, ბაგრატ-თამარი სვანეთის საყდრებს სწირავენ ძვირფასს ნივთებსა. 1679 წელს მეფე არჩილმა შეიპყრა ტყვედ დედოფალი თამარ სკანდის ციხეში და ისევ დადიანს დაუბრუნა. მაგრამ თვალ-დამწვარმა ბაგრატმა მოიშველია ახალციხის ასლამ ფაშა, დაიპყრო იმერეთი, მიუხდა დადიანს, დაამარცხა და ისევ წაართვა თამარი. ლევან დადიანი მოკვდა 1680 წ., ხოლო ბაგრატი – 1681 წ. და იმერეთის მეფედ დაჯდა მისი სიძე გიორგი გურიელი, რომელმაც დაუტევა ცოლი თვისი (დარეჯან) და შეირთო სიდედრი თვისი, დედოფალი თამარ. 1683 წ. მოკვდა თამარიც და ასე მოუღო ბოლო სიკვდილმა ქვეყნის მაოხრებელთა და უმანკო სისხლის მღვრელთა, და დრომდე მაინც დაამშვიდა იმერეთი, ოდიში და სხვ.[2]

ბატონიშვილი თინათინი ბაგრატ მეფის ასული იყო; შემდეგ 1704 წ. შობიდგან 26 წლისა მოლოზნად შედგა და ნინო ეწოდა. იგი მოვიდა ქართლში მეფე ვახტანგ VI გაჰყვა რუსეთში 1724 წელს.[3]

ს. ზარდლაშის წმ. გიორგის საყდარში: წმიდა გიორგის ხატზედ აწერია: №84. <<ქ. ადიდნეს ღმერთმან მეფეთ-მეფე გიორგი და დედოფალთ-დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ, რომელთა შეამკვეს ხატი ესე მაცხოვრისა მულახისა სადღეგრძელოდ და ცოდვათა შესანდობელად. ამისი ოქრომჭედელი ივანე>>. იქვე ვერცხლის კათხაზედ აწერია მხედრულათ: №85. <<ქ. შემოგწირე ჩვენ მეფემან პატრონმან ბაგრატ და თანა მემცხედრემან ჩვენმან დედოფალმან პატრონმან თამარ სფერა ესე ხელმწიფობისა ჩვენისა წარსამართებულად მაცხოვარს

1 თამარი იყო ძმისწული ვახტანგ V ვამეყ დადიანის ჯაბრზედ დაენძახლა ვახტანგ მეფე ლევანს. ვამეყი მოვიდა სვნაეთში ხოსია ლაშხიშვილმა 1661 წ. ვახტანგ მეფის ბრძანებით. იხ. ქ.-ცხ. 203 გვ.

2 იხ. ძ. ცხ. 199-20 გვ.

3 იხ. Сванетія. Бакрадзе 103-104 გვ.

მულახთას. ბატონიშვილის თინათინის – ქორონიკონსა ტნე – 1667 წ. – ამ უკანასკნელს ორს წარწერაში მოხსენებულნი მეფენი გიორგი და ბაგრატ იგივე პირნია – ზევით მოხსენებულნი.

აქვე ზარზედ აწერია მხედრულით: №86. <<ქ. წ'ჲ გ'ი მეოხ და მფარველ ექმენ კჳგიძესა ლომკაცსა და თანა მეცხედრესა მისსა ჯაფარიძის ქალს კაკუნას, შვილსა მათსა შემწე და მოწყალე ექმენ დღესა მას განკითხვისასა, ა'ნ>>.

ს. ლახირის იოანე მახარებლის საყდარში მომცრო ღვთის მშობლის, ვერცხლით შეჭედილს ხატზედ აწერია: №87 <<ქ. ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო მეოხ ექმენ იოსელიანს ჯიბერდს დღესა განკითხვისასა>>...

ზარზედ აწერია: №88. <<ქ. ჩვენ ღვთივ გვირგვინოსამან მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე შემოგწირეთ ზარი ესე სვანეთის მთავარანგელოზთ ჩვენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებელად, ამინ>>.

იქვე ღვთის მშობლის საყდარში ვერცხლის ჯვარზედ: №89. <<ქ. ძელო ცხოვრებისაო მეოხ და მფარველ შექმენ მამკობსა შენსა ქელბაქიანსა სირმონს და შვილსა ჩემსა მიქელს და შვილთა მისთა>>.

შუადღე გადასული იყო, რომ მესტიისკენ გავსწიეთ.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1904, №147. პარასკევი, 25 ივნისი. გვ. 3.

XX

ასე, საათ ნახევარი ვიარეთ მდ. მუჟალის ჭალის მარჯვნივ მაღლა მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზედ და ბოლოს გადავხედეთ ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მესტის საზოგადოებას. აქ ჩამოდის კავკასიის უმთავრესი საყინულეებიდგან მდ. ჭალა და აქვე მესტიის გვერდით ერთვის მდ. მუჟალის ჭალას მშვენიერი, თვალის მიმზიდველი სანახაობა. აქვს მესტიის ხეობას: ჩრდილოეთით ტიტველა კავკასიის უმთავრესი ქედი, საყინუ-

ლეებით და დაღვრემილი კლდეებით თავზედ დაჰყურებს, სამხრეთით მშვენიერი ტყიანი სერი მოუდევს. დასავლეთისკენ ღიაა, ხეობა ვაკეა, ხავერდივით მწვანე მოლით აბიბინებული. მთელ სვანეთში ასე ვრცელი ვაკე ხეობა მარტო მესტიისაა, სიგანე ერთ ვერსამდე ექმნება.

აი ამ ხეობის ბოლოში, სამხრეთ დასავლეთის მხარეს, მდებარეობენ მესტიის საზოგადოების შემადგენელი ოთხი სოფელი - ლაგანი, ლანჩვანი, ლეხტანი და სეტი. აქაც, მცხოვრებთა გვარები პიტალო ქართულია: გვარლიანი, ხვაჯელიანი, ბარლიანი, რატიანი, წიფიანი, ფალიანი, ხერგიანი, ბართულანი, ჯაფარიძე, ნაკაპარი, მჭედლიანი, ნიგურიანი და მიშკელიანი. ს. სეტში ოცამდე კომლია ჯაფარიძეები და აზნაურობას თავს არ ანებებენ. ამ საზოგადოებაში ხუთი საყდარია. ამ საყდრების შორის სეტის წმ. გიორგის საყდარი ძველს საძირკველზედ ახლად არის აღშენებული და ყველაზედ უკეთესია. სხვები – ზოგი დანგრეულია, ზოგი მეტად დაძველებულია და ამიტომ ოთხივე საყდრებიდგან აქ სეტის წმ. გიორგის საყდარშია გადმოტანილი ჯვარი და ხატი.

აქ უმთავრეს სიწმინდეს შეადგენს ჯვარი, სიმაღლით 137 და სიგანით 78 სანტიმეტრი, ძვირფასის ხელოვნებით ვერცხლით შეჭედილი. ზედ გამოყვანილია წმ. გიორგის წამების სხვა და სხვა ამობურცული სახეები, უძველესის ხუცური ასო-მთავრულის წარწერებით: №89. <<წმ. გიორგის ცემაჲ>>. „წმ.გიორგი ურმის თოჯლსა ზ'ა დამსჭვალული". <<წმ. გიორგის ხუეტაჲ>>. <<წმიდაჲ გიორგი კირსა შიგან დგას>>. წმიდაჲ გიორგი, წმიდაჲ ღლჯკერი რომელისა ხარსა აღადგენს.>> <<წმ. ღლჯკერი. წმ. ღლჯკერის თავის კუეთაჲა>>.

<<წმ. გიორგი, მეფე დეოკლატიანვე>>. <<წმიდაჲ გიორგი ქველის საქმესა განოჯყოფს გლახაკთა>>.

ბ-ნ ხახანაშვილის სიტყვით, ჯვარი დიდად ემსგავსება თ. ამილახვრების გორის ჯვარს ს. ოთარშენში.

წმ. გიორგის ხატზედ: №90. <<ქ. მე გლახაკმან ანტონ ცაგერე-

ლმან იშტსეფესა (?) ჩემსა მონასტერსა ცაგერელთასა გაოხრებული ვენახი დავაშენე და წმ. მონასტერსა შევსწირე და ხატი ესე შევქმენ და ეკლესიასა ამას დაუსვენე სახსრად სულისა ჩემისა. ვინცა კნინი ნამსახურები ესე შეუცვალოს წმიდასა მონასტერსა, არს მოსაჯულ მისა წმიდაჲ ესე დღესა მას განკითხვსასა. ამინ>>. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ აქ მოხსენებული ცაგერელი ანტონი არის X საუკუნის მოღვაწე პირი, რომელსაც შემდეგ ბედიელობა ებოძა.[1]

წმ. მთავარ ანგელოზის ხატი 46+36 სანტიმეტრი აწერია ხუცური ჩართული ასომთავრულით: №91. <<ქ. წმინდაო გ'ლ შეიწყალე შენსა წინაშე შემომავალნი. მოიჭედა აბრამადობასა იონასსა, ნაცლობას, მიქელაჲურასასა, ხელითა ოქრომჭედლისა თადეოსისძი...>>

საბას განმარტებით აბრაშად – ეზოსმოძღვარია.

კარიან ღვთისმშობლის ხატი, 58+45 სანტიმეტრი, ასომთავრულის წარწერით: №92. <<ქ. ყოვლად წმიდაო დედოფალო ღვთის მშობელო! რომელსა გეტჳრთა ღმერთი, მეოხ ეყვენათ წინაშე ძისა და ღუთისა ჩუენისა სულსა ვახტანგისსა და მარინესსა, რომელთაცა მოვჭედეთ მათ თანა ხატი შენი ვარდან ანასარიძემა და ძმათა ჩემთა – იოანე, ინასარ, საღირაძემან გრიგოლ და ბეშქენ>>.

ვერცხლის ოქროში დაფერილ მაცხოვრის ხატზედ უძველესის ასომთავრულით: №93. <<ქ. ესე წმიდაჲ ხატჲ შეიქნა კეცხჳმიანისა მამასახლისობასა... ქთათლს სმას... ?ჲდრმა ამნ>>. ვერცხლის ფოთოლი წარწერით მეტად დაძველებულია და ამიტომ წარწერაც დაზიანებულია. ჩვენ მაინც ვაზრობთ უკანასკნელს სიტყვებში ამოვიკითხოთ ქუთათელი სამოელი, XI საუკუნის მღვდელმთავრის სახელი.

ამავე საყდარშია დაცული დიდის ხელოვნებით გაკეთებული ვერცხლის ტარიანი მახვილი, რომლის ერთ მხარეს გამოქანდაკებულია წმ. გიორგი წარწერით – <<წ'ჲ გ'ი სეტისა>>, შე-

1 იხ. ბაქრაძის ისტორის, 171 გვ. ურბნისის სახარების მინაწერები.

მდეგ: №94 <<ქ. უბედნიერენ ღმერთმან ერთობილსა ხევსა ბედნიერსა სჯნეთისასა ლომი და დროშის თავი დროშათურთ ჩემ დიდისა მონასტრისა წნ'რსა (წინამძღვრისა) გრიგოლ კოპასძისაგან მოხსენებულია>>. მეორე მხარეს გამოქანდაკებულია წმ. იონა და მთავარანგელოზი წარწერებით: <<წ'ჲ იონა ლატრისა>>. <<წმ. მთავარანგელოზი უღრისა>>.

უძველეს დროდგან თვითოეულს საზოგადოებას სვანეთში ჰქონია საკუთარი დროშა. ხოლო მთელს სვანეთს საერთო დროშა ჰქონია აქ, სეტის წმ. გიორგის საყდარში დაცული. ეს დროშა დღესაც აქვს და დიდს დღესასწაულობაში, ანუ რომელიმე დიდის შემთხვევის დროს გამოასვენებენ და ერის წინ ატარებენ. ამ დროს დროშით ლოცავდნენ და ამწყალობებდნენ სვანეთის ერობას უწინ ბაპები – ეხლა მღვდელები. ეს დროშა წარმოადგენს გრძელ ხალხას წვერზედ დამაგრებულს ყვითელი ყანაოზისგან შეკერილს ლომს. როდესაც ცხენოსანი მედროშე ცხენს გააქანებს, დროშა ჰაერით იბერება და ნამდვილს ლომს გამოხატამს. ამ დროს მთელი სვანები დიდის სასოებით შეჰყურებენ ლომს; თუ ნიავი ძალიან ჰსცემს, ლომი უფრო კარგათ გამოჩნდება, თუ ნიავი სუსტია, ლომიც გარკვევით არა სჩანს. სვანები მედროშეს აბრალებენ ლომის კარგად, თუ უხეიროდ გამოჩენასა. აი ეს დროშა ლომია მოხსენებული ამ წარწერაში. ძველის ძველათ კავშირი ხომ არ ჰქონდა ნეტა ამ დროშას ეგვიპტელების შემოსევასთან კოლხიდაში? აქვეა დაცული დიდი ვერცხლის სევადიანი კოკა, ასე თხუთმეტ გირვანქამდე წონით და მშვენიერი ფარი ყვითელის თითბრისა და ფოლადისა, კუფიური სევდიანი წარწერით; არის ვერცხლის ჩარექაც-საზედაშე.

პატარა ჯვარცმის ვერცლის ხატზედ: №95. <<ქ. ჯუარცმაო ქრისტესო მეოხ ექმენ სასოებით მოქენესა თქვენსა გოგელიგას უდარანსა და მეუღლესა მისა ლელას>>.

ძველ ზარზედ: №96. <<ქ. შემოგწირეთ თქვენ სვანეთისა სეტიას მთავარ ანგელოზსა ჩვენ მეფეთ მეფემან ალექსანდრემ

ზარი ესე წმიდანო მთავარ ანგელოზნო>>.

აქვე მღვდლის ბესარიონ ნიჟარაძის სახლში ვნახეთ სამი ძველი, ტყავზედ ნაწერი სახარება, რომელთა შედარებით აღწერა შემდეგ გვექნება.

მეორე დღეს დილით ათ საათზედ გავუდექით ლენჯერის საზოგადოებისაკენ მიმავალ გზასა.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1904, №148. შაბათი, 26 ივნისი. გვ. 2-3

XXI

ლენჯერის საზოგადოება დავაკებულ ფერდობზედ მდებარეობს და სდ. ჭალას გადაჰყურებს ჩრდილოეთიდგან.

საზოგადოება ხუთი პატარ-პატარა სოფლიდგან შესდგება: ნესგული, ლაშხვერი, ლემსი, ქაშუეთი და სოლი. ამ სოფლებში მცხოვრებ სვანთა გვარებიც წმინდა ქართულია: გულედანი, მაგედანი, ხაბთანი, ჯოჯუანი, უდეზიანი, ილიანი, ფიდიარი, ნავერიანი, დუდიარი, ნიკოლოზიანი, ანთო, ფილფანი და გენგლანი.

ს. ნესგულში წმ. გიორგის საყდარია, თლილის ქვით ნაშენი, გარს მშვენიერი ამწვანებული ეზოთი. ამ საყდარში ვნახეთ დიდი ტანის ტყავზედ ნაწერი (XII საუკ.) მათეს თავის სახარების თარგმანება, იოანე ოქროპირისა, კარგად შენახული. იქვე ვნახეთ პატარა ვერცხლის, საუკეთესო ხელოვნებით შეჭედილი ღვთის მშობლის ხატი. ზურგზედ აქვს უძველესი ასო მთავრული წარწერა; მშვენიერის იამბიკოს ლექსით.

№97 <<რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი
Ჩრქჳ რაჲ გაბრიელს-ვარ უფლისა მხევალი,
მეშინის სტუმრე ქუეყანად მავალი;
დაიმხო ძალი პირველ სისხლადა მათ“რალა,
ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმავლი!>>

თვით ხელოვნება ხატის შეჭედილობისა, პალეოგრაფიული

ხასიათი ასოებისა და კილო ამ ხუთმუხლოვანი იამბიკოს ლექსისა გვაფიქრებინებს, რომ მომჭედი ხატისა არის საქართველოს სამეფო ოჯახის შვილი და არა უგვიანეს XI საუკუნისა. ჩვენის ფიქრით, აქ მოხსენებული ბორენა არის „ოვსთა მეფეთა ასული, დაჲ დურღულელისა“, რომელიც პირველის მეუღლის, ბიზანტიის იმპერატორის ასულის ელენეს სიკვდილის შემდეგ მეფე ბაგრატ IV შეირთო ცოლად.[1]

ს. სოლში სამი საყდარია წმ. გიორგისა, მაცხოვრისა და მთავარ ანგელოზისა.

წმ. გიორგის საყდარში, პატარა ვერცხლის ხატზედ წმ. გიორგის და წმ. დიმიტრის სახეებია გამოყვანილი წარწერით:

<<წმ. დიმიტრი ჯანაოზი>>. „წმ. გიორგი.“ №98. მოწამეთა შორის მხნეო გიორგი და დიმიტრი, მეოხ-მფარველ ექმენ მამკობსა ხატისა შენისა გულთას, მაქაჲის და შერგილს, რაითს, არდამს, თამარს საუკუნოსა...“

მეორე წმ. გიორგის საყდარში წმ. ონოფრეს ხატის ზურგზედ: №99. <<წმიდაო ონოფრე, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ღუთისა მოსავსა შენსა სასუნსა ვარდანის ძესა და მეუღლესა ჩემსა ხათუთასა>>.

წმ. გიორგის ოქროთი შეჭედილ პატარა ხატზედ: №100. <<ქ. წმიდაო გიორგი ილორისაო, მეოხ და მფარველ მექმენ მოსავსა შენსა თევდორაძესა დემეტრეს, რათა მცველ მექნა...>>

ვერცხლის მაცხოვრის ხატის ზევით არშიაზე, №101. <<ქ. ქრისტე ღ“თო, რომელმან ძელისა მიერ ჯვარისა დასაჯე ცოდვა კაცისა, მეცა მისხენ სასჯელისაგან მსასოებელი სალტაძე... ძელისა მაერ ცხოვრებჲსა მოჰმადლე ხსნაჲ სოფელსა ქრისტე, მიხსენ მეცა მვედრებელი სილხანა>>.

თავზედ აწერია ბერძნულად “I“CXC..... AHACTACIC (აღდგომა)“; შემდეგ დაბლა არშიაზე, №102. <<ქ. Ⳉ ქრისტე: ღუთისა სიტყუაო!

1 იხ. ქ.-ცხ. 1 ნაწ. 221 გვ. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მამა ბესარიონ ნიჟარაძე ამ ძვირფასის ხატის საშვილიშვილოდ შენახვას უზრუნველ ჰყოფს და ალალ-მართალ სვანებს ღირსეულად გააცნობს, ვითარცა კარგი მცოდნე სიძველეთა მნიშვნელობისა სარწმუნოების მხრივ სვანთა შორის.

შემწირველსა: დედოფალსა რუსუდანს მწისა და გამზრდელისა... ესე უნდოჲ ნამსახურები და ღირსმყავ დ.....

დედოფალი რუსუდან არის მამიდა და აღმზრდელი დედოფლის წმ. თამარისა.

ს. ქაშუეთის გაბრიელ მთავარ-ანგელოზის საყდარი შიგნით მთლად მოხატულია. კანკელი მშვენიერის ხელოვნებით გაკეთებულია თლილის ქვისაგან. მაღლა თაღის არშიაზედ აწერია, №103. <<ესე არს ბჭე სასუფეველისა და მართალნი შევლენ ამას შინა>>.

ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებზედ დაბლა, დასავლეთის მხრივ დახატულნი არიან სამეფო კაცნი და ქალნი, ნაბღალულის წარწერით, ასო მთავრულით, ასე XIII საუკ. აქ არის ოქროში დაფერილი ვერცხლის ხატი იოანე მახარობელი, ფეხზე მდგომი, მაკურთხეველი პროხორესი, რომელიც ზის და სწერს. აქვს წარწერა, №104. <<წმიდაო იოანე მახარებელო ადიდე საბა დრანდელჲ>>. <<წმინდაჲ პროხორე>>. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ აქ მოხსენებული საბა ეპისკოპოსი არის ის სახელოვანი საბა მტბევარი, რომელმაც მცირე წლოვანს მეფე ბაგრატ IV-ს დიდი ერთგულება აჩვენა ბერძნების შემოსევის დროს, როდესაც (1028 წ.) ერისთავნი და სხვა მღვდელთ მთავარნი შავშეთისა გაუდგნენ ბაგრატს და მიემხრნენ ბერძნებსა[1].

ეს საყდარი გარედგანაც ოდესმე მთლად მოხატული ყოფილა, მაგრამ გადასულა და მხოლოდ ჩრდილოეთის კედელზედ, საწვეთს (კარნიზი) ქვეშღა დარჩენილა. ეს მხატვრობა წარმოადგენს ძველი ამირანდარეჯანიანის დევ-გმირთა ბრძოლას. აღმოსავლეთით დახატოლია ვეშაპი და ამირანი ხუცური ასომთავრულის წარწერით, №105. <<ოდეს ამირანი ვეშაპმან ჩანთქა, ვეშაპი მოკლა და გამოვიდა>>. ამირანი ხმალ გაწვდილი თავსადგას მომაკვდავს ვეშაპსა.

შემდეგ დახატულია ამირანის ბრძოლა ბაყ-ბაყ მდევთან, რომლისათვის ამირანს ხმლით თავი გადაუჩეხია და სისხლის

1 იხ. ქ. ცხ. 1, 219-229.

ნაკადული თქრიალით გადმოსჩქეფს. აწერია №106. <<ჭომა ამირანასი და ბაყბაყ დევისა>>. ამირანს უკან უდგანან – ბადრი, უსიბი და სეფედავლა. ყველანი დარახტულ ცხენებზედ სხედან და ჩაჩქან-მუზარადში იარაღ ასხმულნი. თუ რამდენად ყოფილა XII-XIII საუკ. ამირან დარეჯანიანი სვანეთში გავრცელებული, ამას გვაჩვენებს დღემდე წმინდათ დაცული ამირანის ლექსი:

სანადიროს დავდიოდი
ამირანი მისი ძმანი.
წინ ირემი შეგეყარათ
ვოქვრე ჰქონდათ რქენი მისი
დევიჩოქე შევასრულე, (და ვესროლე)
ბეჭს შარი (ტყვია) შამოვკარი,
არ გავარდა ცვარი სისხლი!
დღითი ვდივე, ღამე ვდექი,
არ დავკარგე კვალი მისი,
ამიძღვა და წინ წამიძღვა,
შუა ბალხეთში ჩამიძღვა.
დედა მყავდა ბალხეთისა,
ბალხეთს ვკითხულობ დედაო.
<<შე ყმარწვილო, ძმაო ვისა ხარ?>>
– ჯერ ღვთისაგან, მე არ ვიცი,
გაზრდილი ვარ იამანის,
იამანის სამძესა.
მინდორ შუა ციხე იდგა.
სამჯერ რგულულ (გარს) მოუარე;
არა მქონდა კარი მისი.
ამირანმა ქუსლი ჩაჰკრა,
შეამტვრია კარი მისი;
შიგ შევხედე – კარსუკან კუბო იდგა;
შიგ შევხედე მკვდარი იდვა.
„შემებრალა ყოფა მისა!

ორ თათ შუა წიგნი ჰქონდა,
წიგნი ჰქონდა ჩაწერილი,
ჩაწერილი დავაყბაზე;
დავაყბა მემტერებოდა,
გულსა ჩამყვა ჯავრი მისი,
ვინც დავა ყბაყს ჩამომიკლავს
მასა ჰქონდეს ცხენს იარაღი
საღარი და ლურჯი ცხენი,
ფარხმალი და ჯაჯვი მისი,
იარაღი და კაბა მისი!>>[1]

რა თქმა უნდა, ოდესმე ეს მშვენიერი მხატვრობაც გადავა და გაჰქრება, როგორც სხვა მხარეებზედ. ამიტომ ურიგო არ იქმნება ვინმემ იკისროს ამ ხატვრობის უცვლელად გადმოხატვა და შთამომავლობისათვის შენახვა. მხატვრობა ეკუთვნის XIII საუკუნეს.

შუადღის ხანს გავსწიეთ ლატალის საზოგადოებისაკენ.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1904, №163. ხუთშაბათი, 15 ივლისი. გვ. 3

XXII

ლატალის საზოგადოება მაღლობ ვაკობზედ მდებარეობს; იქვე, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგური გამოჰქუხებს ვიწრო ხეობიდგან, რომელსაც აქეთ-იქით მაღალი ტყით-მოსილი მთები აჰყუდებია. აქ კი ენგურს ერთვიან ჩრდილოეთ სვანეთის მდინარეები – მუჟალის და მესტიის ჭალები თავის ტოტებით. მთელი ლატალის ვრცელი საზოგადოება ზევიდგან დაბლა გადაჰყურებს მდ. ენგურს და გაღმა აყუდებულს ლაილის ქედს, რომლის გადაღმა ცხენის წყლის ხეობა მიიკლაკნება. ამ ქედის მაღლობნი თოვლით არიან მოცულნი.

ამ საზოგადოებაში 11 სოფელია: ენაში, ლამი, კვანჭიანი, ღი-

1 იხ. Сбор. матер.для опис. Мистн. И плем. Кавк. В 31, 1902 г. 44-46 გვ.

ბაში, ლეშუკა, იფახი, ლაშკვაში, მაცხოვარში, შვალერი, ლახუშტი და ლაიალი. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: ღვინთელიანი, ფარჯანიანი, წერედიანი, ფითინანი, ჩარკვიანი, კვანჭიანი, გირგვლიანი, სტეფელანი, გურგვლიანი, ღვინჭიანი, აბდალანი, სიდიანი, გერგი, თამარში, ფირცხლიანი, ამებანი, ჩანგლიანი, ფაქელანი და სხვ. ამ საზოგადოებაში და მთელ სვანეთში უძველესი და საუკეთესო საყდარი არის წმ. იონასი სამის ტრაპეზით. თავის არხიტექტურით და ხელოვნებით წმ. იონას საყდარი მთელს საქართველოში უძველეს საყდართა შორის ითველება. აგებულია მშვენიერი თლილის ქვისაგან და გარედგან – სიგრძით არის 7 საჟენი და სიგანით ხუთი. სამის მხრივ – სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ეკვდერი არტყია, მთლად შებოლილ-შეჭვარტლული. საზოგადოდ მოგაგონებთ იფარის წმ. გიორგის საყდარს, მხოლოდ თითქმის ერთი-ორად დიდია. საყდარი აშენებულია მაღლობ ბორცვზედ და დაბლა მშვენიერი ჩრდილოვანი ცაცხვი და სხვა ხეები ამშვენებენ მის არე-მარეს.

კანკელი თლილის ქვისაა. საყდარში ასვენია რამდენიმე ხატი, და მათში დიდი მაცხოვრის ხატი, საუკეთესო ხელოვნებით მოჭედილი ვერცხლით. სიმაღლით არშინ ნახევარზედ მეტია, დაბლა უკუღმა დაკრულს არშიაზედ, საუცხოვო ასომთავრულის, ამობურცულის ასოებით დაზიანებულ წარწერაში ჩვენ ამოვიკითხეთ: № „...თეკლე და ალექსანდრე ვპოვეთ სამკაული ეკლესიისა შენისა მოპარული და დაფლული, რათა შენი შენდა შევსწიროთ შენდა მინდობილთა, გვხსნენ ჩუენ ჯოჯოხეთისაგან ბნელსა დიდსა (დედისა?) შენისა და მიითუალე კნინი ესე მსახურება ჩუენი, ვ“ა ბარძამ ხუთასის დრამის ტაბაკინი, ორნი საცეცხლურნა, ერთნი ხარნი და ერთი“... ჩვენის ფიქრით, ალექსანდრე არის იმერეთის მეფე ალექსანდრე (1381-1382 წ.) და თეკლე მისი მეუღლე. იონა წინასწარმეტყველის ვერცხლის ხატს ზურგზედ აქვს ხუცური ასომთავრულით წარწერა: № „ქ. მოვჭედეთ და შევამკეთ ხატი ესე იონა წინასწარმეტყველისა

ჩვენ პატრონმან გურიელმან მამია ამ სოფელს გასამარჯვებლად და საუკუნოს სახსრად სულისა ჩვენისათვის“. ასოების გამოხატულების მიხედვით ეკუთვნის XVI საუკუნეს.

წმ. ბასილის ხატზე აწერია: № <<...მფარველ მექმენ ორსავე ცხოვრებასა ივანეს ჴერჴემლის ძესა... ეს წარწერა ეკუთვნის XIV საუკუნის დამდეგს. ამ დროს ვიცით ძველ საათაბაგოს აზნაურთა გვარი ხერხემლის ძენი, წინაპარნი ეხლანდელის ხერხეულიძეთა. ვინმე <<თამარ ჴერჴემლის ძეთაჲ ასული>> ანჩის მღვდელთ-მთავარს იოანეს სწირავს თავის ხელით შეკერილს ძვირფასს ოლარს.[1]

აქვეა ძველი საწინამძღვრო ჯვარი, მეტად აჭიჭყნილის, ხელოვნურის ასომთავრულით. დიდის დაკვირვების შემდეგ ძლივს–ძლივობით ამოვიკითხეთ: №: <<ქ. ხთ’ლ მ’რჭხი ა’ღს შუ’დს ღმრთმა ბსა:. თქვეასა:. ხებს:. შრს:. ღმერთმა:/ ქ’ყ ძ’ო ღმერთისაო და მეოხ დ ფრველ დ მამკ>>..

ამ საყდარს ეკუთნის ძვირფასი <<ლატალის სახარება>>, რომლის სრულს აღწერას შემდეგ დავბეჭდავთ.

გარეთ კარებთან ჰკიდია ძველი ზარი შემდეგის წარწერით: <<ქ. ჩვენ მეფეთმეფემან ალექსამდრე, ძემან ლევანისამან, წარმოვგზავნეთ კახეთით ზარი ესე სამსახურებლად ტაძრისა შენისა წმიდაო წინასწარმეტყველო იონა ლატალისაო! მეოხებითა შენითა უვნებელად დამაფარე მე ორთავე შინა ცხოვრებათა, ვითარცა დაგიცვა ღმერთმან ზღვისა და ვეშაპისაგან, ამინ. ქ’კს სპვ>>. (1598 წ.)

საკურთხეველში, ფანჯარას აქეთ-იქით დახატულნი არიან წმ. მღვდელთ–მთავარნი–ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და სხ. ბერძნული წარწერებით; მხატვრობა X საუკუნისაა.

რადგან საყდრის დღეობა ქრისტიშობისთვის 9-ს მოდის, ზამთრის სიცივის გამო სვანები საყდრის გარემო ეკუდერში ანთებენ ცეცხლსა და ღამეს ისე ათევენ. გაბოლილ–შემჭვარტლულიც ამიტომ არის.

1 3) იხ. ქრონ. II, ჟორდანიასი, 175 გვ.

წმ. იონას საყდარი ზედ მიწერილია იფახის მაცხოვრის საყდარზედ. ეს საყდარიც მაღლობს, კლდოვან ბორცვზედ არის აშენებული. სამხრეთის მხრივ ამასაც ეკუდერი აქვს მიდგმული. მაცხოვრის საყდარი შიგნიდგან მეტად მოხდენილია: საუკეთესო ქვის კანკელი და უძველესი მხატვრობა მნახველის თვალს ატკბობენ. ამ საყდრის ჩრდილოეთის კედელზედ დასავლეთ კუთხესთან დახატულ არიან მეფე-დედოფალი ძველის ქართული სამეფო შესამოსლით; სამწუხაროდ წარწერები გადასულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთ–ერთი (IX) აბხაზეთის მეფე უნდა იყოს აქ დახატული.

სვანების ძლიერს სარწმუნოებრივს გრძნობას უნდა დავუმადლოთ, რომ ამოდენა მხატვრობით შემკული და ჯვარხატებით სავსე საყდრები შეინახეს დღემდე.

მთელ საქართველოსათვის კარგი მისაბაძავი საქმეა.

მაცხოვრის საყდარში საუკეთესო სამკაულია ვერცხლის, მშვენიერის ხელოვნებით გაკეთებული ჯვარი (56X28 სანტიმეტრი) ძვირფასის მინაქრის ხატებით და ბერძნულის წარწერებით, მაცხოვრის ოქროში დაფერილ ვერცხლის ხატს აწერია: №: <<ქ. მაცხოვარო ლატალისაო, ადიდენ მეფეთ–მეფე გიორგი, დედოფალთ–დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ, ამინ.

მეფე გიორგი 1565 წ. ვიცით ზემოთ წარწერებიდგან; რუსუდან და ბაგრატ 1578 წ. ღვთის– მშობლის ვერცხლის ხატს 23 კარგი ქვა უსხედს და აწერია დაბლა: №: <<ქ. მე მამუკა ვაჩნაძემ გავაჭედინე ხატი ესე ყოვლად წმიდასა>>. ჩვენის ფიქრით, მამუკა ვაჩნაძე ერთგული თანამხლებელი იყო თეიმურაზ I მეფისა იმერეთში 1612–1615 წლებში.

მაცხოვრის ხატის ვერცხლის ძეწკვის ბოლოზე აწერია: №:: ქ. შემოგწირე მცირე შესაწირი ძეწკვი ესე მაცხოვარს ლატალისას მე ჩიქუანმ ნ ქაიხოსრომ ჩუმად სადღეგრძელოდა.

ზარზედ წარწერა: №: <<ქ. შემოვსწირე ზარი ესე მაცხოვრისა ლატალისასა მე აბაშიძემან ცაგერელმან მამათ–მთავარმან სჯმონ სულისა ჩემისა საოხადა. სვიმონი განაგებდა ცაგერის

სამწყსოს 1676-1709 წ. შორის. ამავე საყდრის მშვენიერს ბუკზედ აწერია: №: <<ქ. ეჱა, საშინელო დიდო და პატიოსანო მაცხოვარო ლატალისაო! შემოგწირე და მოგართვა მცირე და კნინი შესაწირი ესე მე ჩიქვანმა ბატონმა ქაიხოსრომ ჩემის გასამარჯვებლად, სადღეგრძელოდ, სულისა ჩემისა საოხად და სახსენებლად, ამინ>>. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ აქ მოხსენებული ქაიხოსრო არის მამა კაცია ჩიქოანისა (1651-1681 წ.). <<ესე კაცია იყო გორდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სვანეთს ტვირთითა თვისითა ზიდვიდა თაფლსა და გამოიზრდებოდა>>.[1] ლატალის მღვდელი მამა გაიოზ ძამისტარაშვილი საყვარელი მოძღვარია სვანებისა: შეუსწავლია წმინდათ სვანური ენა და ჭირსა და ლხინში მხარში ამოსდგომია თავის საყვარელ სამწყსოს. იგი ძველის დროჲს ტიპიურ–ქართველს მღვდელს მოგვაგონებს და ორმოც წელიწადზედ მეტია, რაც იქ მსახურებს.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საეკონომიო გაზეთი. 1904, №166, კვირა 18 ივლისი. გვ. 2-3 [შიგნით აწერია რომ არის №167]

XXII

მზე კარგა გადახრილი იყო, რომ გამოვეთხოვეთ პატიოსანს მღვდელს, მამა გაიოზ ძიმისტარაშვილს და მალე შევუდექით ჯაგნარიანს მთასა, რომელიც სადადიშკელიანო სვანეთს და თავისუფალს სვანეთს ჰყოფს. ასე ოთხი ვერსი აღმართი რომ ავიარეთ, ავედით მაღალ ტყიანს ქედზედ, საიდგანაც თვალი დიდ მანძილსა სწვდებოდა: დასავლეთით ბეჩოს ჭალა გადაიშალა და მის თავში უცებ აიმართა საშინელი კავკასიონის ბუმბერაზი, თოვლით მოცული კლდოვანი უნაგირა (უშბა), ეს მახლობელი სვანეთის გუშაგი. ბეჩოს ხეობა მეტად ვიწროა და სულ შეხუთულია. საძოვარი და სახნავი ადგილები მეტის-მეტად მცირეა: სიგანე ასი საჟენი ძლივს ექნება ამ ხეობასა დაბ-

1 იხ. ქ.-ცხ., II. 206 გვ.

ლა. ამ მწირს ხეობაში უნაგირას დანახვა სწორეთ დიდი ნუგეშია მგზავრისათვის, რომ არ გინდოდეს, ძალათ მიიპყრობს შენს თვალს უნაგირი. ორი თავი აუშვერია უნაგირივით – ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, მეორე ჩრდილო-დასავლეთისკენ, შუაში კი ჩაზნექილია; ოთხივე მხრივ მიუდგომელია მისი მწვერვალი: თითქოს ცულით ჩამოუთლიათ გვერდებიო, ისეა ტლუთ ამართული. დედა მიწის ზურგზედ რაც მაღალი მთის მწვერვალებია, ყველგან აახწია კაცის ფეხმა და ყელმოღერებულმა კაცმა ოთხივ-კუთხით გადიხედ-გადმოიხედა, მხოლოდ ვერავინ ეღირსა ჯერ უნაგარაზედ ასვლასა! კიდეც იმიტომ გადმოიყურება ასე უმანკო, ქალწულებრივის მშვენიერებითა! მზის სხივებს ისხლეტდა მისი თვალთ დამბნელებელი სპეტაკი მწვერვალი და თითქოს ბიწიერის ადამიანის თვალს ირიდებდა – შორს ჩემგანაო! ნეტავი, შენ უნაგირავ, რო უწმინდურებით სავსე ადამიანს ჯერ არ დაულახავს შენი წმიდა მწვერვალი! შენ იმავე თავით სვანეთს გადმოჰყურებ, მოწამე ხარ სვანეთის ოდესმე დიდის საქრისტიანო კულტურისა! შენ წმიდა მფარველი ანგელოზივით თავს დაჰყურებ შენებრ უბიწო არე-მარესა და აფრთხილებ, მოერიდოს კაცთა მიერსა განმხრწნელობასა და უსაზღვრო ბოროტებასა. შენი მწვერვალი სავანეა იმ წმიდა არსებათა, ვინც კი ღირსი შექმნილა <<აღსლვად მთასა წმიდასა>>! კიდევ ნეტავი შენ, უნაგირავ. დავნატრი შენს ციურს ბედსა. მე შენს მწვერვალზედ მეგულებიან კრებულად სვანეთის თავდადებულნი ძველი დევგმირნი. ბედნიერი არიან შენის უზადო წმიდა მწვერვალის მუდამ მაყურებელნიც!...

უნაგირას ცქერით ასე დამტკბარი დავეშვით დაბლა და მზე ჩასვლას აპირობდა, რომ შემოვუსხედით ანკარა მჟავე წყლის კოდსა და სიცოცხლე გაქვსთ, ჩვენ გული ვიოხეთ იმის სმით. ვეებერთელა კათხას ზედი-ზედ ვსცლიდით და ალავერდს ერთმანეთთან მივდიოდით!.. ჩვენ წინ ერთი ალიაქოთი მოქუხდა მდ. ბეჩოს ჭალა.

ბეჩოს საზოგადოება 9 პატარა სოფლიდგან (უბნიდგან) შეს-

დგება: მაზერი, თებიში, ბოგვდალარი, თეთნაში, ჩოხდათი, ნაშთქი, უშხვანასვი, დოლი და ქართვანი. ამ სოფლებში მცხოვრენ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: დვიდვიშერი, კვიციანი, ვეზდეშენარი, სიდიანი, ბეჩისელანი, ჯანდელანი, ფანგიანი, ბაზუშერარი, ფანგანიანი, ქაუშერარი, ბოღოშერა, ჭულედანი, მანწელანი, ოხთანიანი, გობულდანი, ჭკადუა, დალდანი, ხორგუანი, უბლიანი, კვანჭიანი, ქუბიშერი და საგნალი.

ბეჩოს საზოგადოებაში სულ სამი დაძველებული საყდარია, ფრიად ღარიბნი ხატითა და ჯვრით.

განსვენებულ დ. ბაქრაძესაც კი ვერა უნახავსრა 1860 წ. იგი მიზეზად ასახელებს 1830 წ. ოთარ დადიშქელიანის გათათრებას. ამის გამო სვანებმა საყდრებიდგან საიდუმლოდ გამოიტანეს ხატი და ჯვარი და ერთ მიუდგომელს ციხეში შეინახესო.[1]

ის იყო მზე ჩასვლას აპირებდა, რომ მოვასხედით ცხენებს და ეწერისაკენ გავსწიეთ. მაგრამ ჩამავალი მზის სხივები ისევ ენთებოდნენ უნაგირას შეუპოვარს თოვლიან მწვერვალზედ და ასხლეტილნი ბრწყინვალე ისარივით იკარგებოდნენ ლაჟვარდოვან ჰაერის სივრცეში.

შევუდეგით ხიფათაინს მთის ბილიკებსა. ერთგან ჩვენს ამხანაგებს გზა აერიათ და სხვა ბილიკს გაჰყოლოდნენ. ამ დროს ხშირმა ბინდმაც მოატანა. მე და ჩვენი სტეპან ანტონიჩი ერთად მივდიოდით სწორე გზით. როცა ამხანაგები მოგვეწივნენ, უნდა გეყურებინათ, სტეპან ანტონიჩი, რა ნაირად გაცოცხლდა და რა კილოთი დასცინოდა; აი თქვე სულით მრუდეებო! მრუდე გზით გავლება! რატომ ჩვენ არ აგვერია გზაო! და თავის ცხენის ფაფარს ხელით ვარცხნა დაუწყო სიამოვნებისგან: ჩემი ცხენი თქვნსას ჰსჯობიაო. ასე აყოლებდა გულსა ჩვენი სტეფან ანტონიჩი.

ამ ყოფაში ავდიოდით და ჩავდიოდით მაღლიდგან დაბლა და დაბლობიდგან მაღლა. ბილიკი გაბმით მშვენიერ თხილნარზედ მიდიოდა.

1 Сванетія Бакрадзе, 87 გვ

ასე ვიარეთ საღამოს ათ საათამდე და ეწერის საზოგადოებასაც მივახწიეთ. ჩრდილოეთის მხრივ შორიდგან გამოჩნდა დიდი სინათლე და ჩვენც იქით მივეშურებოდით.

ვრცელი ეზო თ. ოათარყან დადიშქელიანისა ერთიანად განათებული იყო. დაღალულ-დაქანცულებს სიცოცხლე მოგვიმატა ძველმა ქართველურმა გულგაშლილობამ და შუა ღამე გადასული იყო, რომ მაღალ-განიერს აივანში ყველანი ვსტკბებოდით ჩვენის გულუხვის მასპინძლის საგულისხმო საუბრითა...

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. 1904, №258, ხუთშაბათი, 11 ნოემბერი, გვ. 3

XXIV

მეორე დილით, რომ ავდექით და გავიხედ–გამოვიხედეთ, დიადის ბუნების მრავალფეროვნებამ განვლილი მოგზაურობის ჭირნი ერთიანად გაგვიქარწყლა: აღმოსავლეთით მშვენიერი სერი დაშვებულა, დასავლეთით უფრო მაღლობი საძოვრიანი მთა აწოლილა, ჩრდილოეთით ტყიანი უღელტეხილია კავკასიის უმთავრეს ქედისაკენ. სამხრეთით ვრცელ ფერდობზედ მოფენილია ეწერის საზოგადოების სოფლები, რომელთა დაბლა ღრმა ხევში მოღრიალებს აქაფებული ენგური. გაღმა კი ამართულია ტყიანი მთა, ალაგ–ალაგ ისევ თოვლ–აუღებელი. ჩვენს გარემო ვრცელი ეზო ახლად აბიბინებულიყო ხასხასის მწვანით. ეზოს საშუალ სდგას ჩვენის გულუხვის მასპინძლის ორ–სართულიანი სახლი–დაბლა ქვითკირისა, მაღლა ფიცრული, ყავრით გადახურული. აღმოსავლეთის მხრივ გადმოდგმული აქვს თითქმის ოცი ადლის სიგრძე და განიერი აივანი. სახლის გასწვრივ, სამხრეთ–აღმოსავლეთით, ასე ოც საჟენზედ უზარმაზარი იფნის ხეა ამართული, იფნის ძირზედ აყუდებულია ერთიანის ქვისგან გამოქანდაკებული სახელოვანის ოთარ დადეშქელიანის სახე (XVII საუკ. დამდეგს). ამ იფნის ჩრდილში გატარებული დრო ყველას სახსოვრად დარჩება, ვისაც კი ფეხი

დაუკარებია სვანეთის არე–მარეზე.

სახლს უკან გამოჩუხჩუხებს ანკარა, მთის საწისქვილო წყალი და სიგრილის სიოს ჰფენს მთელს ეზოს. ეზოს აღმოსავლეთით გზა ჩაუდის და გზას იქით ამართულია ძველი ციხე–დარბაზი დადეშქელიანებისა. დიდი მაღალი ციხე თითქოს დაღონებული დაჰყურებს ეწერის საზოგადოებას და წარსულ სისხლის წვიმების დროთა დაუნდობლობას არ ავიწყებს. ციხეს გარს ავლია ქვითკირის მაგარი გალავანი, ასე შვიდი ადლის სიმაღლე. საყურადღებოა, რომ ეწერის საზოგადოებაში ამის მეტი ციხე არ არის: დადეშქელიანებს ნება არ მიუციათ არავისთვის თავის საყმოში ციხის აგებისა.

აივანზე რომ გავიარ–გამოვიარეთ, მთელის სახლის კედელი სხვა და სხვა წარწერებით მოფენილი აღმოჩნდა: ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, შვეიცარიელი, რუსი, შინაურ გარეული, ვინ გინდა, აქ არა ყოფილა და სახსოვრად ყველას თავისის ვინაობის წარწერით აღუნიშნავს სიამოვნების განტარებული დრო. მომაგონდა აფრიკის უდაბნოებში და შვეიცარიის მთებში დაღლილ მოგზაურთათვის სანეტარო განსასვენებელი სასტუმროები! რაც კი კაცის ხელით საშუალებაა, არასა ჰზოგავს გულუხვი მასპინძელი მოკლე ზაფხულში ულეველ სტუმართა სასიამოვნოდ.

ჩვენ ორი დღე და სამი ღამე დავრჩით ბ.ნ თათარყანთან და ამ დროს ოთხი–ხუთი რიგობა მგზავრებისა წავიდ–მოვიდნენ: ზოგს ისტუმრებდნენ და თან ატანდნენ სანოვაგეს, ზოგს უმასპინძლდებოდნენ, ზოგს მოელოდნენ. ათი–თორმეტი მოსამსახურე მგზავრებს უნდებოდნენ, აქეთ–იქით ფუსფუსებდნენ და ბატონის ყველა ნაბრძანებს აკეთებდნენ.

ეწერის საზოგადოება ცამეტის პატარა სოფლისაგან შესდგება: ს. ბარი, სადაც სცხორობს ბ-ნ თათარყან დადეშქელიანი და ოცდა თხუთმეტამდე კომლი სვანი: ჭერირი, ისქორი, ლალთეში, სუფი, ფხოტრერი, ყურაში, უღვალი, ებადი, ღადრელი, ვალაში, ნამხვრი და ლაშხრელი, ამ სოფლებში დღეს ასოცა-

მდე კომლი სვანი სცხოვრობს, მაგრამ წარსულს „სისხლის წვიმების“ დროს ერთი ოცად მეტი ხალხი ყოფილა საზოგადოდ სვანეთში და კერძოდ ეწერში. ამისი უტყუარი საბუთი ჩვენ ვიპოვეთ წ.-კითხ. საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერში (№3799), რომელიც შეადგენს სულმნათის ერეკლე მეფის ბრძანებით იოანე ბატონიშვილისაგან შედგენილს სამეფო დავთარს (ავტოგრაფი). აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: <<ქ. ამავე რაჭას მთაშია ლეჩხუმის ხეობა, რომელიც თვის ეყვის დადიანს. აქ არის სადადიანო, სათავადო და სააზნაურო და საეკლესიო სოფლები. ქ. ამა ლეჩხუმს მოებმის სვანეთის სამთავრო ხეობანი, რომელნიც არიან ესენი>>.

<<ქ. ეწერის ხეობა თავისის სოფლებით. ესე თვის ეყვის დარიშკელიანს და ესე ადგილი უდიდეს არს სხვათა ზედა, რომელიც ითვლება კომლი კაცი 2652.[1] ქ. მეორე ხეობა არის ბეჩო და ესე უპყრია დარიშკელიანის, სახლის კაცს და ამ ხეობას რაც სოფლები მიეწერება, არის კომლი 1571>>. თუ სახეში მივიღებთ უწინდელს დიდს ოჯახებს, როდესაც გაყრა ოჯახისა აკრძალული და სულშეხუთული (გასამყრელო) იყო და თითო ოჯახზედ თუ ათ სულს (მდედრ–მამრს) ვიანგარიშებთ, მაშინ დავინახავთ, რომ დღევანდელ საცოდავ ეწერსა და ბეჩოში მეფე ერეკლეს დროს ყოფილა 4223 კომლი და 42230 სული. 1886 წ. აღწერით კი დღეს დაახლოვებით მთელს სვანეთში მხოლოდ 1753 კომლი ითვლება, 7456 მამრი და 6579 მდედრი, ხოლო სრულიად 14035 სული.[2]

1 საქართველოში მცხოვრებთა აღწერა კომლეურათ იყო ხოლმე. სულთ აღრიცხვა სასტიკად აკრძალული იყო.

2 იხ. Сводъ статист. данныхъ о насел. Закавк. Края, 1886 г., изд. 1893 г.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საეკონომიო გაზეთი. 1904, №260, შაბათი, 13 ნოემბერი, გვ. 2-3

შემდეგ განაგრძობს იოანე ბატონიშვილი: „ქ. ქვემო სვანეთი, რომელსა ეწოდების მელესი და ლაშხეთი და ამ ხეობას რაც სოფლები მიეწერება, ესე არს საგელოვანო საერისთო, ამაში მცხოვრები კომლი კაცი 525.

„ქ. ლენტეხი არს სადადიანოს სვანეთი, ესე თავის სოფლებით არის კომლი 361.“

„ქ. მუშკული არს რაჭის საერისთაოზედ მიწერილი თავისის წვრილის სოფლებით, აქა მცხოვრებნი კომლი 122.

„ქ. ჩოლური არს მეშკულის მხარეს საგელოვნოს სვანეთის მემიჯნავე. ესე პირველ თვის ეყოდა ყიფიანთა და აწ გელოვანს უპყრია; არის აქა კომლი 58.

„ქ. სეტია არს საჯაფარიძო ადილი და მუნ ჰცხოვრებს ჯაფარიძე და ამ ადგილში თავისის სოფლებით არის კომლი მაცხოვრებელი 221.

„ქ. ვალნათა არს საყიფიანო ადგილი, მუნ ცხოვრებნი არიან კომლნი 110. ესე (სვანეთი) პირველ იყო სამეფო და მერეთ იქმნა სამთავრო. ამაში მცხოვრებნი არიან თავადნი, აზნაურნი და საეკლესიო სოფლებიც არის“...[1]

დადეშქნელიანების გვარი უძველესია სვანეთში. იგი მოხსენებულია საქართველოს მეფის ალექსანდრე დიდის (1413-1422 წ.) გუჯარში. იმ დროს სვანებმა მეფის მოხელე კაცი ჯაფარიძე მოკლეს, იმერეთის ერთ-ერთი ერისთავის ჩაგონებით. ამიტომ მეფე ალექსანდრემ დაუწესა სვანებს სისხლის ფასი და ვიდრე არ გადაიხადეს, მეფემ ფეხი არ გადმოადგმევინა რაჭა-ლეჩხუმში და სამეგრელოში (შვიდის წლის განმავლობაში) ჯაფარიძის მკვლელობა ჩაიდინეს მესტიელებმა. ამიტომ მეფემ მკვლელების მამულ-დედული უბოძა მოკლულის შვილებს და მათი შთამომავალნი დღესაც მესტიაში სცხოვრობენ და თავის აზნაურობა დღემდე კარგათ ახსოვთ.

1 იოანე ბატონიშვილი მარტო ეს საინტერესო ცნობები მოჰყავს სვანეთის შესახებ; დანარჩენ საზოგადოებათა შესახებ ალბათ ვერ მოუხერხებია მასალის შეკრება.

დადიშქელიანები მეთექვსმეტე საუკუნეში ცდილობდნენ ინგურის სათავემდე სვანების დამორჩილებას, მაგრამ ბეჩოს იქით ფეხი ვერ მოიკიდეს: სახელოვანმა გმირმა ფუთა დადიშქნელიანმა თავი შეაკლა უშკულელებს და ვერას გახდა.

ჩვენ მოგვყავს აქ ერთი ძველი ტყავზედ ნაწერი (ხუცური) ხვეულის (სიგრძე 5 არშინი) შინაარსი, გადმოწერილი განსვენებულის დ. ბაქრაძისაგან:

<<ესე არს ყოვლად წმიდაჲ უბიწო კრებაჲ, რომელნი დასხნეს და განაწესნეს წმიდათა მოციქულთა, ბრძანებითა ღვთისათა ჱრომს და იერუსალიმს და ყოველთა მონასტერთა და ქალაქთა სოფელთა და ეკლესიათა. დაიწერა წმიდაჲ ესე მატიანე სალოცველად ყოველთა სუანეთისა კრებისა შემომწირველთა და შემოვედრებულთათვის, ვინცა ეწერსა ამა კრებასა მოეგება, მათ ყოველთა შეუნდვენ ღმერთმან.

ღმერთო აშენე აკურთხე სახლი და საყოფელი ისლამ დადშგელიანისა...

<<სულსა ისლამ დადშგელიანისა სვანეთის ჴუცესთა მალხი ნებელსა, ახალკრებისა მოწესესა შეუნდვენ ღმერთმან.

მის მიცვალებულთა ყოველთა შეუდვენ ღ˙თნ.

სულსა მარიხა რუჩეგიანისა შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ციუყს დადშგელიანისა შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ჯანხუხს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ქუვარს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ჯეყანს დადშგელიანისა შ˙ნ ღ˙ნ

სულსა სათვითს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ყაზმაქვას დადშგელიანისა შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა თამარს ჩარკვიანის შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ყაზმს და მირანგუს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა კუკუნილს და კაკუნილს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ფრიად ცოდვილსა ისლამს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ბაგუს და ღშახს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა მის სიძეთა დადაშის და ნაგუჯუ შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ისლამას... საქუეძეს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ქალინას და მაქას შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ისლამს ათაბუყს თახუს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ისლამის სტუმართა ჯიბერდის, შაობას და ბადრის შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ისლამას და მის დედ-მამასა შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა გურანგუ წიფიანისა შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა მაცაკუას შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა სიოშას მღდსა (მღვდელსა?) ისლამის ერთგულსა შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა კახაბერს შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ჩართველიანის გუვას შ˙ნ ღ˙ნ.

მის შუვილს გუგნიას შ˙ნ ღ˙ნ.

სულსა ამის მჩხრეკელსა შ˙ნ ღ˙ნ, უყავ, უყავ და უყავ, უფალო ღმერთო ადღეგრძელე სორთმან დადიშქელიანი და მისი შვილები.

ღმერთო, აკურთხე და აშენე სახლი და საყოფელი სორთმან დადიშქელიანისა. კრება შეგვყარეს, ოცდათხუთმეტი კარი შესწირეს და სხუჲ უმ“რლი.

კიდევ სულ კურთხეულსა სორთმანს და დადიშქელიანსა შეუნდოს ღ˙ნ და სულსა მის მამას ილამაზსა და დადიშქელს შეუნდოს ღ˙ნ.

სულსა მიერ მეუღლესა შგვილიფხს შნდ...

სულსა მის ძმასა თათარსაუს და ყარაშაას შ˙ნ ღ˙ნ.

მის გამზრდელს დეკოს დეკანოზიანს... ხუვაშის... სულსა მის მელიქიფეს (მერიქიფეს) ბიბუს მახეჯგიანსა. და ღ˙ო კვალად ამართლე და ადღეგრძელე სორთმან დადიშქელიანი და მისი შვილები და მეტად საღმთო და კრება ქნეს: შეგვყარეს სამოც და ათი ხუცესი...

უფალო იესო ქრისტე, გაუღე კარი სამოთხისა მისა დასა მირანგუს შეუნდოს ღ˙ნ და ხაჩირს დეკანოზიანსა შ˙ნ ღ˙ნ. სულსა

მის დიასახლიშს ყაზმაქუს...[1]

აქ მოხსენებული საღმთო-კრება, ჩვენის ფიქრით, სწორეთ იმ აზრით მოახდინა და გაუმასპინძლდა სამოცდა ათ ხუცესს სორთმან დადეშქელიანი, რომ თვისი გავლენა დაემკვიდრებინა ზემო სვანეთში.

„ივეჰია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტტეჰატუჰო გაზეთი. 1904, №263, ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, გვ. 3

XXV

დადიშკელიანების ოჯახში დაცულია მეთორმეტე საუკუნის მშვენიერი ხელოვნების ვერცხლის ყუთი, მთლად, მოსევადული გარედგან და აჭრელებული ძველი კუფიური წარწერებით და წონით იქნება ოცი გირქვანქა. იგი უპოვიათ მიწაში, ეწერის ციხეში 1840-1843 წლებში და შიგ დებულა თამარ დედოფლის სარტყელი – ქამარი, რომელიც დღეს ქალბატონს დადიანისას აქვს თურმე. სიგრძით იქნება თორმეტი გოჯი, სიგანით ექვსი.

აქვეა დაცული ძველი ვერცხლის სასმისი (თასი), რომლითაც სუფრაზედ მიართმევდნენ დადიანს დღესასწაულ დღეებში საუკეთესო ღვინოს. ამ თასიდგან დადიანი იღებდა ღვინოს აზარფეშით და უბოძებდა წყალობის ნიშნათ თანა მესუფრეებსა. სიგანე თასისა თოთხმეტი გოჯი იქნება და შუაში ხუთი ძვირფასი ზურმუხტი ქვა უსრედს. ამ თასს გარშემო აწერია (გარედან) ორ სტრიქონად.

№118. „ქ. ეჱა ცისა და ქუეყანისა დამბადებელო, მამისა ჩუენისა ადამისა მამავო, ლატალისა მაცხოვარო, ჩუენ მიწამან შენმან, ბრძანებითა შენით გამაღლებულმან მეფემ დადიანმან პატრონმამ ვამეყ და დედოფალთა დედოფალმა პატრონმა ელენემ, ოდეს იმერეთს მეფენი გარდაშენდენ და ძალითა და შეწევნიღა შენითა დიდსა და შავს ჯიქეთს შუა მეფობა და დადიანობა ჩუენ დავიჭირეთ და მონდობილმან თქუენმან შემო-

1 იხ. Археол. пут. По Гуріи и Адчаръ, Бакрадзе, 198-199 გვ.

გწირეთ ჩარა თვალებიან სი ესე ჩუენ სადღეგრძელოდ, საქმისა ჩუენისა წარსამართებლადა და გასამარჯვებლად, სულისა ჩუენისა სახსრადა, საოხად შვილებისა ჩუენისა გიორგისა და ბაგრატისა, ასულისა ჩუენისა დარეჯანისა სადღეგრძელოდ. შენ მოწყალეო მაცხოვარო ლატალისაო შეიწირე მცირე შესაწირავი ესე“. ძირზედ აწერია ხვეული ასო ჩართულობით: „მეფე ვამეყ. ელენე“.

1660 წ. მიიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე და დარეჯან დედოფალმა იმერეთის სამეფო საქმეები არივ-დარია: თავისი გერი ბაგრატი ჯერ შეირთო, მერე თვალები დასთხარა. ამის გამო ახალციხის ასლან ფაშამ შეიპყრა დარეჯანი თავის ქმრით ვახტანგით (ჭუჭუნიას შვილი) და ბაგრატის ცოლი ქეთევანი (ასული კახეთის მეფის დავითისა † 1648 წ.). ამ დროს მართლაც რომ „იმერეთის მეფენი გარდაშენდენ“; ამით ისარგებლა ვამეყ დადიანმა და თვისი ასული მიათხოვა არჩილ ვახტანგის ძეს. ამ მოყვრობისა გამო ვახტანგ მეფემ და ვამეყ დადიანმა გაიყვეს იმერეთი: ბუჯის წყლის აღმოსავლეთით ქართლის მეფეს ვახტანგს დარჩა და დასავლეთით ვამეყ დადიანს. მაგრამ ცოლის ჩაგონებით, – ვამეყმა უარჰყო მოყვრობა ვახტანგისა და არჩილის დაწინდული მიათხოვა ღოღობერიძეს. ამით გულ-ნატკენი ვახტანგი ამხედრდა, მიესია ვამეყს და დაიპყრო სამეგრელო. საბრალო ვამეყი შეეფარა სვანეთში, მაგრამ ამ დროს სახელოვანმა ლეჩხუმის ერისთავმა ხოსია ლაშხიშვილმა, ვახტანგ მეფის ბრძანებით, შეუჩინა კაცები და ვამეყი მოაკვლევინა. ამ წარწერით ვხედავთ, რომ ვამეყი ამ დიდი თასის შეწირვით თავშესაფარს იმზადებდა სვანეთში მისრული გაჭირვების დროს.[1]

აქვე დაცულია ხელნაწერი ლექსიკონი საბა ორბელიანისა. იგი მთელი თაბახის ქაღალდზეა ნაწერი და წარმოადგენს შესანიშნავს განსხვავებულ ვარიანტს. აქვს შემდეგი მინაწერები: №119. „ანო, ალვა, სარო, ნაძვის ძირს უდგიან სავარდესა“. №120. „ქ. ღმერთმან ადიდოს ორსავე შინა ცხოვრებასა თვისსა ბა-

1 არაა მითითებული სქოლიოს განმარტება

გრატ მეფის შვილის შვილი, ოდიშის დედუფალი ბატონი გულქან, რომლისა ბრძანებით იწერება სიტყვის კონა, ესე წიგნი, ქ“კს უმგ.“ (=1755).

№121. „დონი (დ) ვიწყე სტეფანემ ძალით ღვთისათა და ბრძანებით ცაგერელ მიტროპოლიტის ბეჟან დადიანის შვილის გრიგოლისათა. ადიდოს ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა დადიანის ოტია დადიანის დედოფალი გულქნა, ა“ნ“. №122. „ქრისტეს აქეთ ჩღჲიგ (=1773 წელს) მაისსა იზ. თვით ბატონი მეფე სოლომან ამხედრდა, ოდიშს გაუხდა, მრავალნი დაარბივა და მრავალი ნაშოვარი წამოიღო მაშინ მისმა ჯარმა და ეს ლექსიკონი მაშინ იშოვნა ივანე მესხმა სახელდობ“.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საინტერესო გაზეთი. 1904, №268, სამშაბათი, 23 ნოემბერი, გვ. 3

ამ ოჯახშივე დაცულია ძველი დიდი ხის სკივრი, მშვენიერი ჩუქურთმებით აჭრელებული ყველა მხრივ. უწინდელი ძვირფასი იარაღი ხომ მრავლად არის და სათუთად ინახავენ.

დადიშქელიანთა საგვარეულო სასაფლაო მთავარ-ანგელოზის საყდარი ს. ფხოტრერშია. იგი თლილის ქვისგან არის აშენებული, დასავლეთით და სამხრეთით მიდგმული აქვს მშვენიერი ეკვდერი, უძველესი ჩუქურთმით. თვით საყდრის კარი ურთხლისაა და ზედ დიდის ხელოვნებით ამოჭრილია წმ. მოციქულთა სახეები, როგორც ჩოლერში და ცაგერში. აქ ეკვდერში ვნახეთ მშვენიერი ბუკი. აქვე ძევს გრძელი ზარი ლათინურის წარწერით “Nicolaus”.

საყდარი შიგნით მთლად მოხატულია, მაგრამ შეჭვარტლილია ბოლისაგან, აქ ტაძრის მთავარ-ანგელოზის, ოქროში დაფერილს ვერცხლის ხატის (სიგრძე სიგანით 50+35 სანტიმეტ.) ზურგზედ მხედრულის ასოებით აწერია: № <<ქ. ეტლნო: ღ’თისანო, საყდარო საშინელო, ცეცხლნო სულად სიტყჳთა სწრაფლად კაცთა მეოხად შექნილნო, ბრძანებითა საღ’თო წამის ყო-

ფათა მორტყმულნო, მიხაილ ძალთა მთავარო, გაბრიელ ქალწულისა ხარებითა კაცთა ღ'თისა, თქვენ რომელნი წამისყოფითა ღ'თისა ბრძანებასა უხილავად ძლიერებითა უმჯობესსა განაგებთ; რომელნი სცავთ ცასა და ქუეყანასა ფრთითა თქუენითა. მხოლო აწ მეცა მაჩრდილეთ მეოხება თქუენნი მე დადიანსა ლევანს, მთავარ ანგელოზო მიქაილ და გაბრიელ, სახელითა ღუთისათა და ძალითა და შეწევნითა შენითაჩუჱნ ჴელმწიფემან დადიანმა პატრონმა ლევან გაველაშქრენით მეფესა ალექსანდრეს და მის ძმას მამუკაზედა მივედით ქუთათის ციხის საბრძოლად. თავად მეფე, სრულ იმერელნი და სვანი ლეტეხილნი და საფარფაშის მეთოფეები ბევრი ახლდა და ციხესა და ჯებირშიდან იდგენ. ჩუჱნ მივედით და სოფია წმიდის საყდარი (?) მეთოფეებით აევსო და გაემაგრებინა; უყავით ღამით იერიში და საყდარი წავართვით, რაცა მეომარი მეთოფეები იდგა, ყველა გამოვასხით ჯებირს გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველითგან ნაშენები და ის მეთოფეთა და მეომრის კაცით აევსო და გაემაგრებინა; სოფა წმიდის საყდართანა დიდი ზარბაზანი მივიტანეთ და იქიდაღმა დაუწყეთ სროლა და ცემა იმ ქვის სახლებსა და დავამტვრიეთ ზარბაზნებითა და მრავალი კაცი შიგ მდგომნი დავხოცენით. მერე იერიში უყავით და იქით მეფემ გამოაშველა ლაშქარი, დაეშინეს ერთმანერთსა, თოფთა სროლა და საკვირველი ომი შეიქნა, მრავალი კაცი დაიხოცა იქითაცა და აქეთაც. მოკვდა თავადი და აზნაურიშვილი გიორგი ლორთქიფანიძე, ელიზბარ ლოლაძე: ორი ძმა ახულედიანი... და კვირიკე; სხვა ზოგი დაიხოცა და ზოგი დაიკოდა, და წავართვით ის ქვის პალატები... და იხე ზედან ზარბაზნები ვერ მიუტანეთ, მისატანი ალაგი არა გვქონდა. წამოვედით დაბლა რიონის პირს დავდეგით... სასახლის ქვის სახლებს დაუწყეთ ზარბაზნებითა სროლა და ცემა, დავამტვრიეთ ის ახალი ქვის პალატი, თვით ალექსანდრე მეფისაგან აშენებული; გაუსივეთ ლაშქარი გაღმა ქუთაის ქალაქსა, დავსწვით და გავაოხრეთ, მრავალი იშოვეს და წამოვედით გამარჯვებუ-

ლი. მოვედით ოდიშს ძიგურს და ერთი კვირე არ გამოსულა, ისევ ვქენით ილღარი (?) ცხენის წყალს შემოვიღამეთ, ის ღამე ვიარეთ და გათენების დროს დავესხით სასახლესა და ქალაქს, უწინდლისაგან ოთხი და ხუთი ზომა საშვარი ალაფი და ტყვეები ვიშოვეთ, რომ ლაშქალი ძლივ დაერივა და წამოვედით გამარჯვებული. შევასვენეთ ლაშქარი და ცხენი და კიდევ გაველაშქრენით იმერეთზე თვესა თებერვალსა და მივედით... ერთს აჯამეთს, დავსწვით და ავაოხრეთ. მივედით ჩხარის ქალაქსა და იქ დავდექით და სოფლები და ნაშებ.... რული დასწვეს და ააოხრეს საქანდა და მისს სასახლეს დავდეგით, დავსწვით ვარდის გორა და ჩიხორი ქალაქი და სხვა... დეთ არგვეთს რყთ... ჩიკვაიძის სსახლეს დავდეგით და იქიდაღმა ჩუჱნმა ლაშქარმა სრულ არგვეთი და ჭალატყეს... სასახლე და სოფლები იყო, დაუწვავი და აუოხრებელი არა დააგდესრა. იქიდაღმან ავიყარენით და თეორჭოლს პარტაც და გოფანთოს მხეიძის სასახლეს დავდეგით და აუოხრებელიარა დააგდესრა. წამოვედით გამარჯვებული და ნაშოვარით სავსე, რომ ლაშქარი ვერ დაერივნეს, ბალახოვანზე რიონს გამოვედით და ქუთაის ციხიდაღმა მეფე და სრულ იმერული ლაშქარი შეყრილი თვალით გვიმზერდნენ მასის თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას, ხედავდა იმდენი ნანაშოვარის ტყვეების ჟღივილი ყურით ესმოდა, მაგრამ ციხიდაღმა თავი არ გამოყვეს და ვერცარა დაგვაკლეს. ასრე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებული. მასჟამსა ოდეს მოვაჭედინეთ ხატი ესე, ოდეს იმერეთიდაღმა მოვედით გამარჯვებული, გამოვგზავნეთ და დავასვენეთ ტაძარსა შენსა ფხოტრელსა ალაგსა და თემსა ეცერსა ხარი ესე მთავარანგელოზისა, ქორონიკონსა სამას ოცდა ათო თოთხმეტსა, (=1646 წ.)

ლევან დადიანმა აიკლო გურია, აბხაზეთი და იმერეთი. მის ჯარში აბხაზნი, სვანნი, ჯიქნი ერივნენ. მრავალი ხატი შეამკო ოქრო-ვერცხლით და ასეთის წარწერებით სწირავდა დარბეულ სოფლების საყდრებსა. სვანები რომ მუდამ შიშში ჰყოლოდა და მისი ბრძანების მორჩილნი ყოფილიყვნენ, ლევან და-

დიანმა სხვათა შორის, ესე ხატი უძღვნა დადიშქელიანის თემს და გაიერთგულა. ლევანის სახელს წყევლა-კრულვით იხსენებდა მთელი დასავლეთის საქართველო. (+1657 წ.)[1]

მეტად დაზიანებულ ნაწილებიან ჯვარცმის ხატზედ ამოვიკითხეთ შემდეგი: №124... (ჩემ)<<ებრ ცოდვილთა ცთომათა მოძღებად (ქუეყ) ნად მოსრულო, ნეფსდთ ჯუარცმულო, ქანანელისაებრ ცრემ... ჩემთა მასმინე მე ჴმაჲ შენჲ მოვედით კურთხეულნო, მამჲსა, ჩემისანო დღესა დიდებჲთ მოსლვჲსა... ფრიად ცოდვისა. (დე)დფ“ლსა ბურდუხანს და ძეთა ჩემთაჲ. რა თქმა უნდა, აქ მოხსენებული ბურდუხან დედოფალი არის დედა წმ. თამარ მეფისა, მეუღლე მეფე გიორგი III, რომელსა <<მამამან... დიმიტრი მეფემან სიცოცხლესავე თჳისსა მოგვარა (1155 წ) ცოლი, ასული ოვსთა მეფისა სუდდანისი, სახელით ბურდუხან, რომელი ჱმატდა სიკეთითა ყოველითა დედათა. მისებრი სძალი არა ეხილვა ქართლისა თემსა... ყოველი შვენიერება და ხორციელი სიტურფე გარდამატებულად ახილვებოდა მის შორისა.[2] ბურდუხანი † 1169 წ. ახლო ხანებში და თამარის აღზრდა თავს იდო მისმა მამიდამ რუსუდან დედოფალმა.

ბურდუხანისგან შეწირული პატარა ოქროს ღვთისმშობლის ნაწილებიანი ხატი ხობის მონასტერშია დაცული.[3]

ნათლის ღების ვერცხლის ხატზედ აწერია: №125. <<ქ. ეჱა დაუსაბამო, მაცხოვარო ღმერთო, ცისა და ქვეყანისა დამწყებელ დამაარსებელო, მაცხოვარო წმიდისა წელენჯიხისა! ჩვენ ცვა ფარვათა შენთა მონდობილმან სიწმინდისა შენისამან დადიანმან ლეონ დაგასვენეთ ეცერს ჩვენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და საოხად სულისა ჩვენისათვის. ამინა. ლევანი იგივე დადიანია, იხ. ზევით.

შემდეგ არშიაზედ: №126 <<ქ. მაცხოვარო, შეეწიე ორსავე ყოფას ფრიად ცოდვილს ოქრომჭედელს ბეჟან წიქრის ძესა>>.

1 იხ. ქ. ცხ. II, 198-201 გვ. სადაც დაწვრილებით დაწერილია მის მიერ ჩადენილი ბოროტებანი.

2 იხ. ქ. ცხ. 1, 265 გვ.

3 იხ. ქრონიკ. ჟორდ. I, 268 გვ.

დიდს მაცხოვრის ხატის დაბლა არშიაზედ იმავე ხუცური ასომთვარულით აწერია: №127. <<ქ. არსო თჳთებჲთ მყოფობჲსათვის ღმერთო, სჯულთა შენთა მტკოცედ მპყრობელჲსა მეფეთ მეფისა დიმიტრისა ასულისა, მეფისა და მეფეთა მზისა გიორგის დისა, სულთანთა სძლისა რუსუდან დედოფლისა სამსახურებლად შენდა შემზადებულნი ნივთნი ვინათგან ჟამმან არ დასცნა სრულებად, ჩემ გაზრდილისა მათისა და ლმობით მგონებელის გიორგის (?) ასულისა დედოფლისა რუსუდანისაგან მზაქმნილნი მიითუალენ მეოხმან მათმან მკჳდრყოფად სუფევისა>>. აქ მოხსენებული რუსუდან დედოფალი არის იგივე აღზრდელი წმ. თამარ მეფისა, დიდად სახელოვანი დედაკაცი.[1]

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიტერატურო გაზეთი. 1904, №272, შაბათი, 27 ნოემბერი, გვ. 2- 3

ს. უღვალის წმ. გიორგის საყდრის ხელნაწერთა შორის ჩვენ ვნახეთ ფრიად საყურადღებო მინაწერებიანი რიგის სამარადისო სახარება (აპრაკოსი), დაძველებული და მეტად დაზიანებული, ასე XIII საუკ. ნაწერი. აჰა მინაწერები: №12. <<აქა დასრულდეს სახარებანი ყოველთა დღეთანი. აწ კვალად შაბათ კვირიაკეთა იწყების. უკეთუ ვინ გამოეძიებდეს მიზეზსა, არცაღა დარჩომილარს ოთხთავსა შინა არცა ერთი სახარებაჲ (ე.ი საკითხავი), რომელი ანუ ამათ სამარადისოთა სახარებათა შინა არა გამოკრებულ არს, ანუ შაბათ-კვირაკეთა (კ“კეთა), ანუ მარხვათა, ანუ თთუეთა>>.

შემდეგ: №129. <<ლოცვა ყავთ გლახაკისა გისთ“ჳს (გიორგისთვის), რომელმან წ“ჲ ესე სახარებაჲ ვთარგმნე>>. №130. <<ესე სახარებანი იკითხვიან პირველსა შვიდეულსა მარხვათასა მწუხრსა ზედა არა დაპატიჟებით, არამედ უკეთუ ვისმე შაჰვით სწადოდის. ხოლო ესე საცნაურ იყავ, რამეთუ ბერძულისაგან დაგჳწერიან>>. №131. <<წმიდანო, ესე ვნებისა კვირიაკისა

1 იხ, ქ. ცხ. 1, 264, 276 გვ.

საცისკრონი სახარებანი ბერძულად არიან და ბერძულისაგან დაგჳწერიან. სხუაჲ კულა განგებაჲ არა გვჳპოვნია, არცა დაგჳწერია. თქუენ კულა ვითა აღეშენებოდით, ეგრეცა ქმენით: თუ გინდა სადაგად ღირს ყოფად... და სმენად ჩვენდა ბრძანეთ... დიდ ხუთშაბათს სახარება შემკობილი ყოველთა თავთაგან>>...[1]

№132 <<დიდსა პარასკევსა სახარებანი ჟამთანი დიდსა სვინაქსარსა სახარებანი ჟამთანი დიდსა სვინაქსარსა სახარებანი სხუებრ სწერიან დიდისა პარასკევისა ჟამთა ზედა და იგიცა კეთილ არს და შუჱნიერ, გარნა ჩუენ გლახაკნი ესე ვინაჲთგან კათოლიკე ეკლესიისა სამკაულსა ამას სახარებასა შევეკიდენით და წყალობამან ღუთისამან აქამდე მოგუაწინა, არა ჯერ ვიჩინეთ სრულიად მცონარებასა მიცემაჲ უდებთა ამათ თავთა ჩუენთა. ამისთჳსცა ესერა ჴელვყავთ და წმიდისა მამისა ეფთჳმის სანატრელსა სახარებისაგან ესე წმინდანი დავნუსხენით, ვითარცა ღმერთმან ძალი მოგუცა. აწ უკეთუ ვინმე სწერდეთ წ“ა ამას სახარებასა, ნუცა თ“ქნ უდებ იქმნებით ამათ წ“თა დიდისა პარასკევისა ჟამთა ზედა განწესებულ სახარებათა დაწერად. და თუ არა, ჩ“ნ შეგჳნდეთ ალოცვა ყავთ. ღმერთმან გარწმუნოს, დიდად უძლური ვწერდით ამას და სნეულნი და თქუენ ღ“ნ მადლი მისი უხუებით მოგუმადლენ>>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სვანეთში იმავე თავით იხმარებოდა უძველესი თარგმანი სახარებისა და მეათე საუკუნიდგან ნელ-ნელა გავრცელდა ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმანიც. გიორგი მთაწმინდელის თარგმანს –რედაქციას ნაკლებად ვხედავდით აქ.

ამავე საყდარში წმ. გიორგის ვერცხლის ხატზედ აწერია ხუცური ასო მთავრულით:

№133. <<ქ. წმიდაო გიორგი ხუამლისაო, მეოხ და მფარველ მექმენ წინაშე ღუთისა მამკობსა ხატისა შენისასა ქედილაძესა ნოეს და შვილთა ჩემთა>>. ხუამლის მთის ქვაბებში არის კლდეში გამოკვეთილი წმ. გიორგის საყდარი.[2] ეს ხატი გადატანილი უნდა იყოს ლეჩხუმიდგან.

1 იხ. Опис. рукопис. церк. музея, Жордания, №745

2 გვიამბო ცაგერის ბლაღოჩინმა მღვ. ა. გერსამიამ.

ცხომარის საზოგადოებაში ექვსი პატარა სოფელია – სუფი, გაბალთი, ლეზღარი, ტვიბერი, მაღანდერი და ლაფსხალი. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები ქართულია; დადუარი, ბულდიარე, ჩავლიანი, არღვლიანი, გერგელიანი, საგლანი, ლევაშერი, მელდიანი და გუგესიანი. 1840-1859 წლებში აქ ყოფილა მღვდლად აქაური მკვიდრი სვანი ადამ ქარდავა; მთიულეთში სამსახურის დროს დუშეთში შეირთო ცოლი. ამ საზოგადოებაში განსვენებულ დ. ბაქრაძეს გადმოუღია შემდეგი წარწერები...[1]

ა) სუფის მაცხოვრის საყდარში ღვთის მშობლის ოქრო ცურვილ ხატისა: №134. <<ქ. ყოვლად წმიდაო ღუთის მშობელო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ევფემიაის მწირველი დემეტრე და დაივიწყენ შეცოდებანი მისნი>>.

მაცხოვრის ვერცხლით შეჭედილის ხატის დაბლა არშიაზედ: №135. <<ქ. მთავარ ანგელოზნო მმ... გაბრიელ, აღაშენე მაშენებელი შენი ხევი ცხომარისა ამინ. ამისა მომჭედელსა მმხლს (?) შეუნდვენ ღმერთმა“.

ბ) ს. ლაფსხალში, მთავარ-ანგელოზის საყდრის პატარა ვერცხლის ხატზედ: №136. <<ქ. წმიდაო იოანე ნათლის მცემელო, შეიწირე მცირედი ესე მკობაი: ჩემ: ფულარისანისა: ცოლისა: მარიამისაგან და ჩემისა შვილისა ჩარგალისაგან და მეოხ გუექმენ.>> დიდს მთავარ ანგელოზის ოქრო-ციურვილ ვერცხლის ხატის ქვემოთ არშიაზედ: №137. <<ქ. წმიდაო, თავარანგელოზო, მეოხ და მფარველ ექმენ დადიან გურიელს, სვანთ ერისთავს მანდატურთ უხუცესსა შამანდავლეს, შეუნდვენ ღმერთმან. თანა მეცხედრესა მისსა დედოფალს ანას შ“ნ ღ“ნა>>.

შანამდავლე მთავრობდა 1470-1474 წლებში, იგი მოხსენებულია ილორის დიდი ჯვარის წარწერაში, იყო ძე ლიპარიტ პირველისა. დასაფლავებულია ხობის მონასტერში[2]

ჩვენ ვნახეთ დიდ მშვენიერი ლაფსხალის სახარება, რომლის აღწერას ჩვენ ცალკე ვაპირობთ სხვა ხელნაწერ სახარებებთან ერთად. აქვეა დაცული ძირფასი ვერცხლის ჯვარი მი-

1 იხ. Сванетія, Бакрадзе, 70 გვ.

2 იხ, იქვე 73 გვ.

ნაქრიანი, მსგავსი ლატალის ჯვარისა.

აქ ლაფსხალში ასვენია წმ. ნინოს დროსვე გაკეთებული მცხეთის ჯვარი, სასწაულთა მოქმედი და საამო სუნნელოვანი; უწინ ეს ჯვარი ესვენა ს. ჯვარში, მდ ენგურის პირზედ, ს.ჯვარი დადეშკელიანთა ეკუთვნის და სამეგრელოს სამზღვარზედ

მდებარეობს; სვანებს იდუმალ წაუღიათ იგი ჯვარი და ლაფსხალში დაუსვენებიათ, მამა-პაპათა სალოცავი მოიახლოვეს. მაგრამ იგი სალოცავი იყო ჩრდილო სამეგრელოსიც და ამიტომ მეგრელნი დღესაც ნატრობენ ამ ჯვარის როგორმე დაბრუნებასა - მცხეთის ჯვარის სახელზედ საყდრები ბევრგან იყო საქართველოში: მცხეთის გაღმა, შიომღვიმეში, ტფილისში, ს. ერედვში და სხვ.

ფარის საზოგადოებაში რვა სოფელია: თავლარი, ჯუხლანი, ერქვანი, ლაჱხრაში, წალერი, კიჩხლიდა, ზემოლახამური და ქვემოლახამური. აქაც მცხოვრებ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: რეზიძე, მიშქლიანი, ჭკადუა, კვანჭიანი, დავითიანი, კობალიანი, მიშკლიანი, უბლიანი, დულდელანი, ჩხვიმიანი, გვარგლიანი, წინდელანი, ოთხოვანი, ანიანი, ქანდავა და სხვ. აქ ხატი და ჯვარი ვერა უნახავს რა განსვენებულ ბაქრაძეს. არის შესანიშნავი X საუკ. ხელნაწერი სახარება, მასზედ შემდეგ გვექნება საუბარი.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საიმტერატურო გაზეთი. 1904, №292, ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, გვ. 2

XXVIII

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სვანეთში ბევრი რამ შესანიშნავი ნივთი დაგვრჩა უნახავი. ბევრი რამ საინტერესო ვითარება დაგვრჩა აღუნიშვნელი. შორიდგან მისული კაცი ყოველთვის შეხვდება სვანეთში ახალ-ახალ ნივთებს. თუ ასე მდიდარია სვანეთი ძველის ისტორიულის ნაშთებით, არა ნაკლებ სიმდიდრეს წარმოადგენენ თვით სვანები თავისის უძვე-

ლესის ზნე-ჩვეულებებითა და ცხოვრებით. ამ მხრივ ყოველი ეტნოგრაფი და ანტროპოლოგი ულეველს მასალას იპოვის სვანეთში. სვანები მეტად მამაპაპურად, მეტად თავისებურად სცხოვრობენ, მათი შეხედულებაც სვანეთის გარეშე ხალხთა ცხოვრებაზედ თავისებურია. ამ ორის წლის წინად (1902 წ.) ს. ბეჩოში მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია ერთი საქმე: მძიმე დანაშაული ჰბრალდებოდა ერთს სვანს. ბრალდებულს იცავდა ვექილი გელაზაროვი. ვექილი ბევრს ეცადა ეშველა რამე საცოდავი სვანისათვის, მაგრამ სვანს შესაფერი სასჯელი გადაუწყვიტა მოსამართლემ. განაჩენი რო მოისმინა, სვანი მიუბრუნდა და უთხრა მოსამართლეს – „შენ გაგიხმეს ხელი“! ვექილს – „შენ გაგიხმეს ენა“! და გამოვიდა გარეთ.

მთელ სვანეთში ჩვეულებაა: 5 იანვარს დარეცხავენ ტანისამოსს, დახეხენ სახლის ავეჯეულობას და მთელ დღეს მარხულობენ. დაღამებისას გაშლიან სუფრას და დააგებენ სამარხო საჭელს, რაც კი რამ გააჩნიათ; დაანთებენ სანთელს და კარებს დახურავენ. თითქმის ერთ საათს ყველანი ხმა-გაკმენდილები – ჩუმათ არიან, ჩვენი მიცვალებულები აქ არიანო. ასე იქცევიან ოთხ საღამოს და 10 იანვარს რო დაღამდება, გააღებენ კარებსა, გაშლიან სუფრას და სანთელითა და არაყით გააცილებენ მიცვალებულებს და სთხოვენ – <<ახლა კი მობრძანდითო>> თან არაყს შეექცევიან და უმატებენ: შენდობა უხარი, გვიშგვე უდგარი, ღმერთო შენდობა მიეც ჩვენ მიცვალებულებსა“.

აღდგომას, ახალწელიწადს და ნათლისღებას სვანები შესაფერად ვერ დღესასწაულობენ. ფარისეველ-მეზვერის კვირიდგან ხორციელის კვირამდე მთელ სვანეთში დიდი განცხრომაა, როგორც ჩვენში აღდგომას, ახალწელიწადს: ყველა ამ დროსთვის ასუქებს ღორსა, ხარსა და სხ. გიორგობისთვიდგანვე.

სვანების წარმოდგენით აღდგომის ბრწყინვალე კვირის პარასკევს ღმერთმა პირი დაიბანა. მეორე დღეს, შაბათს, ანგელოზები შეირია ერთად კვერცხითა და ყველიათაო. თვით

კვირაცხოვლობა დღეს კი დიდმა ღმერთმა შეირია ხორცითაო ამ დღეს სვანები ხარსა ჰკლავენ და დროს მხიარულად ატარებენ.

ს. ფარში სცხოვრობს 18 კომლამდე სვანეთში პატივცემული საგვარეულო ვიბლიანებისა. ამ საგვარეულოში დაცულია ძველადგანვე ფრიად შესანიშნავი თქმულება: <<ჩვენ (ვიბლიანები) შორიდგან ვართ მოსრულნი, სადაც წმ. გიორგი სცხოვრობდაო. იქიდგან (კაბადუკია) ჩვენი მამა-პაპა ილორში (აბხაზეთი) მოვიდა და წმ. გიორგის ხატი თან მოასვენა, რადგან წმ. გიორგი ჩვენი გვარისა იყოვო. ჩვენი მამა-პაპა ილორიდგან აქ მოვიდა და მას აქეთ ვიბლიანები აქა ვცხოვრობთო. დღეს ვიბლიანებს აქვთ საკუთარი უძველესი საგვარეულო წმ. გიორგის ხატი; იგი აბარია საგვარეულოში უფროს კაცსა. ძველადგან ვიბლიანებს შეუნახავთ ჩვეულებად ამ ხატით დალოცვა, ანუ დაწყევლა მოყვარეთა და მტერთა. ამიტომ ყოველი სვანი დღემდე ერიდება ვიბლიანების წყენასა და მტრობასა – წმ. გიორგის ხატით არ დაგვწყევლონო. თვით დადეშქელიანთა გვარის კაცნი დღემდე პატივსა სცემენ ვიბლიანების გვარსა წმ. გორგის ხატის გამო.

ძველად რომ საქართველოს მეფენი და თავად-აზნაურნი ემოყვრებოდნენ –ენათესავებოდნენ ჩერქეზეთსა და ოსეთსა, და დღეს ეს მშვენიერი ჩვეულება ერთობისა შესწყდა, – სვანეთში დღესაც კი ხშირი მისვლა – მოსვლაა და დღესაც ხშირია მოყვრობა ჩერქეზეთისა და ოსეთისაკენ. ჩვენი პატივცემულის ბ-ნ თათარყან დადიშქელიანის და კესა-ხანი გათხოვილი იყო ოსეთის ს. ბახსანში, ადილგერ ჩეფელიშვილზედ.

XXIX

სვანეთის ხელნაწერები გვაძლევენ უმდიდრესს, მრავალგვარს მასალას ქართულის ძველი პალეოგრაფიისათვის. ხელნაწეთა არშიებზედ მე X საუკუნიდგან დაწყებული XIX საუკუნა-

მდე განუწყვეტლივ იპოვება მინაწერები ხუცურის და მხედრულის ასოებით. პალეოგრაფიის მხრივ ფრიად შესანიშნავია ლატალის სახარების მინაწერი, რომელიც განსვენებულ დ. ბაქრაძეს თავის მოგზაურობაში აღნიშნული აქვს №22, როგორც მეტის-მეტად ძნელი გასარჩევი ხელით დაწერილი და უწოდებს ყვავ-ფრჩხილოვანს.[1] ეს მინაწერი დიდის დაკვირვების შემდეგ, როგორც იყო, აღმოვიკითხე: <<+ წმიდაო დედოფალო დაბადებულთაო, რომელმან გჳშევ ქრისტე ღმერთი ჩუენი: ესე შესაწირავი და უნდოჲ მსახურებაჲ ჩემ გლახაკისა ცოდვილისგან მიითუალე და შეიწყალე სული ჩემი ცოდვილი, და ყოველნი რომელნი იმსახურებდენ ამათ წმიდათა საკითხავითა...>>[2] თვით ეტნოგრაფიულნი, გეოგრაფიულნი, და სხ. სვანეთში დაცულნი სახელწოდებანი ფრიად საყურადღებონი არიან საისტორიო მეცნიერებისათვის. მაგ. საიდგან შემოვიდა სვანეთში მესტიის ძველი სახელი – <<სეტია?>> რათ დაერქვა მესტიის წმ. გიორგის ხატს <<სეტისა>>?მესტიის წმ. გიორგი (სეტისა) ძველადგან ისრეთივე სათაყვანებელი სიწმიდეა მთელი სვანეთისათვის, როგორც უშკულის ლა-მარია, და კალაში ლა-გვირკა. მთელი სვანეთის საერო დროშა (ლომი) და დროშის თავი ვერცხლისა - აქ სეტის წმ. გიორგის საყდარში ასვენია ძველადგან. ჩვენ ვფიქრობთ რომ წოდება <<სეგი>> სვანეთში უძველესია და სვანებს თან შემოუტანიათ უძველეს დროშივე - სამხრეთიდგან. ისტორიიდგან, ვიცით რომ მეგვიპტელთა ღმერთთა შორის ერთს ერქვა სეტი, რომელმაც მოიგონა საომარი იარაღი და ასწავლა თავის მორწმუნეებს იარაღის ხმარება. ამიტომ შემდეგში ეგვიპტელებმა აღიარეს სეტი ბრძოლის, ომის ღმერთად. ეგვიპტელთა მეფე სეტი იყო რამზესის შვილი და ეომებოდა ეხლანდელი კაბადოკიის უძველეს მკვიდრთა სახელოვანხეტელთა სამეფოს და თვისი სახელი სა-ლოცავად დაუდო. რა თქმა უნდა სვანებმა კაბადოკიიდგან გადმოიტანეს საკერპო კულტი სეტისა და ქრისტიანობის მიღების დროს ეგ

1 იხ. <<Сванетія>> Бакрадзе, გვ. 85

2 ეს წარწერა პირველად არის წაკითხული ჩვენგან.

კულტი მიაკუთნეს ქრისტიანობის უძლიერესს კაბადუკიელს მხედარს წმ. გიორგის – ქართველს. მეგვიპტელთა მეფე რამზესი რომ ეომებოდა ხეტელებს და მათი დამორჩილება გაუჭირდა, გაწვრთნილი ლომები მიუსია და თავზარი დასცა საცოდავებს. იქნება წმ. გიორგის სეტის სამხედრო დროშა ლომის სათავეც აქედგან იყოს? ეგვიპტეში, მდ. ნილოსის (იარო) მარცხენა ნაპირს, მდებარებდა უძველესი ქალაქი სუანი. ამაზედ და სხ. შემდეგ გვექნება ცალკე საკუთარი საუბარი.

„ივერია“ - ყოველდღიური საპოლიტიკო და საეკონომიო გაზეთი. 1904, №293, ხუთშაბათი, 23 დეკემბერი, გვ. 2-3

XXX

(დასასრული)

ჩვენ ზევითაც ვსთქვით, რომ ძველად სვანნი მეტად გამრავლებულნი იყვნენ. სპარსთა და რომაელთა ლაზიკის გამო ბრძოლის დროს (VI საუკ.) სვანებს ორასი ათასი მეომარი გამოჰყავდათ თურმე, ვიზანტიის მწერალთა სიტყვით.[1] არა ნაკლებ საყურადღებოა მეისტორიეთათვის სვანეთში (ს. ლახამულში) მოვაჭრე ლახამულელები, რომელნიც ყოველს ეჭვს გარეშე არიან შთამომავალნი აქ, სვანეთში, ოდესმე გადმოსახლებულ ურიებისა. იგინი სრულიად განსხვავდებიან ნამდვილ სვანებისაგან და მათი ერთად ერთი საშვილი-შვილო ხელობა არის ვაჭრობა. ჯიქეთ ჩერქეზეთში გადადიან, გადააქვთ და გადმოაქვთ ყოველივე სავაჭრო – სვანეთში, სამეგრელოში და ამ მხარეში აღებ-მიცემობა სრულიად მათ ხელშია თუმცა ძველადგანვე ქრისტიანობა მიუღიათ, მაგრამ სვანები დღემდე მორიდებით არიან მათთან, არ ათხოვებენ თავის ქალებს ლახუმულში და არც მათი ქალი მოჰყავთ, თითქმის ზიზღით უყურებენ და მათთან მეზობლობას, პურის ჭამას თაკილობენ. ჩვენის სამშო-

1 იხ. <<Сванетія>> 30 გვ. ამ დროს სვანეთი და ეგრისი ერთ საერისთავოს შეადგენდნენ. ვახტანგ გორგასლანის მეფობაში ერისთავად იყო სამანღირი. იხ. ქ. ცხ., I, 137 გვ.

ბლო ქვეყნის ამისთანა კუთხის ნახვა და შესწავლა ყოველი ქართველისათვის სანატრელი უნდა იყოს. მიზეზი ეს იყო, რომ დიდი ხნის ნატვრა აღვისრულე და ჯანგატეხილმა კაცმა გავბედე სვანეთში ორის კვირით გავლა-გამოვლა. ბედნიერებად ჩავთვლიდი, თუ ღმერთი ოდესმე კიდევ მაღირსებდა სვანეთის ნახვასა.

მ. კოვალევსკის თხზულებაში „Закон и обычаи на Кавказъ“ ყველა დაინახავს და დარწმუნდება, თუ სვანები რა დიდის ყურადღების ღირსნი არიან თავის ზნე-ჩვეულებითა, ენითა და წარსულის თავგადასავლითა.

ჩვენ შეძლებისამებრ აღვნიშნეთ თვალით ნახული და ყურით გაგონილი სვანეთში მოგზაურობის დროს, შეძლებისამებრ შევამოწმეთ და შევასწორეთ, ანუ პირველათ გავარჩიეთ სვანეთის ხატ-ჯვართა ძველ წარწერების ტექსტი.

19 ივლისს გამოვეთხოვეთ ჩვენს დაუვიწყარს მასპინძელს, ბ ნ თათარყანს, მაგრამ თავისი მამა-პაპური გულუხვობა დააგვირგვინა დიდის დავალებით: ჩვენთან ერთად ინება მგზავრობა მესტიამდე, სადაც ღამე ერთათ სასიამოვნოთ გავათიეთ. მეორე დღეს, 20 ივლისს მოვისმინეთ წირვა სეტის წმ. გიორგის საყდარში. მწირველი იყო მამა გაიოზ ძიმისტარიშვილი, რომლის მიხვრა-მოხვრამ, მკაფიოდ გამოთქმამ და ლმობიერმა ხმამ ჩვენი ძველი მღვდელები თვალწინ დაგვიყენა.[1] ასე შუადღის ხანს გამოვეთხოვეთ საყვარელს თათარყანს და მამა ბესარიონ ნიჟარაძეს, ტკბილ მოხუცს გაიოზს და გულ-დანაღვლიანებულნი წამოვედით მდ. მესტიის ჭალის მარცხენა ნაპირ-ნაპირ. მდინარე აქ შეხუთულია ორივე მხრივ კლდეებით და ექვსი ადლი ძლივს ექნება სიგანე. ამიტომ საშინელი ზვირთები აქ ებრძვიან მყარ-კლდეებსა და ჰაერში იფანტებიან მტვრათ და ამიტომ ერთი კორიანტელი დგას მუდამ ხიდის ქვეშ. მაღლა საქანელა ხიდზედ გავედით და გავსწიეთ ტყე-

1 კარგს იენებებენ, თუ ჩვენი სემინარიაში გამოვლილნი მღვდელნი ამისთანა მღვდელთაგან შისწავლიდა სასოებიან წირვა-ლოცვის შესრულებასა.

ტყე. მარცხნივ კავკასიის თოვლიანს ამართულ კლდეებს გავყურებდით, მარჯვნივ მშვენიერ ტყიანს ფერდობსა. აქ თივა დადებულს პატარა ციგაში უღელი ხარი ება და ზედ ისხდნენ ყელმოღერებულნი კოხტა, ახალგაზრდა სვანები. გზაში შეგვხვდნენ მთიდან მომავალი გოგოები, ყველას ხელში ეჭირა ორ-ორი, სამსამი ჟოლით (მალინა) სავსე ხოკერი. ერთი ხოკერი ორ შაურათ დაგვიფასეს, ვიყიდეთ სიამოვნებით და გზა-გზა შევექცეოდით სუნნელოვან მთის ხილსა. მალე გადავხედეთ მუჟალის ხეობასა, სადაც მულახს ქვევით გავედით საქანელა ხიდზედ და ავყევით მდ. მუჟალის ჭალის მარცხენა ნაპირს, რკინის მჟავე წყლებით მოფენილსა. ავემართეთ მაღალის წვირმის უღელტეხილს და სიამოვნებით ერთი კიდევ გავხედეთ მუჟალის მშვენიერს ხეობასა და მის ჩრდილოეთით ამართულს კავკასიის საყინულეებით დაღარულს კლდოვან ქედსა. მზე კარგა დაეწვერა, რომ ჩამოვეშვით მდ. ბოღრეშის მარცხნივ და გავედით მდ. ენგურის საქანელა ხიდზედ ს. იფარს ასწვრივ. ავყევით მდ. ენგურის მარცხნივ იკლი-ბაკლო ხიფათიანს ნაპირს და საღამოს რვა საათზედ მივედით კალას საზოგადოების ს. დევბერში, სადაც ახალგაზრდა სამინისტრო სკოლის მასწავლებელმა ბ.ონიანმა შეგვიფარა იმ ღამეს თავის პატარა ოჯახში. აქ დაგვხვდა გერმანელი მოგზაური ბ-ნი ვაგნერი. მეორე დღეს 21 ივლისს, დილის 5 საათზედ შევუდექით აკლაკნილ-დაკლაკნილ ფრიალო ლაფთბარზედ ასვლასა. დღე მოღრუბლული იყო. მისვლაზედ რომ ამინდი კარგი დაგვიდგა და კარგი მასპინძელივით გაგვიმხიარულდა, წამოსვლისას მოგვიწყინა, ცხვირ პირი ჩამოეშვა და პირის სახე ჩამოსტიროდა. დიადს ლათბარის უღელტეხილს როგორც იყო ავატანეთ, მოსრიალე ღრუბლებში გავეხვიეთ და ეუბრო ქარიშხალმა შემოგვირბინა გარს, აგვიბერა და ჩაგვიბერა. თან მსხვილ-მსხვილი წვიმა წამოუშინა და სიცივემ ძაგ ძაგი დაგვაწყებინა. დაგვშხუოდა ირგვლივ აბობორაქებული სტიქიონი; ჩვენ მაინც არ შევეპუეთ და პატარა ხანს შევდექით, მივიხედ-მოვიხედეთ, მაგრამ რას და-

ვინახავდით: სამ ადლს იქით აღარა სჩანდარა. დიადი სანახაობა ჰქონია მთაზედ ქარიშხალს. აქ ადამიანი გრძნობს თავის უღონობასა, თავის ვინაობასა, მე ამის მეტათ არ მენახა მთაზედ ქარიშხალი, სწორე გითხრათ დიდებული ყოფილა მთა დარშიაც და ავდარშიაც. აქ, ლათბარის მწვერვალზედ ვნახეთ აყუდებული, მოქოხებული სიპებით, დაგვიანებული მგზავრები აქ ათევენ ღამეს. სიპებზედ ბევრი მგზავრის სახელი და გვარი ეწერა. ამდროს სტეპან ანტონიჩი უდნა გენახათ რა საცოდაობაში იყო; ცხენის წყლის ხეობისაკენ გადმოვეშვით, ყველამ დავუქვეითეთ ცხენებს, მაგრამ სტეპან ანტონიჩი ცხენიდგან არ ჩამოდიოდა, თითქოს უნაგირზედ დაკრულიაო. იქვე ერთი ვერსის დასწვრივ უშველებელს საყინულეზედ გადმოვიარეთ, რომელიც ჩაწოლილა და ამოუვსია უღაღი უფსკრული დიდის ხევისა, სიგანით სამი გუთნის გაშლა იქნებოდა. ქვეშ კამარა შეკრული გვირაბი დასდევდა და ყინულის თაღს ქვეშ თავქვე მიჩახჩახებდა ქალწულებრივ ანკარა ნაკადული, საყინულის ღვიძლი შვილი.

ჩამოვედით ჩოლურში და აქედან ს. ლენტეხში საღამოს ცხრა საათზედ. მეორე დილით დავყევით ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირს და ნაცნობი გზა თამამად ჩამოვიარეთ. აქ ერთ ალაგს გზის პირზედ კლდის ნამტვრევის პატარა ყორეა მოვლებული და შიგ კლდეში ჩასმულს ხის ბოძზედ ნიშია გაკეთებული აქ აწყვია სამიოდე რკინის პატარა ჯვრები. ამ ბოძის ძირში აღმოსავლეთით მიწის პირა თკლდის ფილაქანზედ შუათანა ადამიანის შიშველი ფეხია ცხადათ გამოტვიფრული: სვანების თქმულებით ოდესმე ქრისტე ღმერთი მობრძანებულა სვანეთში თავის ზეციურ მოძღვრების საქადაგებლად და მისი ფეხის კვალი აი ამ კლდეზედ აღნიშნულია მას აქეთ, სვანები ამიტომ თაყვანსა სცემენ ამ წმიდა ადგილსაო,

ჩამოვყეთ ასე და შუადღისას მურის ხიდზედ შევდექით. ს. ჩხუტელიდგან შუადღის უკან უკვე ს. ორბეთში გადმოვედით და შევნაყრდით. იმ საღამოს ალპანაში ჩამოვედით.

დიდ მადლობას ვსწორავ ბ-ნ ა. ს. ხახანაშვილს, ი. ს. ტყეშელაშვილს, ზ. ფალიაშვილს, რომელთაც შემაძლებინეს ამა ძნელი მგზავრობის ატანა და ყოველივე შრომა გამიადვილეს.

უკანასკნელ მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ჩვენი საყვარელი ყოვლად სამღვდელო კირიონი იყო მიზეზი ამა ჩემის მგზავრობისა; უღრმესს მადლობას ვსწირავ მისს მეუფებას და ამიტომ მისს სახელს ვუძღვნი ამ ჩემს შრომასაც მისი მარად თაყვანის მცემელი და მორჩილი.